საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№29 (453)
8 – 14 აგვისტო, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## 18 როგორ აპირებდნენ «სტრატეგიული მოკავშირეები» ატომური ბომბებით საქართველოს აღგვას პირისაგან მიწისა




ხელისუფლება ხომ გქვიათ?! და რატომ არ ცდილობთ, ხელი შეუშალოთ ამ ყველაფერს?! გგონიათ, ხალხი გვერდით არ დაგიდგებათ?! პირიქით, გაგალმერთებენ! 2

# საით მიდის საქართველო? 8

## 3 ოჯახის ნგრევა ნეოლიბერასტების რეცეპტით




## 4 «საკონსტიტუციოს გადაწყვეტილებაც და პრეზიდენტის განცხადებაც ქართველი ერის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია»



## ჯორჯისა და კონდოლიზას ნაკვალევი ცხინვალში 10



«2013 წლის გაზაფხულზე, სააკაშვილმა თითქოს მიანიშნა ამერიკელებს, რომ აგვისტოს ომში მათ როლზე შეიძლება გაცილებით სკანდალური რამ თქვას»

## 5 6 ათასამდე წვევამდელიდან 4-მა ათასმა ჯარში სამსახურს ორგანიზაცია «ბირჩის» მიერ გაცემული მოწმობებით აარიდა თავი

## «2008 წელს სააკაშვილმა თავის ხალხს ესროლა» 11



„როდესაც საქართველო ამბობს, რომ ნატოსა და ევროკავშირისკენ ისწრაფვის, რატომ არავინ ფიქრობს, უნდათ კი ამ სტრუქტურებში ოსებსა და აფხაზებს?! ეს ნიშნავს, რომ არ სურს ოსებისა და აფხაზების შემორიგება“

## «ხვალ-ზეგ საქართველო ტერორისტებმა სამიზნეში რომ ამოიღონ, არის სახელმწიფო მზად ამისთვის?» 16


გურამ ნიკოლაიშვილი

«რით გავძლიერდით? — ავიაცია მოსპეს, საზღვაო ძალები აღარ გვყავს, ტანკები და არტილერია კონსერვაციაზეა... «სტინგერები» და «ჯაველინებია» ძლიერება?!»

## ეს ხელისუფლება დანაღმულ ველზე დააბიჯებს 9




„ჰგონიათ, რომ გავლენა, თანამდებობები მუდამ ექნებათ და მერე შვილებს გადაულოცავენ მემკვიდრეობით“

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარიხუანის ლეგალიზების შემდეგ გამარჯვების ყიჟინა დასცეს ლიბერალებმა, ხოლო ეს ყველაფერი სიგნალი იყო სხვა ქვეყნებისთვის, რომ საქართველოს დაპყრობა უკვე შესაძლებელია (არც აქამდე ჩანდა შეუძლებელი) და ჩვენს ქვეყანაში მუსლიმანური სახელმწიფოებიდან ურდოები დაიძრნენ. დიახ, ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი — ეს ის ქვეყნებია, რომლებიდანაც საქართველოში ტურისტები კი არ ჩამოდიან, არამედ ადამიანები, რომლებიც ყიდულობენ ჩვენს მიწებს, იწყებენ ბიზნესს და, რაც მთავარია, ქართველები მხოლოდ მონებად სურთ.**

# მალე, ალბათ, თბილისში ამირას დაგვისვამენ მმართველად

**სამიოდე თვის წინათ ბელგიაში, ბრიუსელის ცენტრში, დაამონტაჟეს ვიდეოკამერა, რომლითაც უნდა გაერკვიათ, რამდენი თეთრკანიანი გაივლიდა იმ ადგილას ერთი საათის განმავლობაში. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა — ბრიუსელის ცენტრში იმ კონკრეტულ ადგილზე ერთი საათის განმავლობაში ერთ თეთრკანიანსაც არ გაუვლია. სანამ ჰომოფობიაში დამდებთ ბრალს, გაიხსენეთ, თქვენმა საყვარელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რომ თქვა: „ზანგები ვართო“ და მერე ბოდიშიც არ მოიხადა. თუმცა, მიშას იმდენი რამ მიუტევეს, ესეც ეპატია, ალბათ...**

## თუ ასე გაგრძელდება, მალე საქართველოშიც ის მოხდება, რაც მოხდა ევროპაში



ჰოდა, იმას მოგახსენებდით, თავის დროზე ბელგიამ, საფრანგეთმა, ჰოლანდიამ... მოკლედ, ლამის სრულიად ევროპამ გაიარა ის, რასაც ახლა საქართველო გადის. დაიწყო სიტყვის თავისუფლებით, გადავიდა ნარკოტიკების თავისუფლებაზე, ბავშვთა უფლებების განსაკუთრებულ დაცვაზე და საბოლოოდ მივიღეთ ისეთი ევროპა, როგორიც დღეს არის. მივიღეთ თუნდაც ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრებში მხოლოდ სამი ფრანგი თამაშობს, დანარჩენები კი აფრიკელები არიან და ანტუან გრიზმანის სახით, ერთი ნახევრად პორტუგალიელი ნახევრად გერმანელი ურევიათ.

ჰოლანდიამ მარიხუანის ლეგალიზაციით დაიწყო, მერე სხვა ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე გადავიდა და, როგორც იქაური სტატისტიკოსები წერენ, ყველაფერი კალაპოტში 14 წლის შემდეგ ჩადგა, ანუ 14 წელი ჰოლანდიელები მიეძალნენ ნარკოტიკს, მიეძალნენ ლეგალურ პროსტიტუციას და შემდეგ უკვე ნარკოტიკების მოხმარების ნიადაგზე ჩადენილმა დანაშაულებმაც იკლო თურმე. ანალოგიური რამ მოხდა საფრანგეთსა და ბელგიაშიც. ნარკოტიკების ლეგალიზების შემდეგ დაიწყო არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების უფლებების განსაკუთრებული დაცვა, შემდეგ ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ქორწინების დაკანონება და ამ ყველაფერს წინ უსწრებდა მარიხუანის ლეგალიზება. სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, გაგაცნობთ ექიმნევროლოგების იმ დასკვნას, რომელიც მათ ადამიანის ორგანიზმზე მარიხუანის ზემოქმედებაზე გამოაქვეყნეს. აი, რას იწვევს მარიხუანის მოხმარება:

**ემოციური გაუწონასწორებლობას, მეხსიერების დაქვეითებას, ძილის დარღვევას, ინტელექტუალური სამუშაოს შესრულებისას სწრაფად გამოფიტვას, ლიბიდოს დაქვეითებას, უსიამოვნო ფიქრებს, ტომოგრაფიულად დადასტურებულ დაზიანებას თავის ტვინის გარკვეული უბნებისა (ჰიპოკამპი, ამიგდალა), ქვეითდება მეხსიერება, 30%-ით მატულობს ფსიქოზის განვითარების რისკი, პაციენტები ხდებიან სოციალურად ნაკლებად ადაპტირებულები, ქვეითდება ერექცია, მატულობს გულსისხლძარღვთა პათოლოგიის განვითარების რისკი, ქვეითდება სპონტანური რეაქციის სიჩქარე (ანუ მძღოლებს მკვლელებად აქცევს).**

შედეგად, მოსახლეობის დიდი ნაწილი იმ ქვეყნებისა, რომლებშიც მარიხუანის ლეგალიზება მოხდა, ჩვეულებრივ იმპოტენტად იქცა და ეს ყველაფერი 14 წელიწადში მოხდა. ამან მოიტანა ის, რომ კაცებს ქალებისადმი ინტერესი დაეკარგათ, აღარ შეეძლოთ ერის გამრავლება და მათი ადგილი აფრიკის კონტინენტის წარმომადგენლებმა დაიკავეს. ახლა ხშირად ამბობენ: აფრიკის კონტინენტმა ევროპა სასქესო ორგანოთი დაიპყროო და, თუ რეალობას თვალს გავუსწორებთ, ასეც არის. სწორედ ამან აიძულა შემდეგ ხელისუფალნი, მიეღოთ ათასგვარი კანონი, რომლებმაც აფრიკელებს მათ ქვეყანაში დამკვიდრება გაუიოლა. და ახლა, როცა ყველა მიხვდა, რა დღეში არიან, ამ კანონებს ამკაცრებენ, აფრიკიდან წამოსული მიგრანტების ნაკადს ამცირებენ, მაგრამ აღარ გამოდის, ველარ გამოდის, იმიტომ, რომ სხვა კონტინენტიდან ჩამოსულმა ადამიანებმა მყარად მოიკიდეს ფეხი, მეტიც — თვითონ არიან კანონმდებლები და მათ ადგილობრივები ველარ ერევიან, ველარ უმკლავდებიან და ტოლერანტობის ძახილით იძულებულნი არიან, რეალობას შეეგუონ.

ანალოგიურ გზას ადგას საქართველო. **მარიხუანის ლეგალიზების შემდეგ გამარჯვების ყიჟინა დასცეს ლიბერალებმა, ხოლო ეს ყველაფერი სიგნალი იყო სხვა ქვეყნებისთვის, რომ საქართველოს დაპყრობა უკვე შესაძლებელია (არც აქამდე ჩანდა შეუძლებელი) და ჩვენს ქვეყანაში მუსლიმანური სახელმწიფოებიდან ურდოები დაიძრნენ. დიახ, ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი — ეს ის ქვეყნებია, რომლებიდანაც საქართველოში ტურისტები კი არ ჩამოდიან, არამედ ადამიანები, რომლებიც ყიდულობენ ჩვენს მიწებს, იწყებენ ბიზნესს და, რაც მთავარია, ქართველები მხოლოდ მონებად სურთ** — ამუშავებენ ყველგან, მაგრამ არ უშვებენ მათ მიერ გახსნილ ბარებსა და რესტორნებში. რაც მთავარია, ეს ყველაფერი მხოლოდ კაცებზე ვრცელდება, ხოლო ქალბატონებისთვის კარი ყველგან ღიაა. **არის თუ არა ეს იმის მცდელობა, რომ საქართველო სასქესო ორგანოთი დაიპყრონ, თვითონ განსაჯეთ.**

შესაძლოა, ბევრს ყურში ცუდად მოხვდეს ჩვენი ნაამბობი, მაგრამ ფაქტია: ამისკენ დიდი ნაბიჯებით მივდივართ. ფაქტია ისიც, რომ **საქართველოში მუსლიმანური ქვეყნებიდან ჩამომსვლელ-დამრჩენთა რაოდენობამ კატასტროფულად მოიმატა და არც ის დროა შორს, როცა თბილისში ამირას დაგვისვამენ მმართველად.**

არაერთხელ ითქვა, რომ საქართველოში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება უნდა დაკანონდესო. მართალია, პარლამენტი ამის წინააღმდეგია, მაგრამ პარლამენტი წინააღმდეგი იყო მარიხუანის ლეგალიზებისაც, მიუხედავად ამისა, მაინც დაკანონდა და ახლა დეპუტატები უმწეოდ შლიან ხელებს: ჩვენ რა ვქნათ, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა ასეო. ჰოდა, ვინ არის იმის გარანტი, რომ ორიოდე წლის შემდეგ ეს დეპუტატები ისევ არ გაშლიან ხელებს: ჩვენ რა ვქნათ, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება საკონსტიტუციო სასამართლომ დააკანონაო?!

და **10-14 წლის შემდეგ ხომ არ შეგვრჩება ხელში მოკაიფე, აღვირახსნილი თაობა, რომლის მთავარი ინტერესი სექსი და ნარკოტიკი იქნება? მერე კი, ნარკოტიკისგან გაბრუებულ ახალგაზრდებს სექსის თავი რომ არ ექნებათ, საქართველოც დაიწყებს გაფერადებას, გამრავლდებიან აზერბაიჯანული, თურქული და ირანული წარმოშობის ბავშვები, შემდეგ მათთვის სპეციალური სკოლების გახსნა გახდება საჭირო, სადაც მათ ისტორიულ კულტურას შეასწავლიან, შემდეგ — ახალი მეჩეთების მშენებლობა, შემდეგ — ხელისუფლებაში მოსვლა და... სხვა არაფერი მომხდარა ევროპაში.**

გადაჭარბებად რომ არ ჩაგვითვალოთ, მარტივ მაგალითს მოგიყვანთ — აზერბაიჯანული კომპანია „სოკარი“ მხოლოდ საქართველოში როდია მყარად დამკვიდრებული. „მცირე ინვესტიცია“, რომელიც თავის დროზე ჩაიდო, უზარმაზარ კაპიტალდაბანდებად იქცა და დღეს ეს ნავთობკომპანია ქართულ ბაზარზე მთავარი მოთამაშეა. **ვინმეს შეუძლია ამიხსნას, მაგალითად, რაჭაში, სვანეთში, სამეგრელოში არსებულ „სოკარის“ ბენზინგასამართ სადგურებზე რატომ მუშაობენ მხოლოდ აზერბაიჯანელები?** შოვინიზმში ნუ დაგვდებთ ბრალს, მაგრამ როგორ დავიჯერო, აზერბაიჯანის ხელისუფალთ სხვა ინტერესი არ აქვთ, როცა ადგილობრივების ნაცვლად აზერბაიჯანიდან ჩაყვანილ ხალხს ამუშავებენ?! მათ ხომ ბინა უნდა უქირავონ, რაც დამატებითი ხარჯია; წესით, ადგილობრივის დასაქმება უნდა ერჩივნოს თუნდაც ოპერატორად, მაგრამ არა, აზერბაიჯანელი ურჩევნია. ეს იმიტომ, რომ ადაპტაცია მოხდეს — **ყველა შეეგუოს, რომ „სოკარი“ აზერბაიჯანული სახელმწიფოა ჩვენს სახელმწიფოში. ასეა თურქული „ბეკო“ და „ვესტელი“, ასეა ირანული კორპორაცია, რომელიც საქართველოში მიწების თემას** კურატორობს და, რაც მთავარია, ჩვენ ამ ყველაფერს მშვიდად ვუყურებთ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: მარიხუანის ლეგალიზების მოთხოვნით ქუჩაში თუნდაც რამდენიმე ასეული ახალგაზრდა გამოვიდა, აი, ნარკოტიკის ლეგალიზების გასაპროტესტებლად კი — არავინ. მხოლოდ სოციალურ ქსელებში არსებობს უკმაყოფილება, მხოლოდ იქ ვწუწუნებთ ყველა, — ეს რა დაგვემართაო, მაგრამ მძლავრი პროტესტი არავის სურს, ისეთი საპროტესტო აქცია, რომელზეც მოსული შს მინისტრი ბოდიშს მოიხდის: არასწორი იყო, რაც მოხდა და უნდა ჩავერიოთო.

ახლა ირკვევა, რომ **მოქმედი პრეზიდენტი მარიხუანას თურმე თვითმფრინავშიც ეწევა; ახლა ირკვევა, რომ არაერთი პარტიის ლიდერი ბოლდება; არაერთი პარლამენტარი ეტრფის მარიხუანას და იმიტომაც არის ჩვენი საქმე კარგად, დაბოლილები რომ გვმართავენ.**

„კოშმარულ სიზმარშიც არ მინდა წარმოვიდგინო მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქირურგი, მასწავლებელი ან ავიადისპეტჩერი“, — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა **დავით სერგეენკომ** და, ჰოი, საოცრებავ! ბატონო დავით, თუ არ გსურთ ამის წარმოდგენა, მთავრობა ხომ ხართ?! ხელისუფლება ხომ გქვიათ, მეტიც, ხელისუფლების უმაღლესი პირები?! და რატომ არ ცდილობთ, ხელი შეუშალოთ ამ ყველაფერს?! **თვითონ საკონსტიტუციო სასამართლო გამოაცხადეთ არაკონსტიტუციურად და ზუსტად ისე დაიკიდეთ ყველას აზრი, როგორც ამ უწყების მოსამართლეებმა დაიკიდეს მთელი ერის მომავალი.**

გგონიათ, ხალხი გვერდით არ დაგიდგებათ?! პირიქით, გაგაღმერთებენ, ოღონდ კი ეს შეძელით და მოახერხეთ... მაგრამ არა — სწორედ თქვენი პოლიტიკური ნებაა ის, რაც ხდება; სწორედ ხელისუფლების ბრალია, ამ დღეში რომ ვართ და არ თქვათ ახლა, არაო. თუ არა, მაშინ გააკეთეთ გასაკეთებელი, იხსენით ერი დალუპვისგან, გაშავებისგან. ამისკენ ხომ დიდი ნაბიჯებით მივდივართ და ევროპამ ეს 14 წელში „მოახერხა“. ისე, 14 რომ შემოაბრუნოთ, 41 გამოდის და რა სიმბოლურია არა, ხელისუფალნო?

**ხელისუფლება ხომ გქვიათ, მეტიც, ხელისუფლების უმაღლესი პირები?! და რატომ არ ცდილობთ, ხელი შეუშალოთ ამ ყველაფერს?! თვითონ საკონსტიტუციო სასამართლო გამოაცხადეთ არაკონსტიტუციურად და ზუსტად ისე დაიკიდეთ ყველას აზრი, როგორც ამ უწყების მოსამართლეებმა დაიკიდეს მთელი ერის მომავალი. გგონიათ, ხალხი გვერდით არ დაგიდგებათ?! პირიქით, გაგაღმერთებენ**

**ბესო ბარბაქაძე**

**საქართველოს სახალხო დამცველი ჩვენი ლიბერასტული პარლამენტის (წაიკითხე, აშშ-ის საელჩოს) მიერ კი არ უნდა ინიშნებოდეს, საყოველთაო, პირდაპირი კენჭისყრით უნდა ირჩეოდეს! ასეთ შემთხვევაში 8 შვილის მამას, დიმიტრი ლორთქიფანიძეს, მხარდამჭერთა 70-ათასიანი სიას თავზე ვერ გადაახევდნენ და სახალხო დამცველად ეფრეიტორ ნინო ლომჯარიას ვერ წამოგვისკუპებდნენ...**



ავი მუსაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოჯახის ნგრევა ნეოლიბერასტების რეცეპტით

## თითქოს ქართველი მამაკაცები მხოლოდ იმიტომ ქორწინდებიან, რომ ცოლებს ცემა-ტყეპაში ამოჰხადონ სული, მშობლებმა კი შვილებს დაახიონ ყურები

**შიო კობიძე აფხაზეთის ომის ნამდვილი ვეტერანია (ნამდვილი, რადგან, სამწუხაროდ, „ლიპა“ ვეტერანებიც არსებობენ), რომელსაც გენიალური ქართული ფილმის „არაჩვეულებრივი გამოფენის“ მთავარ გმირ აგული ერისთავივით ყუმბარა თავში მოხვდა, თუმცა აგულისა და შიოს მსგავსება, სამწუხაროდ, აქ მთავრდება — თუ აგულის ყუმბარა თავში მოხვდა, მაგრამ, მისივე თქმით, „კიდევ კარგი არ აფეთქდა“, შიო კობიძეს არ გაუმართლა — ყუმბარა თავშიც მოხვდა, აფეთქდა კიდეც და, სამედიცინო ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, თავის ქალის ტრეპანაცია დასჭირდა, ხოლო უფრო გასაგებ ენაზე — ახალგაზრდა კაცი დაინვალიდდა (იმედია, ამ ხუმრობა-ანგლობის თანხლებით ნათქვამ სიმართლეს არ მიწყენს ჩემი მეგობარი).**

მიუხედავად აფხაზეთის ფრონტზე მძიმედ დაჭრისა, ახლა უკვე მოწიფული ვაჟკაცი, შიო კობიძე, აქტიურად ჩაება სააკაშვილის სისხლიან რეჟიმთან ბრძოლაში ე.წ. წინააღმდეგობის მოძრაობის რიგებში, სადაც გავიცანით კიდეც ერთმანეთი და ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ, გარკვეულწილად, თანამებრძოლებიც ვართ... 2012 წლის 1 ოქტომბერს სრულიად საქართველომ იზეიმა ქართველთა სისხლსა და ცრემლში მოვასვასე მიშარასტების საძულველი რეჟიმის დამხობა და მეტიც — გულში მოკრძალებით გავიფიქრეთ, — ახლა კი დადგა სამშობლოს მოყვარული, ღვთის მოშიში, პატრიოტი ქართველების მოქმედების დრო-თქო და გვირაბის ბოლოს იმედის თვალით გავხედეთ, მაგრამ...

რა მაგიური ძალა აქვს ერთი შეხედვით უწყინარ, მარტივ ქართულ სიტყვა „მაგრამ“-ს, რომელიც ყველაფერს თავდაყირა აყენებს?! და აჰა, ამჯერადაც ნელ-ნელა, მაგრამ შეუქცევადად ფერმკრალდება **ბიძინა ივანიშვილის** გამოჩენით მოგვრილი იმედიანი ფიქრები საქართველოზე. სამშობლოზე, რომელიც ახლაღა მიხვდა, რომ „ქართული ოცნება“ სულაც არ ყოფილა ქართველთა ოცნება... აქ, რომ იტყვიან, კალამი გამექცა. მკითხველს ვთხოვ, მომიტევოს ეს ლირიკული პასაჟი და წერილის მთავარ თემას დავუბრუნდეთ...

2013 წლის 28 ოქტომბერს, საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, სამოქალაქოფორმიან პოლიციელებთან ურთიერთშელაპარაკების გამო დააკავეს შიო კობიძე, გადაიყვანეს პოლიციის სამმართველოში და ბორკილდადებულს 9 საათის განმავლობაში სცემდნენ, ანუ აწამებდნენ და მეტიც — როცა შეიტყვეს შიო კობიძის ვეტერანობა-დაჭრის შესახებ, შენი დედაც, აქ რას მოეთრეოდი, რატომ სოხუმში არ ჩაძაღლდიო და სწორედ იმ ტრეპანაციაგაკეთებულ თავში ურტყამდნენ გამეტებით...

ამ ინციდენტს დიდი ხმაური მოჰყვა ვეტერანთა კავშირის მხრიდან, დაიწერა მედიაში და თვით საია-ს (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის) იმჟამინდელმა თავმჯდომარემ და დღეს პრეზიდენტის მრჩეველმა, მისმა „უდიდებულეს-ულიბერალესობა“ **კახა კოჟორიძემაც** კი მოითხოვა საქმის დროული და ობიექტური გამოძიება. მიუხედავად ამისა, ეს საქმე დღესაც „თაროზე დევს“ და დამნაშავენი არ დასჯილან, მაგრამ შიო კობიძის თავგადასავალი ამით არ დასრულებულა.

და აი, მივადექით მთავარ სათქმელს.

**ამას წინათ შიო კობიძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს, მას ოთხწლიანი „სროკი“ ემუქრება და იცით, რისთვის? —შიო კობიძემ თავის მცირეწლოვან დისშვილს (მკითხველო, მოემზადეთ, ემანდ სკამიდან არ გადავარდეთ ან გაზეთი არ გაგივარდეთ ხელიდან), რომელიც შიოს გაზრდილ-აღზრდილია, მამაშვილურად აუწია ყური. ასეთი „მამაშვილობა“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ახალი მუხლის შესაბამისად ისჯება; მუხლისა, რომელიც დასავლეთის რეკომენდაციით (წაიკითხე, ბრძანებით) შეიტანეს გალიბერასტებულ სისხლის სამართლის კოდექსში...** ზემოთქმულიდან გამომდინარე, არც ისეთი სკამიდან გადასავარდნი ყოფილა შიო კობიძის ამბავი, როგორიც გვეგონა — მსგავსი „დანაშაულისთვის“ თურმე მრავალი ცოლ-ქმარი, და-ძმა, მამა-შვილი და ნათესავი იხდის სასჯელს. უფრო მეტიც:

ვთქვათ და, ოჯახის რომელიმე წევრს, მაგალითად, ცოლს, გაუარა უგუნურმა სიფიცხემ, აფექტის ჟამს პატრულის გამოძახება ინანა, „ქმარს აღარ ვუჩივიო“, — განაცხადა. „ნურას უკაცრავად, საქმე აღძრულია, „დამნაშავე“ უნდა დაისაჯოსო“, — მიიღებს პასუხად და საკუთარი შვილების მამასთან „პერედაჩების“ მიტანა მოუწევს ლიბერასტული პროპაგანდით გამოლენჩებულ ცოლს. **პროკურორები, ერთი მხრივ, ადასტურებენ ლიბერასტული მოცემულობის აბსურდულობას, კრეტინიზმს, მაგრამ იქვე უილაჯოდ ასავსავებენ ხელებს: ვერაფრით დაგეხმარებით, რადგან მსგავსი საქმეები ევროკავშირის(?) მკაცრი მონიტორინგის ქვეშ არისო.**

**რატომ, რისთვის და ვისგან ეს აბსურდის თეატრი?** — ბუნებრივად ჩნდება ეს და მსგავსი კითხვები, რომლებზე პასუხების გაცემა ურთულესია, რადგან ყოველივე აქამდე თქმული მსოფლიო გლობალური პროცესების ნაყოფი, გნებავთ, ლიბერასტული აისბერგის ხილული ნაწილია. რაც შეეხება აისბერგის უხილავ ნაწილს, გნებავთ, ფესვებს იმ უბედურებებისა, რომლებიც 21-ე საუკუნის დასაწყისში საბედისწეროდ დაატყდა თავს კაცობრიობას, არაერთხელ აღგვინიშნავს და ახლაც გავიმეორებთ: თავიდათავი იმ უბედურებისა, რომელიც შეიძლება მსოფლიო ცივილიზაციის მესაფლავე გახდეს, აგრესიულ ნეოლიბერალურ იდეოლოგიაში საქმენი, იდეოლოგიაში, რომლითაც ლამის სრულიად მსოფლიო იმართება. **ნეოლიბერასტული იდეოლოგიის რამდენიმე ზოგადსაკაცობრიო, ფუნდამენტური ღირებულების უარყოფას ეფუძნება. იმ ღირებულება-ფასეულობების უარყოფას, რომლებზეც აღმოცენდა კულტურული კაცობრიობა — არა ეროვნებას, არა სამშობლოს, არა ღმერთს, არა სქესს, არა ოჯახის ინსტიტუტს!**

აი, ის 5 ძირითადი „არა“, რომლებიც თანამედროვე აგრესიული ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიის ქვაკუთხედია, რომლისგანაც სხვა მრავალი მეტ-ნაკლები მნიშვნელობის „არებია“ წარმოქმნილი და ყველა მათგანზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ დღეს მხოლოდ ოჯახზე ვისაუბროთ.

ოჯახის ინსტიტუტის ნგრევა, როგორც იტყვიან, არახალია — ეს პროცესი გასული საუკუნის 20-იან წლებში წამოიწყო ბოლშევიკების სიონისტურმა ფრთამ **ლევ ტროცკის** მეთაურობით და არცთუ წარუმატებლად. რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ტერიტორიაზე დაანგრიეს ათასობით ეკლესია-მონასტერი, დახვრიტეს ათასობით მღვდელმონაზონი. რაც შეეხება ოჯახის ინსტიტუტთან ბრძოლას, ეს პროცესი მიმდინარეობდა ცნობილი „პროსტიტუტკა“ ბოლშევიკის, **ალექსანდრა კოლონტაის,** მიერ შექმნილი თეორიის მიხედვით, რომლის მოკლე შინაარსი ასეთი იყო: **რა საჭიროა ცოლი და ქმარი, სიყვარული, ცოლ-ქმრული ერთგულება, ქორწინების ოფიციალური რეგისტრაცია** და ა.შ. მთავარია, პროლეტარებმა შვან პროლეტარები; მაშინვე გაჩნდა ტერმინები: ჩაგრული ქალები, ემანსიპაცია და ა.შ. ნაცნობი სურათია, არა? საბედნიეროდ, კოლონტაი-ტროცკის გარყვნილებას **სტალინმა** მოუღო ბოლო 1933 წლის დეკემბერში გამოცემული კომუნისტური პარტიის ცკ-ის დადგენილებით. მას შემდეგ სსრკ-ში გაძლიერდა ოჯახის ინსტიტუტი ლოზუნგით: „თითოეული ოჯახი პატარა უჯრედი და დიდი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია“... ხომ ნაცნობი სურათია-მეთქი? — ვიკითხე ზემოთ. და მართლაც, საუკუნისწინანდელ მორალურ-ზნეობრივ პრობლემებს დაემატა თითიდან გამოწოვილი პრობლემა, რომელსაც ე.წ. ოჯახური ძალადობა ჰქვია. **თითქოს ქართველი მამაკაცები მხოლოდ იმიტომ ქორწინდებიან, რომ ცოლებს ცემა-ტყეპაში ამოჰხადონ სული, მშობლებმა კი შვილებს დაახიონ ყურები.** სინამდვილეში კი რა ხდება? — დასავლელი ნეოლიბერასტები განსაკუთრებით ოჯახის ინსტიტუტს ებრძვიან და ამ ბრძოლის საბოლოო მიზანია ის, რომ ოჯახში არ არსებობდეს უფროს-უმცროსი, ოჯახის თავი, დიასახლისი, დიასახლისობა, რომელიც კომუნისტების პერიოდში საპატიო პროფესიად ითვლებოდა. დღეს ე.წ. **ადამიანის უფლებების კამუფლაჟით ბავშვს ყველაფრის უფლება აქვს, მშობელს — არაფრის! ასე გასინჯეთ, ნარკოტიკის მიღება რომ აუკრძალოს მამამ შვილს, შვილმა პატრულში ერთი დარეკვით შეიძლება შიო კობიძესავით ციხეში მიუჩინოს ადგილი თავის მამას.**




რა, ასეთი რამ დღეს შეუძლებელი გგონიათ? კი, ბატონო, ჯერჯერობით მასეა, მაგრამ ცოტა ხნის წინათ ვერავინ იფიქრებდა, რომ რუსთაველის გამზირი სამი დღის განმავლობაში ოკუპირებული ექნებოდათ ნარკომან-ბარიგებს, რომლებმაც საწადელს მიაღწიეს ჯერჯერობით მხოლოდ ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკების მიმართ — რამდენიც გინდა, ქაჩე მარიხუანა, ჯიბეც „პლანით“ გქონდეს გამოტენილი, საკუთარ ბინაში, ასემც გიქნია, მარიხუანის პლანტაცია გაგიშენებია, კაციშვილი ხმას ვერ გაგცემს. ანალოგიურ შედეგს მივიღებთ ე.წ. მძიმე ნარკოტიკების მიმართაც, რადგან ეს „ჯერჯერობით“ დიდხანს ვერ გაგრძელდება და მძიმე ნარკოტიკების მოხმარება, შეძენა-შენახვის ლეგალიზაცია მხოლოდ დროის ამბავია.

**და ვინ დგას ამ ყველაფრის უკან? — ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე ევროპა-ამერიკა და მათ მიერვე გულუხვად დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო მესამე სექტორი სახალხო დამცველის მეთაურობით.** ყველა თავმოყვარე სახელმწიფომ, რომ იტყვიან, „აახვევინა“ ჯორჯ სოროსის „ასოებს“ (არასამთავრობო ორგანიზაციებს) ან, თუ არ „აახვევინა“, პოლიტიკური საქმიანობა (რუსეთი) აუკრძალა. ბელარუსის პრეზიდენტმა **ლუკაშენკომ** ასოების მფარველი აშშ-ის ელჩი კაბინეტიდან გააპანღურა და ჩვენ რას ვშვრებით საქართველოში? **ქვეყანა, პრაქტიკულად, სახალხო დამცველის ოფისიდან იმართება — ნინო ლომჯარიას პირით ხომ აშშ-ის ელჩი ელაპარაკება საქართველოს უთავმოყვარეო ხელისუფლებას; სად გაგონილა, რომელ ქვეყანაში, რომ „ასოები“ რომელიმე მინისტრის მოხსნა-დანიშვნას ითხოვდნენ? ყოველივე ზემორე თქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ე.წ. მესამე სექტორი კლასიკური ტიპის მეხუთე კოლონაა საქართველოში, ხოლო სახალხო დამცველი — ამ მე-5 კოლონის რეზიდენტი.**

თუ ხატოვანად ვიტყვით, საქართველოს ხელისუფლებას **ბიძინა ივანიშვილი** კი არ მართავს არაფორმალურად, არამედ **კაპიტანი ეკა გიგაურები** და **ეფრეიტორი ნინო ლომჯარიები** და, აქედან გამომდინარე, ყველა ჯანსაღი პოლიტიკური ძალის უპირველესი ამოცანა, გამოსოროსირებული „ასოების“ პარპაშის ალაგმვა უნდა იყოს.

და, საერთოდაც, ჩემი აზრით, საქართველოს სახალხო დამცველი ჩვენი ლიბერასტული პარლამენტის (წაიკითხე, აშშ-ის საელჩოს) მიერ კი არ უნდა ინიშნებოდეს, საყოველთაო, პირდაპირი კენჭისყრით უნდა ირჩეოდეს! ასეთ შემთხვევაში 8 შვილის მამას, დიმიტრი ლორთქიფანიძეს მხარდამჭერთა 70-ათასიან სიას თავზე ვერ გადაახევდნენ და სახალხო დამცველად ეფრეიტორ ნინო ლომჯარიას ვერ წამოგვისკუპებდნენ...

**დავით მხეიძე**

ანტიქართული გადაწყვეტილება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ საქართველოს არსებობა სურს, კატეგორიულ უარს იტყვის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების განხორციელებაზე, თუ არა, ჩვენი ხვედრიც ეს ყოფილა — ამ გზით დავამთავროთ ამქვეყნიური არსებობა“.



გელა ლეჟავა:

# საკონსტიტუციოს გადაწყვეტილებაც და პრეზიდენტის განცხადებაც ქართველი ერის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია

**რატომ არ უნდა მიეღო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანაბისის (მარიხუანის) ლეგალიზაციის შესახებ გადაწყვეტილება? — ამ შეკითხვას უპასუხებს ცნობილი ნარკოლოგი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გელა ლეჟავა:**

— საკონსტიტუციო სასამართლოსა და მოქმედი პრეზიდენტის აზრები იდენტურია: დემოკრატია ნიშნავს ადამიანის უფლებას, მოიქცეს ისე, როგორც სურს; გააკეთოს ის, რაც სიამოვნებს. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ თავისი საქციელით სხვას არ აზიანებს.

არ ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს პრეზიდენტს, არაფერს ვამბობ საკონსტიტუციო სასამართლოზე, ჰქონდეს იმის პრეტენზია, რომ ჩვენ უფრო დემოკრატიული ქვეყანა ვართ, ვიდრე ევროპული დემოკრატიის ქვეყნები, მაგალითად, შვედეთი.

**შვედეთში კი ექიმის დანიშნულების გარეშე ნებისმიერი ნარკოტიკის მოხმარება მიჩნეულია სისხლის სამართლის დანაშაულად.**

სხვა საკითხია, რეალურად როგორ ისჯება ეს დანაშაული. დასჯის ზომები იქ მნიშვნელოვანი გრადაციით არის წარმოდგენილი, რაც, ბუნებრივია, ამ ქვეყნის ეკონომიკური, ჯანდაცვისა და სოციალური სისტემების შესაძლებლობიდან გამომდინარეობს. შვედეთი მდიდარი ქვეყანაა და შეუძლია ნარკოტიკის მომხმარებლის მიმართ არ გამოიყენოს მაინცდამაინც თავისუფლების აღკვეთის გადაწყვეტილება, აამოქმედოს სოციალური, ეკონომიკური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური ბერკეტები იმ უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც დამნაშავის ციხის კედლებს გარეთ დარჩენას შეიძლება მოჰყვეს.

**ჩვენ კი ეკონომიკურად შარვალგამოხეული ქვეყანა ვართ, რომელიც ცდილობს, წელში გაიმართოს; ქვეყანა, რომელშიც, როგორც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ძალიან დიდი სხვაობაა ეკონომიკურ მდგომარეობასა და დემოკრატიას შორის. ეს რეალობა უნდა გაეთვალისწინებინა კონსტიტუციურ სასამართლოსაც და პრეზიდენტსაც.**

**მაგრამ ასე არ მოხდა.**

ისეთ პირობებში, როცა საქართველოში დაძლეული არ არის სიღარიბე, უმუშევრობის დონე მაღალია, არ მუშაობს პრევენციული სისტემები, როცა ეფექტიანად არ მოქმედებს ახალგაზრდობის სოციალური პერსპექტივის უზრუნველყოფის და ა.შ. ფაქტორები, კანაბისის ლეგალიზებაც და პრეზიდენტის განცხადებაც, ჩემი აზრით, არის ქართველი ერის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

**— ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ეს გადაწყვეტილება არის ნარკომანებისადმი, რომლებიც უმწეო ავადმყოფები არიან, ადამიანური დამოკიდებლების დემონსტრაცია, ნარკოტიკის მოხმარების თავისუფლებამ კი შეიძლება გააბედნიეროს დაჩაგრული ახალგაზრდობა.**

— ათეული წლების განმავლობაში, რაც ამ სფეროსთან მაქვს საქმე, ბევრი რამ მომისმენია ნარკოტიკებთან ადამიანის ურთიერთობის შესახებ, წამიკითხავს, გავცნობივარ, მაგრამ **ასეთი სისულელე ჯერ არ მსმენია: თურმე ნარკოტიკმა შეიძლება ადამიანს დააძლევინოს სიდუხჭირე და ბედნიერ, პერსპექტიულ მოქალაქედ აქციოს.**

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და პრეზიდენტის პოზიციას თან სდევს ერთი ქვეტექსტი, ფრიად დამაფიქრებელი, რომელმაც სოციალური ქსელების მომხმარებელთა შეშფოთება გამოიწვია: თუ კანაბისის (მარიხუანის) ლეგალიზება არის დემოკრატიულობის გამოხატულება, რატომ არ შეიძლება ჰეროინის ლეგალიზაცია?

ამასთან, როგორც ჩანს, თვეების წინათ მიღებული გადაწყვეტილება 75 გრამი მარიხუანის დეკრიმინილაზაციის შესახებ, იყო კანაბისის ლეგალიზაციისთვის საზოგადოებრივი აზრის შემზადების მცდელობა!

**— არსებობს მოსაზრება, რომ ლეგალიზების განწყობილების გასავრცელებლად და დასანერგავად საქართველოში დიდძალი ფული იხარჯება, რომ ე.წ. თეთრი ხმაურის და მისნაირების აქციები, რომლებიც თბილისში დროდადრო იმართება, დაფინანსებულია ჩვენი ქვეყნის გარეთ მოქმედი ძალების მიერ, რადგან საქართველოს განიხილავენ ნარკოტრანზიტის ქვეყნად ცენტრალური აზიიდან ირანის გავლით ევროპის მიმართულებით.**



«კანონს რომ აუქმებდნენ, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები დაინტერესდნენ კი, სად შოულობს უძვირესი ნარკოტიკების საყიდელ ფულს ათიათასობით ნარკომანი ჩვენს გაჭირვებულ და გაღატაკებულ, უმუშევრობით დაღდასმულ ქვეყანაში, რომელშიც წესიერი, კანონიერი გზით ასეთი თანხის შოვნა შეუძლებელია?»

— ამ საკითხზე ერთ ასპექტს მივაქცევ თქვენს ყურადღებას: ნარკოტიკების თავისუფალი მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნეულია ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობის სიმრავლე იმ ქვეყანაში, რომელზეც ნარკოტრანზიტი გადის.

თუ არ მეშლება, აშშ-ის პრეზიდენტი ბუში-უმცროსი ამბობდა, რომ ქვეყანა, რომელშიც ასე თუ ისე ფეხი აქვს მოკიდებული ნარკომანიას, ჰგავს შიდსით (იმუნოდეფიციტით) დაავადებულ ადამიანს, რომელსაც იოლად ერევა ნებისმიერი ინფექცია. მისი აზრით, იმუნიტეტის ასეთი დაქვეითება კორუფციის გავრცელების წინაპირობაა, ანუ ნარკომანიის გავრცელება ხელს შეუწყობს კორუფციის მაღალი დონის გაჩენა-განვითარებას. ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ნარკოტიკების ბიზნესით...

**— ნარკომაფია?**

— დიახ, **ნარკომაფია ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველო უსაფრთხო ნარკოტრანზიტის ქვეყნად იქცეს.**

**— მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც ვხვდები, კატასტროფისკენ გვიბიძგებს.**

— ასე გამოდის. ახლა კი სხვა თემაზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას: **კანონს რომ აუქმებდნენ, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები დაინტერესდნენ კი, სად შოულობს უძვირესი ნარკოტიკების საყიდელ ფულს ათიათასობით ნარკომანი ჩვენს გაჭირვებულ და გაღატაკებულ, უმუშევრობით დაღდასმულ ქვეყანაში, რომელშიც წესიერი, კანონიერი გზით ასეთი თანხის შოვნა შეუძლებელია?**

სად ილექება ნარკოტიკების გასაღებით მიღებული ფული? ვის ჯიბეში? არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ დიდძალი თანხა და ენერგია იხარჯება იმისთვის, რომ საქართველო ნარკოლიბერალური ქვეყანა გახდეს. **სხვათა შორის, მასმედიას საკმაოდ ეფექტიანად იყენებენ ამ მიზნის მისაღწევად.**

**— და ამას სიტყვის თავისუფლების დროშით ფარავენ.**

— სხვა სიავეც სდევს ასეთ „დემოკრატიულ“ და „ლიბერალურ“ საქმიანობას, მათ შორის, ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესების თვალსაზრისითაც, სერიოზულ გართულებებს იწვევს რეპროდუქციულობის, შთამომავლობის გაგრძელების კუთხით, რაც განსაკუთრებით საშიშია ჩვენს დუხჭირ პირობებში, როცა არ გაგვაჩნია საჭირო სახსრები ამ უბედურებისგან ერის დასაცავად.

**— ბატონო გელა, რასაც ახლა ამბობთ, თქვენს სხვა პუბლიკაციებსა და გამოსვლებს თავი რომ დავანებოთ, არაერთხელ გითქვამთ ჩვენი მკითხველებისთვისაც. გქონდათ შესაძლებლობა, როგორც ექსპერტს, ობიექტური მონაცემები გაგეცნოთ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისთვისაც, მაგრამ სასამართლო სისტემის უმაღლესი სტრუქტურის პატივცემულმა შემადგენლობამ წაუყრუა გონივრულ რჩევას და ანტიეროვნული გადაწყვეტილება მიიღო. რით შეიძლება ამის ახსნა?!**

— მათ რომ დამღუპველი გადაწყვეტილება მიიღეს საქართველოსა და ჩვენი მოსახლეობის მიმართ, უდავოა. რატომ მოიქცნენ ასე, ამაზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან შეიძლება ძალიან უსიამოვნო ეპითეტების გამოყენება დამჭირდეს.

**— „საქართველო და მსოფლიოში“ ამ თემაზე ბატონმა ჯემალ ჯანაშიამაც ისაუბრა. მისი აზრით, შექმნილი სამართლებრივი ჩიხიდან გამოსვლის გზა შეიძლება იყოს სახალხო რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარება.**

— რეფერენდუმი, რასაკვირველია, შეიძლება მოეწყოს, მაგრამ, კანაბისის ლეგალიზაცია რომ მცდარი და მეტისმეტად მავნე გადაწყვეტილებაა, ამას არ სჭირდება საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. ადამიანი ავად რომ გახდება, აქციას კი არ მოაწყობს მოთხოვნით: მითხარით, რა მჭირს და როგორ ვიმკურნალოო, არამედ ექიმს მოიხმობს საშველად. აქაც ასეა. უმარტივესი პარალელია, მაგრამ ჩანს, ასეთი მარტივი კატეგორიებით უნდა ვესაუბროთ მათ, ვინც ჭეშმარიტების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებს.

დარწმუნებული ვარ: თუ საქართველოს არსებობა სურს, კატეგორიულ უარს იტყვის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების განხორციელებაზე, თუ არა, ჩვენი ხვედრიც ეს ყოფილა — ამ გზით დავამთავროთ ამქვეყნიური არსებობა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. პრობლემაში გასარკვევად ვიხმეთ ექიმი — „მკურნალი და მაჯისამცა შემტყობარი“. დიაგნოზი დასმულია. მივყვებით სალ აზრს? გადავრჩებით. უგულებელვყოფთ? შეუკვეთეთ შავი ჯვარი!**

ა.ს.

მოკლედ

## პატრიარქი ნარკოლიბერალიზაციის წინააღმდეგ

**საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ნარკოლიბერალიზაციის წინააღმდეგ გამოვიდა.**

„ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ნარკოტიკების მიღების ნებადართვა არის მტრობა ჩვენი ერისა, — ბრძანებს პატრიარქი, — არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნარკოტიკებს თუ დავუშვებთ, ჩვენ უნდა დავუშვათ ნარკოტიკებით ვაჭრობა, უნდა დავუშვათ მოყვანა და, მთავარი რაც არის, ეს გამოიწვევს ჩამოსვლას ახალგაზრდებისა მეზობელი ქვეყნებიდან, მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოვლენ ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ახალგაზრდები და შეიქმნება მთელი ცენტრი ნარკოტიკების.

ამიტომ მოგმართავთ ყველას, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ხელისუფლებას, ჩვენს ინტელიგენციას, ჩვენს ახალგაზრდობას, გავუფრთხილდეთ სამშობლოს, გავუფრთხილდეთ ჩვენს შვილებს, უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი გასინჯვა ნარკოტიკისა, ეს უკვე დასაწყისია დაცემისა“.



**რატომ „არ იცის“ საკონსტიტუციო სასამართლომ, რომ „გირჩული“ არგუმენტი — „რითაც ადამიანი საკუთარ თავს უშავებს მხოლოდ და სხვას არა, ეს მისი პიროვნული თავისუფლებაა და უნდა იყოს დაშვებული!“ — სრული იურიდიული ნონსენსი და სისულელეა? ყველაფერს თავის რომ დავანებოთ, მასე, გაცილებით უფრო ძლიერი ნარკოტიკითაც ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავს უშავებს. რა ვქნათ, დავაკანონოთ ჰეროინი, ოპიუმი, კოკაინი და ა.შ.?**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კონსტიტუციური «გირჩობა», ანუ «გასაბერი ეკლესიის» «დაჩუტული» მრევლი

## 6 ათასამდე წვევამდელიდან 4-მა ათასმა ჯარში სამსახურს ორგანიზაცია «გირჩის» მიერ გაცემული მოწმობებით აარიდა თავი

**გასულ კვირაში ჩვენს ქვეყანაში ორი „დიადი“ მოვლენა აღინიშნა: პირველი — ის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოწევა მთლიანად კანონიერ ქმედებად მიიჩნია, ანუ მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარებაზე როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც გააუქმა; მეორე — უკვე ოფიციალაურად გამოცხადდა სამხედრო სამსახურში გაწვევის შედეგი, რომლის მიხედვით, 6 ათასამდე წვევამდელიდან 4-მა ათასმა ჯარში სამსახურს თავი აარიდა ორგანიზაცია „გირჩის“ მიერ გაცემული მოწმობებით.**



ეს ორი მოვლენა სწორედ „გირჩით“ უკავშირდება ერთმანეთს, რადგან პირველ შემთხვევაშიც საზოგადოება „გირჩს“ მიაწერს ნარკოტიკის მოხმარებაზე აკრძალვის გაუქმებას. აკი სწორედ ამ ორგანიზაციამ მოითხოვა პირველმა ოფიციალურად, რომ მარიხუანის მოხმარება საქართველოში ლეგალური ყოფილიყო და დღეს უკვე მისი ლიდერები და მხარდამჭერები ზეიმობენ კიდეც „გამარჯვებას“. **სამხედრო გაწვევისგან თავის არიდების მსურველებს კი „გირჩი“, მოგეხსენებათ, აძლევს ცნობას, რომ ისინი რელიგიური ორგანიზაციის წევრები, ანუ მღვდელმსახურები არიან და ამის შემდეგ, კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის თანახმად, შესაბამის ორგანოებს აღარ აქვთ უფლება, ასეთი ცნობის წარმდგენი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიონ.**

გასაგებად რომ ვთქვათ, მეორე შემთხვევაში „გირჩმა“ თავის სურვილებსა და მიზნებს მოარგო საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ხარვეზი ან იქნებ სულაც მიზანმიმართული და წინასწარგანზრახული, სახელმწიფოსთვის ზიანის მომტანი ჩანაწერი, ხოლო პირველ შემთხვევაში პირიქით — საკონსტიტუციო სასამართლომ „გირჩის“ დაკრულზე იცეკვა და ქვეყნის უმთავრესი კანონი „გირჩის“ ნება-სურვილს მოარგო.

რატომ ხდება ასე და **რატომ დაიწყო სახელმწიფომ ერთი ადგილის თამაში ახალშექმნილი, სრულიად უაზრო სახელწოდებისა და არასერიოზული იმიჯის მქონე ორგანიზაცია „გირჩის“ ნება-სურვილზე?** ან სულაც, სრულიად არსაიდან, უცებ რატომ შეიქმნა ეს ორგანიზაცია და რატომ დაიწყო მან ისეთი მოთხოვნების საჯაროდ წამოყენება, რომლებიც საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის აბსოლუტური მოულოდნელობა და მეტიც, ერთგვარი შოკიც იყო? ასეთი რაღაცები შემთხვევით არ ხდება და შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ **გარკვეულმა ძალებმა სპეციალურად შექმნეს „გირჩი“, რათა მისი მეშვეობით საზოგადოებისთვის თავს მოეხვიათ თავიანთი ფარული ზრახვები და ნებასურვილები** — აქაოდა, აი, „გირჩის“ მოთხოვნის გამო მოხდა ესა და ეს ფაქტი და მოვლენაო. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარი ინიციატივით ხომ არ დაუშვებდა მარიხუანის მოწევას? ამაზე ვიღაცას ხომ უნდა შეეტანა მოთხოვნა? ამ მოთხოვნას მანამდე ხომ სჭირდებოდა საზოგადოებაში გავრცელება? ხომ იყო აუცილებელი საზოგადოების „ყურის მიჩვევა“ ამ თემაზე? და აჰა, ასეთი „გაბედული“ და „პროგრესული“ ორგანიზაცია აღმოჩნდა „გირჩი“, რომელმაც ჩაიდინა „გმირული ქმედება“ და „გაბედა“ ამ „ბნელ“ საზოგადოებაში ასეთი „ნათელი“ მოთხოვნების საჯაროდ წამოყენება. ყურადღება მიაქციეთ: **საკონსტიტუციო სასამართლო თითქოს „სტარტზე“ იყო და ელოდა „გირჩის“ ამ „ჩაწოდებას“ და უმოკლეს ვადაში საქართველოში მარიხუანა უკვე ლეგალური გახდა. რაც მთავარია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ფაქტობრივად, სიტყვასიტყვით გაიმეორა „გირჩის“ არგუმენტი, რომლის გამოც მარიხუანის მოწევა დასაშვებად და კანონით დაუსჯელ ქმედებად მიიჩნია.**

ამ საგაზეთო სტატიის მიზანი არ არის იმის გარკვევა, სწორი და მისაღებია თუ არა მსუბუქი ნარკოტიკის დაკანონება საქართველოში. ამაზე კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა იმსჯელონ, თუკი უკვე ძალიან გვიანი არ არის. ჩვენ მხოლოდ გარკვეულ გარემოებებს გავუსვამთ ხაზს და **ვეცდებით, საზოგადოებას დავანახვოთ, რომ ყველაფერი ასე მარტივად არ არის — თითქოს ვინმე ზურაბ ჯაფარიძეს მოეპრიანა და შექმნა „გირჩი“, რომელმაც ძირითად მიზნად დაისახა ნარკოტიკის ლეგალიზება, რომელსაც ორიოდე წელიწადში მარტივად მიაღწია კიდეც.**

ვიმეორებთ: საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა არგუმენტები რომ წამოეყენებინა და დაეშვა მსუბუქი ნარკოტიკების გამოყენება, კიდევ ჯანდაბას, მაგრამ ამ უწყების ვერდიქტში ლამის სიტყვასიტყვით არის გამეორებული, რომ **„მსუბუქი ნარკოტიკის გამოყენებამ მხოლოდ იმ ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას შეიძლება შეუქმნას საფრთხე, რომელიც მას მოიხმარს. ეს კი ადამიანის თავისუფლებაა. მას სურს, საკუთარი თავი დაიზიანოს, რაც არ შეიძლება დავუშალოთ, რადგან ასეთი აკრძალვა ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას ზღუდავს“.** აი, ეს არის ძირითადი არგუმენტი, რომლის გამოც მარიხუანა საქართველოში უკვე დაშვებულია, და რასაც, ორი წელიწადია, აქტიურად იმეორებენ „გირჩის“ ლიდერები ტელეეთერიდან. **თვალსაზრისი, რომ, „რაც არ ვნებს სხვას და გაზიანებს მხოლოდ შენ, უნდა იყოს დაშვებული კანონით, რადგან ადამიანის პიროვნული თავისუფლება ხელშეუხებელია“,** იურიდიულად სრული სიშტერე რომ არის, ამის დამტკიცება ძალიან იოლია.

მაგალითად, ავიღოთ ავტომობილის უსაფრთხოების ღვედი. **თუ უსაფრთხოების ღვედს არ გამოვიყენებთ, ამით საფრთხეს მხოლოდ საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შევუქმნით. ავტოავარიის შემთხვევაში ღვედი მხოლოდ ჩვენ გვიცავს ინდივიდუალურად. მიუხედავად ამისა, მისი გამოყენება სავალდებულოა და, თუ ღვედი არ გვიკეთია, საკმაოდ სოლიდური თანხით დაგვაჯარიმებენ.** რატომ? ეს ხომ ადამიანის პიროვნული თავისუფლების შეზღუდვაა?! **რა ვქნათ: მივმართოთ „გირჩს“ და საკონსტიტუციო სასამართლოს, რათა გააუქმოს უსაფრთხოების ღვედებზე ჯარიმა და მოგვანიჭოს სრული პიროვნული თავისუფლება?** მეტიც — ყველა დამწყები იურისტისთვისაც ცნობილია, რომ არშემდგარი სუიციდი ასევე ისჯება ადმინისტრაციულად, ანუ, თუკი ადამიანმა სცადა თვითმკვლელობა, დავუშვათ, დალია საწამლავი ან გადახტა მდინარეში, მაგრამ გადაარჩინეს, მაშინ მას ადმინისტრაცული ჯარიმა ეკისრება, თუ ზუსტად მახსოვს, 500 ლარის ოდენობით! რატომ? **განა საწამლავის დამლევი ადამიანი ვინმეს აზიანებს, საკუთარი თავის გარდა? მაშ, რატომ ჯარიმდება შეუმდგარი თვითმკვლელი 500 ლარით?** ამაზე იურისტებს დასაბუთებული პასუხი აქვთ; სხვათა შორის, ამას იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელიც კი დაგისაბუთებთ. მაშ, **რატომ „არ იცის“ საკონსტიტუციო სასამართლომ, რომ „გირჩული“ არგუმენტი — „რითაც ადამიანი საკუთარ თავს უშავებს მხოლოდ და სხვას არა, ეს მისი პიროვნული თავისუფლებაა და უნდა იყოს დაშვებული!“ — სრული იურიდიული ნონსენსი და სისულელეა?**

ყველაფერს თავის რომ დავანებოთ, მასე, **გაცილებით უფრო ძლიერი ნარკოტიკითაც ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავს უშავებს. რა ვქნათ: დავაკანონოთ ჰეროინი, ოპიუმი, კოკაინი და ა.შ.?**

როგორც ჩანს, საქმე სწორედ აქეთ მიდის და ისიც კარგად ჩანს უკვე, რომ „გირჩის“ გავლენით კი არ მოქმედებს ვიღაც, არამედ პირიქით — „გირჩი“ არის ინსტრუმენტი, რომელიც სპეციალურად დაარეგისტრირა მავანმა თავისი ინტერესების გასატარებლად და გარკვეული მიზნის მისაღწევად. ისიც **ნიშანდობლივია, რომ უმრავლესობის წარმომადგენელი პარლამენტარები ახლაღა ფიქრობენ მარიხუანის მოხმარების რეგულაციებზე, ანუ იმაზე, რა ადგილებზე უნდა იყოს დაშვებული მისი მოწევა, უნდა შეიძლებოდეს თუ არა მისი ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის სამსახურში გამოცხადება და ა.შ.** არადა, გაცილებით ჭკვიანური იქნებოდა, ჯერ რეგულაციები ჩამოეყალიბებინათ და მერე დაეშვათ მარიხუანის მოხმარება ლეგალურად. სწორედ ეს აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სწორედ იმ გარკვეული ძალების გავლენის ქვეშაა, რომლებიც „გირჩს“ უწევენ პატრონაჟს. ამით საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ფაქტის წინაშე დააყენა და ამ გადაწყვეტილების მოსალოდნელობის შესახებ პარლამენტარები არავის გაუფრთხილებია. **საკონსტიტუციო სასამართლომ, ასე ვთქვათ, „გაუჩალიჩა“ ხელისუფლებას, რომელიც სულაც არ აპირებდა მარიხუანის ლეგალიზებას.**

წელან ვთქვი: ამ სტატიის მიზანი არ არის იმის გარკვევა, მარიხუანის ლეგალიზება მოუტანს თუ არა ზიანს საზოგადოებას-მეთქი. სამაგიეროდ, ზუსტად ვიტყვით, რომ სახელმწიფოსთვის ზიანის მომტანია (ერთმნიშვნელოვნად) ის, რაც „გირჩმა“ სამხედრო სამსახურში გაწვევის საკითხზე გააკეთა. რაც უნდა ხარვეზი და „ხვრელი“ აღმოაჩინო კანონმდებლობაში, ამის გამოყენება შენი ქვეყნის წინააღმდეგ დაუშვებელია. მთავარი მაინც ის არის, რომ **„გირჩის“ ამ ინიციატივას საქართველოში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის მხოლოდ ერთ ნაკადში მთელი 4 ათასი მიმდევარი გამოუჩნდა, ანუ 6 ათასი გაწვეულიდან 4 ათასი ქართველი ახალგაზრდა, ორი მესამედი საერთო რაოდენობისა, მზად აღმოჩნდა, რომ „გირჩის“ მღვდელმსახურის წოდება მიეღო, ოღონდ კი სამხედრო სამსახურში არ წასულიყო.**

არგუმენტი, თითქოს ახალწვეულებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში „ვიშკებზე“ დადგომა არ სურთ და ამიტომ იღებენ „გირჩის“ მღვდელმსახურის წოდებას, სრული მარაზმია და ეს კიდევ უფრო უარეს სურათს წარმოგვიჩენს. **ჯერ ერთი — სამშობლოს უნდა ემსახურო იქ, სადაც საჭიროა, და მეორეც — კარგი, ჯანდაბას, სცადე რაღაც მეთოდებით სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ ამას „გირჩის“ ე.წ. გასაბერი ეკლესიის მსახურის წოდების მიღებაზე თანხმობა ემატება?! ანუ ახალგაზრდა არა მხოლოდ სამხედრო სამსახურს არიდებს თავს, არამედ საკუთარი წინაპრების რელიგიაზე, მართლმადიდებლობაზე ამბობს უარს, შეურაცხყოფს მას.**

ამას წინათ **სოციალურ ქსელში იხუმრა ვიღაცამ — „გასაბერ ეკლესიას მრევლიც გასაბერი ეყოლებაო“. მე კი მგონია, რომ „გირჩის“ მიერ წარმოდგენილი ამ „გასაბერი ეკლესიის“ მრევლიცა და მსახურებიც „გასაბერი“ ან „გაბერილი“ კი არა, პირიქით — დაჩუტული, დადებილებული და დაჩაჩანაკებული მამაკაცები არიან.** ამიტომ საეჭვოდ მეჩვენება საქართველოს პარლამენტის ის ინიციატივაც, რომ 2019 წლის იანვრიდან საქართველოს კონსტიტუციაში გაუქმდეს ჩანაწერი, რომლის მიხედვით რელიგიის მსახურების ჯარში გაწვევა დაუშვებელია. როგორც ჩანს, **თავის დროზე ეს ჩანაწერი „იეღოვას მოწმეთა“ ჯარიდან დასახსნელად გაკეთდა და ამიტომაც იყო, ალბათ, ასე რომ მომრავლდნენ ქართველი ბიჭები ამ რელიგიურ სექტაში.** ამჯერად პარლამენტარებმა „გამოსავალი“ გამონახეს და სამხედრო სამსახურისგან თავის არიდების მსურველ ბიჭებს სახანძრო-სამაშველო სამსახურებში გადაანაწილებენ. ეს არ ითვლება იარაღთან და კაცის კვლასთან შეხების მქონე მიმართულებად და, შესაბამისად, რელიგიის მსახურთა იქ წაყვანაც არ იქნება უკანონობაო, — ამბობენ კანონმდებლები... თუმცა მაინც საკითხავია: თუნდაც მძვინვარე ხანძრის ან რაიმე საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში როგორ მოიქცევიან და იქნებიან თუ არა გამოსადეგნი „დაჩუტული მამაკაცები“?

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და პარლამენტის დეპუტატებს მივმართო: ზოგ მათგანს შეიძლება ჰგონია, რომ, თუ მოსახლეობისთვის რომელიმე მიუღებელი კანონის კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს, პასუხისმგებლობას აიცილებს, მწარედ ცდება. ეს ის შემთხვევა არ არის, როცა დუმილი ოქროა; ეს ის შემთხვევაა, როცა დუმილით გაიცემა ღმერთი, შესაბამისად, მათი გაჩუმება და პირში წყლის ჩაგუბება, პასუხისმგებლობის აცილება კი არა, ღვთის გაცემა და ღალატია...“**

# საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება — საქართველოს წინააღმდეგ «ლიბერალების» ბრძოლის ახალი ეტაპი



*მამა ნიკოლოზი (ჩხიკვაძე):*

## სამი, ოთხი ან ხუთი წლის წინათ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ადამიანების გარკვეული ჯგუფი ქუჩაში აქციას ჩაატარებდა ნარკოტიკების მოხმარებისა და მით უფრო გასაღების ლეგალიზაციის მოთხოვნით?! ან ვინმე წარმოიდგენდა, რომ ნარკომანია კანონმდებლობით იქნებოდა წახალისებული?!

**ამა წლის 3 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა რელიგიური სექტის სარჩელი სრულად დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად ცნო ის მუხლი, რომლის თანახმად, საპატრიარქო ეკლესია-ტაძრების მშენებლობისას დღგ-ისგან თავისუფლდებოდა. ამის შემდეგ დასავლეთისგან მართული „ლიბერალური“ ძალების გაშმაგებული ბრძოლა და დისკრედიტაციის კამპანია მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ახალ ეტაპზე გადავიდა. თუ ადრე აღნიშნული ძალები იმის გამო ჩიოდნენ და შფოთავდნენ თავიანთი დასავლელი მამა-მარჩენლების წინაშე, რომ თურმე სახელმწიფო რელიგიურ უმცირესობებს სათანადო პირობებს არ უქმნიდა, ამჯერად მათი სამიზნე (თუ ლიბერალური ჭინთვებისა და ისტერიკის მიზეზი) ბიუჯეტიდან კონკრეტული ტაძრების მშენებლობის დაფინანსების საკითხია...**

რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მშენებარე ტაძარს და სოფელ **კორცხელის დედათა მონასტერს ადგილობრივმა ხელისუფლებამ (ზუგდიდის საკრებულომ) დაფინანსება შეუმცირა — ტაძრის მშენებლობასა და მონასტრის რეაბილიტაციას, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ადრე გათვალისწინებული 494 ათასი ლარის ნაცვლად, 200 ათასი ლარი მოხმარდება.** ეს გადაწყვეტილება საკრებულოში იმით ახსნეს, რომ თურმე ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიამ მშენებლობისა და რეაბილიტაციის ზუსტი ხარჯთაღრიცხვა ვერ წარმოადგინა (საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ჭეჟიამ მედიასთან ვერ დაასახელა დაფინანსების შემცირების სხვა მიზეზები); თავის მხრივ, ეპარქიაში საკრებულოს განცხადებას აბსურდული უწოდეს და განმარტეს, რომ მათთვის ადგილობრივი ხელისუფლებიდან ხარჯთაღრიცხვის წარდგენის მოთხოვნით ოფიციალურად არავის მიუმართავს. შეგახსენებთ, რომ საქართველოში მოქმედი (უცხოეთიდან დაფინანსებული) არასამთავრობო ორგანიზაციები, დიდი ხანია, ხელისუფლებას ეკლესია-მონასტრების მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის გამო მწვავედ აკრიტიკებენ. მათი შეფასებით, მსგავსი მიდგომა ქვეყანაში დისკრიმინაციულ ფონს კიდევ უფრო აძლიერებს და სხვა რელიგიურ კონფესიებს უფლებრივად ზღუდავს, რაც თურმე დემოკრატიისა და თანასწორუფლებიანობის დასავლურ სტანდარტებს უხეშად არღვევს, ხოლო ქვეყნის ევროატლანტიკურ მომავალს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს... **კონკრეტულად ვინ არის დაინტერესებული ეკლესია-მონასტრებისთვის დაფინანსების შემცირებით, რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი და რა ბერკეტები რჩება საზოგადოებას, რომ „ლიბერალური“ ძალების ამ მცდელობას წინ აღუდგეს?**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სოფელ დიღმის წმ. მარინეს ეკლესიის მოძღვარი მამა ნიკოლოზი (ჩხიკვაძე).**

**— მამაო, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოში მოქმედი სხვადასხვა რელიგიური კონფესიების სარჩელის საფუძველზე არაკონსტიტუციურად ცნო მუხლი, რომლის თანახმად, საპატრიარქო ეკლესია-ტაძრების მშენებლობისას დღგ-ისგან თავისუფლდებოდა. ოთხი დღის შემდეგ, 7 ივლისს, ზუგდიდში ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მშენებარე ტაძარსა და სოფელ კორცხელის დედათა მონასტერს ადგილობრივმა ხელისუფლებამ სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხა მინიმუმამდე შეუმცირა. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი? რა ძალები დგანან ამის უკან?**

— მარტივად შემიძლია გიპასუხოთ: ჩემი აზრით, და დარწმუნებული ვარ, ამაში ეჭვი არავის ეპარება, **საქართველოსადმი მტრულად განწყობილ ძალებს მართავს სოროსი თავისი პროპაგანდისტული საშუალებებით, აგრეთვე, ხელისუფლება, რომელიც მას ექვემდებარება და, რა თქმა უნდა, ის ე.წ. რელიგიური კონფესიები, რომელთა უპირველესი მიზანიც არის ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.** რას შეიძლება ემსახურებოდეს ეს ყველაფერი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომ მართლმადიდებლობა, როგორც უმთავრესი ქართული ეროვნული იდენტობა, დააყენოს სექტების დონეზე და მას არ უნდა ჰქონდეს არანაირი ხელშეწყობა სახელმწიფოსგან — არც ტაძრების მშენებლობის, არც ეკლესია-მონასტრების რეაბილიტაციის, არც, საერთოდ, სიწმინდეების მოვლა-პატრონობის საქმეში. ეს ცხადყოფს ვიღაცის ანტიმართლმადიდებლურ სურვილებს და მისწრაფებებს, ანუ **ვიღაცას არ სურს, საქართველოში აშენდეს ეკლესიები, ტაძრები, აღდგეს მონასტრები და ამისთვის იღებს კანონს, რომლის საფუძველიც არის მათ მიერვე მიზანმიმართულად შექმნილი ილუზია, თითქოს მართლმადიდებლობა მოძალადე რელიგიაა.** ეს ყველაფერი ისეთი ხელოვნური და იაფფასიანი ანტიმართლმადიდებლური კამპანიაა, ბავშვიც კი ხვდება, რომ რეალურად მის ავტორებს, ვინმეს უფლებები კი არა, ერთი კონკრეტული რამ აშფოთებთ. მათ აშფოთებთ, რომ პატრიარქისა და საპატრიარქოს ავტორიტეტი დღითიდღე იზრდება და თანამედროვე პიარტექნოლოგიებით წარმოებული ვერანაირი გაშმაგებული „ლიბერალური“ პროპაგანდა ამ ინსტიტუტს ვერ გააშავებს. პირიქით, რაც მეტს უტევენ და ებრძვიან მას, მით უფრო აძლიერებენ, უფრო შეუვალსა და ავტორიტეტულს ხდიან...

**— რა ბერკეტები რჩება საზოგადოებასა და ეკლესიას იმისთვის, რომ მცოცავი „ლიბერალური“ საკანონმდებლო ანექსია, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების კვალდაკვალ დაიწყო, თუნდაც ნაწილობრივ შეაჩეროს?**

— დღეს საზოგადოების დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია იმ ლიბერალურ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებსაც ცალკე პარლამენტი ახორციელებს, ცალკე — სასამართლო და ცალკე კიდევ — ვინ, კაცმა არ იცის. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ხალხს არ აინტერესებს ეს პროცესები, არა! ტყუილია, თითქოს საზოგადოებაში რაღაც საშინელი ნიჰილიზმია, უბრალოდ, ხელისუფლება ცდილობს, ჩუმად, დაძაბულობის გარეშე მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც, ზუსტად იცის, რომ, ინფორმირების შემთხვევაში, მოსახლეობის აზვირთებას გამოიწვევს. ამიტომ ვამბობ ყოველთვის და ყველგან, სადაც საშუალება მომეცემა, რომ ძალიან დიდი როლი გაკისრიათ თქვენ — მედიას. რაც შეეხება ბერკეტებს, ჩვენი ერთადერთი ძალა არის გაერთიანება და ერთად დგომა. დაქსაქსულ და გათითოკაცებულ ქვეყანაში დარაზმულ, ერთ მუშტად შეკრულ და პროპაგანდის ათასგვარი საშუალებებით აღჭურვილ ლიბერალებთან ეროვნულ იდეოლოგიას, უბრალოდ, მომავალი არ აქვს.

**— დავუბრუნდეთ ეკლესია-მონასტრების მშენებლობის საკითხს. ხელისუფლებამ საპატრიარქოს საგადასახადო შეღავათები გაუუქმა და კონკრეტული ტაძრის მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხა გაუნახევრა, მეჩეთებისთვის კი მილიონები არ ენანებათ. თან ამბობენ: ეს მეჩეთები აუცილებლად ქართული ფულით უნდა აშენდესო. რას იტყვით ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის, ამასწინანდელ განცხადებაზე, რომ მზად არის, ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას 20 და 30 მილიონი ლარი მოახმაროს?**

— რა უნდა ვთქვა **ბიძინა ივანიშვილზე? კაცზე, რომელსაც მოსახლეობა ენდო, მაგრამ შემდეგ ხალხს თავზე ლაფი გადაასხა, შეიძლება ლაპარაკი?!** ბიძინა ივანიშვილს საქართველო თავისი შპს ჰგონია, მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი, მომავალში უარესსაც გააკეთებენ, თუ არ გავერთიანდებით და ხმას არ ამოვიღებთ...

**— რა შეიძლება იყოს უარესი?**

— **ახლა მარიხუანის ლეგალიზაცია მოხდა, ხვალ-ზეგ კი ყველა სახის ნარკოტიკზე მიიღებენ ანალოგიურ გადაწყვეტილებას. შემდეგ გამსაღებლებსაც გაუხსნიან ხელფეხს, შემდეგ ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების ლეგალიზაციაზე დაიწყება საუბარი, შემდეგ ჰომოსექსუალ წყვილებს ბავშვის შვილად აყვანისა უფლებას მისცემენ...** ახლა ზოგს ეს შეიძლება, არარეალურად მოეჩვენოს, მაგრამ **სამი, ოთხი ან ხუთი წლის წინათ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ადამიანების გარკვეული ჯგუფი ქუჩაში აქციას ჩაატარებდა ნარკოტიკების მოხმარებისა და მით უფრო გასაღების ლეგალიზაციის მოთხოვნით?! ან ვინმე წარმოიდგენდა, რომ ნარკომანია კანონმდებლობით იქნებოდა წახალისებული?!** აი, ასე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება მსგავსი ცვლილებების განხორციელება იმ ქვეყნებში, რომლებშიც საზოგადოება ამის წინააღმდეგია და, თუ ვინმეს ჰგონია, დასავლეთი (ამერიკა და ევროპა) ერთ დღეში მივიდა ამ უბედურებამდე, ძალიან ცდება. ვფიქრობ, **საზოგადოებამ უნდა დაიწყოს იმ ადამიანების მხილება, ხელისუფლების წარმომადგენლებს ვგულისხმობ, რომლებიც სამარცხვინო გადაწყვეტილებებს იღებენ და ამით ძირს უთხრიან სახელმწიფოს. ძმაც რომ იყოს, არ უნდა დაინდო ამ მხილებისგან და ყველამ უნდა იცოდეს, რომ მტერი გვყავს ქვეყანაში. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, ჩემი აზრით, ის უნდა გაუქმდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს დაღუპავს...**

**— თუმცა ამ საკითხზე სასულიერო პირების აზრი ორად გაიყო. ზოგიერთი მღვდელმსახური (მათ შორის მაღალი იერარქებიც) თვლის, რომ განცხადებები საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმების თაობაზე არასერიოზულია.**

— ეკლესიის პოზიცია ამ საკითხზე ერთიანია, მაგრამ კონკრეტულ პიროვნებებს აქვთ თავიანთი ცდომილებები. საერთოდ, ასეთი რამ ყოველთვის იყო ეკლესიაში, თუმცა, თუკი ვინმეს რამე სარგებელი აქვს ან რამის ეშინია და რწმენა აკლია, ეს მისი პირადი პრობლემაა. ისე, როდესაც ეკლესიისა და საზოგადოების ბერკეტებზე ვსაუბრობთ, ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ მოხდება ანათემის გამოტანის აღდგენა. სხვა ახლა ეკლესია რამე ფორმირება არ არის, იარაღი რომ აიღოს ხელში...

**— კულუარული ინფორმაციით, პარლამენტი უახლოეს პერიოდში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის სამოქალაქო პარტნიორობის დასაკანონებლად საკომიტეტო მოსმენებს დაიწყებს. შემდეგ ამას, ალბათ, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებიც მოჰყვება... თქვენი აზრით, ჩვენი საზოგადოება როგორ მიიღებს ამ ყველაფერს?**

— თუ იმ მდგომარეობაში დავრჩებით, რომელშიც დღეს ვართ და, სამწუხაროდ, ხალხი ასე თუ ისე, მაინც ინერტულად უყურებს ამ ვითარებას, მაშინ მივიღებთ ამ ცვლილებებს, მაგრამ ამასთანავე, მივიღებთ ისეთ საშინელ სასჯელს, რომელსაც საქართველომ შეიძლება ვერ გაუძლოს...

**აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და პარლამენტის დეპუტატებს მივმართო: ზოგ მათგანს შეიძლება ჰგონია, რომ, თუ მოსახლეობისთვის რომელიმე მიუღებელი კანონის კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს, პასუხისმგებლობას აიცილებს, მწარედ ცდება. ეს ის შემთხვევა არ არის, როცა დუმილი ოქროა; ეს ის შემთხვევაა, როცა დუმილით გაიცემა ღმერთი, შესაბამისად, მათი გაჩუმება და პირში წყლის ჩაგუბება, პასუხისმგებლობის აცილება კი არა, ღვთის გაცემა და ღალატია...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ცნობისთვის:** საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტმა დასავლეთთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი რიგი საკანონმდებლო ვალდებულებების კვალდაკვალ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში 649 კანონი, 1864 დადგენილება, 73 საერთაშორისო ხელშეკრულება და 1 რეზოლუცია საზოგადოების ზურგს უკან, ჩუმად მიიღო. ცხადია, ამ ცვლილებების დიდი ნაწილი მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელი იყო, თუმცა, როგორც ჩანს, „ოცნება“ ამ ყველაფრის გამო ხალხის წინაშე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არ გრძნობს და აღნიშნულ საკანონმდებლო ქვედინებებს კვლავ განაგრძობს...

**„მოსამართლის უვადოდ დანიშვნა ცუდია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საზოგადოებას მისი ნდობა არ აქვს. მოსამართლის უვადოდ დანიშვნა ნიშნავს, რომ მას დაშვებულ შეცდომებზე პასუხისგება არ მოუწევს და ამაზე არ იფიქრებს. მოსამართლის შეცდომა ღუპავს ადამიანს, ამიტომ გადაწყვეტილება ზუსტი უნდა იყოს და, შეცდომის დაშვების შემთხვევაში, დასჯის უნდა ეშინოდეს, უვადოდ არჩეულ მოსამართლეს კი შიში არ აქვს“.**

პროცესი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ნიკოლოზ მჟავანაძე:

# «ციანიდის საქმეს» ეკლესიის დასაშლელად იყენებენ და არა გვენეტაძის გადასაყენებლად

**2 აგვისტოს თანამდებობა დატოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძემ. სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ნინო გვენეტაძე თანამდებობიდან წასვლის მიზეზად ასახელებს ჯანმრთელობის მდგომარეობას, რომ მას სჭირდება „რამდენიმეთვიანი მკურნალობა საზღვარგარეთ“. ის დატოვებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობასაც.**



ნინო გვენეტაძე



გიორგი მამალაძე

ნინო გვენეტაძე საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 2015 წლის 20 მარტიდან ხელმძღვანელობდა.

ბევრი ფიქრობს, რომ სასამართლო სისტემაში შექმნილი მძიმე ვითარების ფონზე მის მიერ თანამდებობის დატოვების დასახელებული მიზეზი დამაჯერებელი არ არის და მან თანამდებობა, სავარაუდოდ, სხვა მიზეზების გავლენით დატოვა. ამბობენ იმასაც, რომ ჯგუფს, რომელიც დღეს სასამართლო სისტემაში ბატონობს, მხარს უჭერდა ხელისუფლება, განსაკუთრებით, იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**, რის გამოც ნინო გვენეტაძე გარიყული აღმოჩნდა.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს არც ის გამოჰპარვიათ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან ნინო გვენეტაძის გადადგომა დროში საეჭვოდ დაემთხვა გადაწყვეტილებას „ციანიდის საქმეზე“ დაკავებული დეკანოზის, გიორგი მამალაძის საქმის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას. დაცვის მხარემ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩელის შეტანა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა, როგორც ადვოკატების, ისე პროკურატურის საჩივრების განხილვაზე. უფლებადამცველთა თქმით, საქმის ერთ-ერთ მოსამართლეს, ნინო გვენეტაძეს, შესაძლოა, განსხვავებული პოზიცია ჰქონოდა. **რატომ გადადგა სინამდვილეში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე ადამიანის უფლებათა დამცველ ნიკოლოზ მჟავანაძეს ვესაუბრეთ.**

— როგორც კი გადადგა ნინო გვენეტაძე, უმალვე გავრცელდა ხმა, დავალებებს ვერ ასრულებდა და იმიტომ წავიდაო. სინამდვილეში ეს ქალბატონი ძლიერი პიროვნება არ აღმოჩნდა და ვერ გაატარა ის პოლიტიკა, რომლის გატარებაც ზოგიერთს სურდა. ჩვენ ვხედავთ, რომ **ამ ქვეყანაში თითქმის ყველა რგოლი ათვისებული აქვთ სოროსის ლეკვებს.** მართალია, თვითონ გვენეტაძეც ერთ-ერთი მათგანია, რესპუბლიკური პარტიის წევრია, მაგრამ ვერ აღმოჩნდა სასურველი ხელმძღვანელი.

საზოგადოებას კარგად ახსოვს, რომ ნინო გვენეტაძის არჩევისას დიდი ხმაური იყო უმრავლესობაში: ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ის შეძლებდა გაძღოლოდა ამ სისტემას; ზოგის აზრით კი — ვერ შეძლებდა.

**ახლა უზენაეს სასამართლოშიც მოხდება ის, რაც მოხდა ყველა რგოლში: სახალხო დამცველის უწყებაში, პარლამენტში... — ყველგან, საერთოდ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტს სოროსის კადრი დაიკავებს, გაივლის გასაუბრებას სოროსის ხალხთან და თუ დარწმუნდებიან, რომ მათი იდეის უსიტყვოდ გამტარებელი იქნება, დაინიშნება თანამდებობაზე.**

**— როგორ შეაფასებთ გვენეტაძის მიერ გატარებულ რეფორმებს, მაგალითად, მოსამართლეების უვადოდ დანიშვნას?**

— მოსამართლის უვადოდ დანიშვნა ცუდია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საზოგადოებას მისი ნდობა არ აქვს. მოსამართლის უვადოდ დანიშვნა ნიშნავს, რომ მას დაშვებულ შეცდომებზე პასუხისგება არ მოუწევს და ამაზე არ იფიქრებს. მოსამართლის შეცდომა ღუპავს ადამიანს, ამიტომ გადაწყვეტილება ზუსტი უნდა იყოს და შეცდომის დაშვების შემთხვევაში დასჯის უნდა ეშინოდეთ. უვადოდ არჩეულ მოსამართლეს კი შიში არ აქვს...

**— ამბობენ, გვენეტაძე „ციანიდის საქმეს“ გადაჰყვაო...**

— არა, „ციანიდის საქმე“ არაფერ შუაშია. ნუთუ გვენეტაძეს უნდოდა, რომ ეს საქმე უზენაეს სასამართლოს არ განეხილა? — არა, არა მგონია. უზენაესი სასამართლო იმ შემთხვევაში განიხილავს საქმეს, თუ საქმეში არსებული გარემოებები ექვემდებარება გადახედვას. ხშირად უზენაესი სასამართლო სისხლის სამართლის კოდექსის საქმეებს არ განიხილავს.

**„ციანიდის საქმეს“ ეკლესიის დასაშლელად იყენებენ და არა გვენეტაძის გადასაყენებლად. ეს ქალბატონი წავიდა იმიტომ, რომ ხელისუფლებამ უფრო ძლიერი ფიგურა დასვას მის ადგილას.**

**«თავის დროზე გვენეტაძე შემართებით მიდიოდა უზენაესი სასამართლოს თამჯდომარის პოსტზე. ის ამბობდა, რომ «მურუსიძეებს» არ დატოვებდა სასამართლოში, მაგრამ საბოლოოდ კოაბიტაციაში შევიდა. არ გაუვიდა ამ ქალბატონს არაფერი და წავიდა. ვერ მოახერხა სათანადო საკადრო პოლიტიკის გატარება, ამიტომ გადაწყვეტილებაც ასეთი მიიღო. გვენეტაძე ამ თანამდებობას არ შეეფერებოდა»**

თავის დროზე გვენეტაძე შემართებით მიდიოდა უზენაესი სასამართლოს თამჯდომარის პოსტზე. ის ამბობდა, რომ „მურუსიძეებს“ არ დატოვებდა სასამართლოში, მაგრამ საბოლოოდ კოაბიტაციაში შევიდა. არ გაუვიდა ამ ქალბატონს არაფერი და წავიდა. ვერ მოახერხა სათანადო საკადრო პოლიტიკის გატარება, ამიტომ გადაწყვეტილებაც ასეთი მიიღო. გვენეტაძე ამ თანამდებობას არ შეეფერებოდა. ახლა შეარჩევენ „ძლიერ“ ფიგურას, რომელსაც ყველაფერს გააკეთებინებენ.

**— რას გეგმავენ ისეთს, რომ თანამდებობის პირებს გადადგომას აიძულებენ?**

— ცოტა ხანში ჰაერსაც „გადაგვიკეტავენ“. ვხედავთ, რომ მედიას აკონტროლებენ... სოროსის ფონდის კადრებს აქვთ ათვისებული ქვეყნის მნიშვნელოვანი საკვანძო უწყებები და სტრუქტურები. ველოდები, რომ **ცოტა ხანში დევნას დაიწყებენ იმ ადამიანებისას, რომლებიც მათსავით არ აზროვნებენ.**

არ ვიცი, როდემდე მოითმენს ქართველი ხალხი ამ ყველაფერს. საქართველოს ისტორიაში ეს ეპოქა ყველაზე დიდი შავი ლაქაა, ქართველს ამდენი არასოდეს მოუთმენია. რამდენიმე დღის წინათ **მამა თეოდორე გიგნაძემ** თქვა: „რომ ამბობენ, უარეს დღეშიც ყოფილა საქართველოო, ამაზე უარეს დღეში ჩვენი ქვეყანა არასოდეს ყოფილა“. საქართველო თუ დაპყრობილი იყო, იბრძოდა მაინც ქართველი კაცი. ახლა პოპულისტების, ვაი და ურაპატრიოტების დრო დადგა. ყველა ლაპარაკობს იმისთვის, რომ პოპულარობა მოიხვეჭოს. ჩვენს წინაპრებს ასე რომ ეცხოვრათ, აქამდე ვერ მოვაღწევდით.

თავლაფდასხმული ვართ. ეკლესიას, ეროვნულობას უტევენ, ყველა სტრუქტურა ათვისებული აქვთ ლიბერალებს და ვუყურებთ ისეთი პოლიტიკოსის გამოსვლებს, რომელსაც, თუ ქალია, თამარ მეფე ჰგონია თავი, თუ კაცი — დავით აღმაშენებელი.

**— ნინო გვენეტაძე დადებით პიროვნებად წარმოსახეთ. ამბობთ, რომ ბევრი დაკვეთა ვერ შეასრულა, რაც კარგია...**

— არ მითქვამს, რომ ის დადებითი პიროვნებაა, ის სუსტი ადამიანი აღმოჩნდა. და, საერთოდ, თუკი ხალხის ნებას დაჰყვებიან და **მურუსიძესა** და **ჩინჩალაძეს** სასამართლოდან მოაშორებენ, გგონიათ, ვინმე უკეთესს დანიშნავენ? დანიშნავენ **თამარ ჩუგოშვილისა** და **თამარ ხულორდავას** დაქალებს, საიას თანამშრომლებს და ა.შ.

**«დახვრეტის მუხლი რომ არსებობდეს, დასახვრეტები არიან. კონსტიტუციის მე-16 მუხლი შეცვალეს; ჩაწერეს, რომ მარიხუანის მოხმარება ადამიანის განვითარებას უწყობს ხელს. ხელისუფლებას ხელს აძლევს ასეთი გადაწყვეტილებების მიმღები ადამიანები. ანათემას უნდა გადასცენ ყველანი. მოღალატეები არიან, ქუჩაში ვერ უნდა დადიოდნენ»**

ბოლო წლების განმავლობაში გვეგონა, რომ, ვინმე ცუდს თუ მოხსნიდნენ, უკეთესით ჩაანაცვლებდნენ და რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ ყველა ჯერზე უარესი მივიღეთ.

მაგალითად, პრემიერი **ირაკლი ღარიბაშვილი** ბევრს არ მოსწონდა, მაგრამ ამ გადასახედიდან ის მართლაც ღირსეული პიროვნება ყოფილა. ახლა ამოიღეს ჩანაწერები, რომლებშიც ის ამბობს, რომ კატეგორიული წინააღმდეგია მარიხუანის ლეგალიზების. გაუშვეს ღარიბაშვილი და დაგვისვეს გაცილებით უარესი ადამიანი ქვეყნის მმართველად; კაცი, რომელზეც დანიშვნისთანავე თქვენს გაზეთთან ინტერვიუში განვაცხადე, რომ გადაჭამს ქვეყანას, მილიონებს იშოვის და წავა-მეთქი... ასე რომ, სულ უარეს და უარეს კანდიდატებს გვთავაზობენ. ასე იყო და ასე იქნება უზენაეს სასამართლოშიც. საკონსტიტუციო სასამართლოში **ტურავა** და **მინდია უგრეხელიძის** ცოლი რომ დანიშნეს, რამე შეიცვალა? დახვრეტის მუხლი რომ არსებობდეს, დასახვრეტები არიან. კონსტიტუციის მე-16 მუხლი შეცვალეს; ჩაწერეს, რომ მარიხუანის მოხმარება ადამიანის განვითარებას უწყობს ხელს. ხელისუფლებას ხელს აძლევს ასეთი გადაწყვეტილებების მიმღები ადამიანები. ანათემას უნდა გადასცენ ყველანი. მოღალატეები არიან, ქუჩაში ვერ უნდა დადიოდნენ, მაგრამ ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ პარლამენტს, საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებს.

ახლა ზოგიერთი პარლამენტარი ვითომ ცდილობს, დაგმოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მარიხუანის ლეგალიზებაზე, მაგრამ ეს სისულელეა, გაყიდულ თამაშს ჰგავს. არადა, ყველაფერი ნათელია. „გირჩს“ უნდოდა ლეგალიზაცია და შეიტანა განაცხადი საკონსტიტუციო სასამართლოში; მერე ვითომ პარლამენტს არ უნდოდა ლეგალიზება და მათაც შეიტანეს განაცხადი, მაგრამ ეს ხომ ბლეფი იყო სინამდვილეში?! არავინ ჭამს იმას, რომ, რაც პარლამენტს არ უნდა, ის გამოვა. ცოტა ხანში დაგვიკანონებენ პროსტიტუციასაც, რომელიც უკვე არსებობს, უბრალოდ, კანონით არის გასამყარებელი. **ამჟამინდელი ხელისუფლება სოდომგომორის ცოდვაში გვაცხოვრებს.** უარესის მოლოდინშია საზოგადოება. მალე პრეზიდენტიც ისევ სოროსის კადრი გვეყოლება და ერთიანი იდეის გარშემო იტრიალებენ სოროსის ლეკვები. წინა და ახლანდელ ხელისუფლებას შორის განსხვავება არ არის — სავლე პავლედ იქცა. ვინმე იტყვის, არ გვაწამებენო, მაგრამ ჯერ არ დამდგარა ამის დრო, თორემ უკან ესენიც არ დაიხევენ.

**— გგონიათ, რომ გვაწამებენ?**

— შემოდგომაზე აქციები დაიწყება და მერე ვნახოთ, რა მოხდება. ცუდად მენიშნა სასჯელაღსრულების სამინისტროს გაუქმება და ამ სისტემიდან კახა კახიშვილის გაშვება. კახიშვილი არ დაუშვეებდა უკანონობას, ამიტომაც ვერ გეტყვით, რა ჰქონდათ გეგმაში. კარგს რომ არაფერს უნდა ველოდოთ, ფაქტია.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

საკითხავი აი ეს არის...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ძალზე შორსაა ჩვენგან იოანე საბანისძე, მაგრამ იგი გვახსენებს, რომ არსებობს ზედროული პრობლემები; გვახსენებს, რომ ცალკეულ ეპოქათა მოღვაწენი პასუხს აგებენ ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და მრავალსაუკუნოვანი მომავლის წინაშე, რომ ერისთვის ათასი წელი ჭეშმარიტად ერთი დღეა, რომ „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ ბევრი რამით ყველა დროისთვის საერთო უნდა იყოს“.**

# საით მიდის საქართველო?

## ცალკეულ ეპოქათა მოღვაწენი პასუხს აგებენ ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და მრავალსაუკუნოვანი მომავლის წინაშე

ქართული კულტურულ-ისტორიული ტრადიციები ჩაგვაგონებს, რომ ხსნა არა წარსულთან სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში, არამედ მასთან ჰარმონიულ თანხმობაში უნდა ვეძებოთ და წარსულის გამოცდილება ქმედით გაკვეთილად ვაქციოთ ჩვენი ქვეყნის სამომავლო ორიენტირების განსაზღვრის საქმეში. „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების ულის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი — ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა“ (ილია ჭავჭავაძე).

ყოველივე ამის გათვალისწინება მით უფრო გვმართებს დღეს, როდესაც უნებლიე გულმავიწყობისა თუ შეგნებული იგნორირების მომაკვდინებელი სენი ასე საბედისწეროდ ღრღნის ჩვენს სულსა და გონებას.

„ძალზე შორსაა ჩვენგან იოანე საბანისძე, — შენიშნავს პროფესორი რევაზ სირაძე, — იგი გვახსენებს, რომ არსებობს ზედროული პრობლემები; გვახსენებს, რომ ცალკეულ ეპოქათა მოღვაწენი პასუხს აგებენ ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და მრავალსაუკუნოვანი მომავლის წინაშე, რომ ერისთვის ათასი წელი ჭეშმარიტად ერთი დღეა, რომ „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ ბევრი რამით ყველა დროისთვის საერთო უნდა იყოს“.

სწორედ ამ „ჩვეულების“ ღალატში, ღვთისგან განდგომასა და ცხოვრების ქრისტიანული წესის უგულვებელყოფაში ხედავდნენ მემატიანენი ქართველთა დაცემისა და დამარცხებების ჭეშმარიტ მიზეზს; ამის გამო წუხან და მრისხანებენ „ქართლის ცხოვრების“ ავტორები, აქედან იწყება დავით გურამიშვილის გოდებაც:

„მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმა მათ სასჯელი უგო ცოდვისა“...

„ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ — იოანე საბანისძის სიტყვებია, 1230 წლის წინათ თქმული, მაგრამ ყოველი დროისთვის მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური ეროვნული კონცეფციის შემცველი. ასე განმარტავს მათ ივანე ჯავახიშვილი. ეს სიტყვები გულისხმობს, რომ ყოველ ერს თავისი ისტორიული გზა და კვალი აქვს; ქართველებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ თავისი სამშობლოს ცხოვრების ტრადიციული წესი, რომელიც ყოველ დროში ყველასთვის სახელმძღვანელო უნდა გახდეს.

ეს განსაკუთრებით გვმართებს სწორედ დღეს, როცა, შეიძლება ითქვას, ჩვენი სამომავლო ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება.

და საით მიდის საქართველო — თავის ტრადიციებს, ჩვეულებებს ერთგულებს თუ სულ სხვა გზას დაადგა?

ამ კითხვას სვამს პროფესორი რევაზ სირაძე და წერილში „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ (ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“, 2010წ., №8) აღნიშნავს, რომ „ჩვენ გვმართებს, მოვიხმოთ დიდი ქართველი მწერლის მაღალი სიბრძნე (ავტორს მხედველობაში ჰყავს იოანე საბანისძე — რედ.), რომელიც გახდა საფუძველი მთელი შემდეგდროინდელი ჩვენი არსებობისაო“.

ცალკეულ ეპოქათა მოღვაწენი პასუხს აგებენ ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და მრავალსაუკუნოვანი მომავლის წინაშე... „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ ბევრი რამით ყველა დროისთვის საერთო უნდა იყოს! — ასეთია ამ წერილის პათოსი.

# «ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი»

ძალზე შორსაა ჩვენგან იოანე საბანისძე, მაგრამ იგი გვახსენებს, რომ ერისთვის არსებობს ***ზედროული პრობლემები***; გვახსენებს, რომ **ცალკეულ ეპოქათა მოღვაწენი პასუხს აგებენ ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და მრავალსაუკუნოვანი მომავლის წინაშე, რომ ერისთვის ათასი წელი ჭეშმარიტად ერთი დღეა, რომ „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ ბევრი რამით ყველა დროისთვის საერთო უნდა იყოს.**

მაგრამ არსებობს ეპოქები, როცა ყოველივე ამის გათვალისწინება განსაკუთრებით საჭიროა.

ასეთი დროა ახლა, ასეთი დრო იყო VIII საუკუნეშიც. მაშინ არაბთა ძალმომრეობის ეპოქა იდგა. VIII საუკუნეს განსაკუთრებით დაეჯერება, რადგანაც მაშინ მსოფლიოს დამთრგუნველი ძალის წინაშე იდგნენ. თბილისის არაბთა საამირო უკვე დაარსებული იყო, რომელიც თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში არსებობდა.

**ჩვენი ერის ისტორიაში, სხვაობათა მიუხედავად, ძნელბედობებით აღსავსე არაერთი ხანა ერთმანეთს ჰგავს. დღეს „თანამედროვე ფორმით“ გვთავაზობენ, ჩვენივე თანხმობით დაკანონდეს ჩვენი ყოფნა სხვის სახელმწიფოში, რომელშიაც ნებაყოფლობით შემსვლელთ აღარ ექნებათ უფლება მისგან ნებაყოფლობითი გამოსვლისა. ამით ჩვენ დიდი ისტორიული გამოცდის წინაშე ვდგებით; ჩვენივე არჩევანმა უნდა განსაზღვროს, ვართ თუ არა ჩვენ ღირსნი თავისუფლებისა. ამ პრობლემის გადაწყვეტისას ჩვენ პასუხს ვაგებთ მომავალი თაობების წინაშე, თანაც არა მხოლოდ ქართველთა წინაშე, არამედ წინაშე ყველა სხვა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერისა, რადგან, როცა ერთი ერი თმობს დამოუკიდებლობას, ამით სხვისთვისაც ქმნის არასასურველ პრეცედენტს.**

„აბო თბილელის წამება“ მიმართულია არაბთა ძალმომრეობის წინააღმდეგაც, უფრო ზუსტად, — წინააღმდეგ ქართველთა მიერ რწმენის დაკარგვისა. ქართველები „გარდაგულარძნესო (ე.ი. რწმენა გაუმრუდესო), — წერს იოანე საბანისძე, რომელნიმეო მზაკუვარებით და სხუანი, რომელნიესე ვართ მორწმუნენნი, მძლავრობასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე გუემულნი და ქეჯნილნი, ძვირად-ძვირად ზღუელნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. მიუხედავად ამისაო, — განაგრძობს იოანე საბანისძე, — **„ქრისტეს სიყუარულითა და შიშითა, ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა, არა განეშორებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა“.**

**ეს სიტყვები არაა გამიზნული მხოლოდ ეროვნულ ძნელბედობათა წარმოსაჩენად. აქ სხვა რამაა უმთავრესი სათქმელი, კერძოდ ის, რომ უბედურებათა განცდა სულიერ განწმენდას უნდა იწვევდესო და ვერ უნდა გვიკარგავდესო რწმენას. ასეთი იყო და არის „მამულისა ჩვეულებისაებრ სლვაო“.**

აქედან ისიც ჩანს, რომ ერის სულიერი თავკაცი ერის ნაკლოვანებათა მხილებას არ ერიდება, სიმდაბლეს არ ამართლებს ძნელბედობით და ამიტომ იოანე საბანისძე ჭეშმარიტი წინამორბედია ილია ჭავჭავაძისა. საერთოა მათთვის აზრი, რომ **ერის სისუსტეა, თუ ის მხოლოდ თავის ღირსებებზე ფიქრობს, ხოლო ერის ძლიერება იმით გამოიხატება, თუ რამდენად ძალუძს მას თვალი გაუსწოროს საკუთარ ნაკლოვანებებს, ეპოქისეულსაც და მუდმივთამხლებსაც.**

...ეროვნული ტოლერანტობა სრულიადაც არ მოასწავებდა ეროვნულ ნიჰილიზმს, რაც კარგად ჩანს „აბო თბილელის წამებიდანაც“, სადაც ქართლის ჭირის ერთ-ერთ მთავარ გამოხატულებად მიჩნეულია ის, რომ „აღვერიენით ერსა უცხოსაო“.

იოანე საბანისძე ქართველთა დიდ სამომავლო საფიქრალთან აკავშირებს საკუთარ ეროვნულ ნაკლოვანებათა მხილებას და ქართველთა ულირსობას ხელაღებით მხოლოდ არაბობას კი არ აბრალებს, არამედ საკუთრივ ჩვენსავე თანამდევ თვისებად თვლის. თანაც ეროვნული ნაკლულევანებანი თავის თავზე უნდა მიიღოსო პიროვნულად ყველამ. არვის შეჰფერის, რომ ცოდვებიან ერს დაუპირისპირდეს როგორც უცოდველიო. ეს დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანში“ ასე გამოიხატა: **ეროვნულ ნაკლოვანებებს თავისთავზე ყველაზე მეტად უნდა იღებდეს ერის თავკაცი, როგორც მეფე და როგორც პიროვნება. „ქართველთ მადლს ცოდვამ დასძლიაო“, — ამბობდა დავით გურამიშვილი და ყველაზე მეტად ცოდვილიანად თავის თავს რაცხდა.**

**ერს უნდა აერთიანებდეს არა მხოლოდ პიროვნებათა ღირსებით თანასწორობა, არამედ თანასწორობა ეროვნულ ნაკლოვანებათა პირისპირ დგომისას. ღირსების შეგრძნება კი არ წარმოაჩენს ნაკლოვანებას, არამედ ნაკლოვანებათა შეგრძნება წარმოაჩენს ღირსებას.**

იოანე საბანისძე ქართველთა ეროვნულ ღირსებებზედაც იმ მიზნით მსჯელობს, რათა გვიჩვენოს, თუ როგორ დავკარგეთ ანდა როგორ ვკარგავთ მათ.

**...„მამულისა ჩვეულებისაებრ სლვას“ უკავშირდება ი. საბანისძესთან იმის გათვალისწინება, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საქრისტიანო სამყაროს განაპირას („ყურესა ამას ქუეყანისასა“) და მარტოდმარტონი ვიცავთ ჩვენ თავსაო „ზედამდგომელთაგან ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა“. და ეს მიაჩნია ჩვენი ეროვნული არსებობის მუდმივთანმხლებ ფაქტორად. მართლაცდა, ეს დღესაც ასეა.**

...იოანე საბანისძე ეროვნულ სარწმუნოებრივ პრობლემებს განსჯის არა მხოლოდ გეო-პოლიტიკურ ფაქტორთა გათვალისწინებით, არამედ დროის ფატორთა კვალობაზეც. დრო უაღრესად მრავალნაირადაა მის მიერ გააზრებული: კერძოდ, რელიგიური თვალთახედვით, პოლიტიკური თვალსაზრისით თუ ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით.

...დღეს არცთუ იშვიათად გაიგონებს კაცი იოლად ნათქვამს — საქართველოში პოლიტიკური აზროვნების ტრადიციები არ ყოფილაო. ამის უარსაყოფად იოანე საბანისძის ნააზრევიც კმარა. იოანე საბანისძესთან შეგვიძლია დავინახოთ ბევრი ისეთი კონცეფცია, რომელიც განსაკუთრებით აკლია დღევანდელობას. მხედველობაში გვაქვს შემდეგი პრობლემა: ამა თუ იმ ეპოქის რაობას უმეტესწილად ▶



**«ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი» — იოანე საბანისძის სიტყვებია, 1230 წლის წინათ თქმული, მაგრამ ყოველი დროისთვის მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური ეროვნული კონცეფციის შემცველი. ასე განმარტავს მათ ივანე ჯავახიშვილი. ეს სიტყვები გულისხმობს, რომ ყოველ ერს თავისი ისტორიული გზა და კვალი აქვს; ქართველებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ თავისი სამშობლოს ცხოვრების ტრადიციული წესი, რომელიც ყოველ დროში ყველასთვის სახელმძღვანელო უნდა გახდეს**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არც ერთი მინისტრისა და დეპუტატის (ვიმეორებ, არც ერთის) შვილი არ სწავლობს ქართულ უმაღლეს სასწავლებელში, თუ სასკოლო ასაკისაა, ფასიან, ე.წ. „ელიტარულ“ სკოლაში დადის. ახლა ვიღაც გვეტყვის: აქვს მამას შესაძლებლობა და რატომაც არაო, მაგრამ ნურას უკაცრავად! ჩვენს შვილებს რომ ეუბნებიან, გინდათ თუ არა, არდადეგებზე არ დაისვენოთ, დასაქმების პროგრამაში ჩაერთეთ, მიმტანებად, დამლაგებლებად, ჭურჭლის მრეცხავებად იმუშავეთ, ფულისა და შრომის ყადრი გაიგეთო, რატომ არ სურთ, საკუთარ შვილებსაც იგივე ასწავლონ თუ თავიდანვე აჩვევენ მბრძანებლობას, შრომით კი სხვებმა — ჩვენმა შვილებმა — იშრომონ?**

ვახასიათებთ ხოლმე მხოლოდ შემდეგი თვალსაზრისით: სოციალური ასპექტით, ანდა პოლიტიკურით, ანდა ეკონომიკურით, ანდა კულტურულ-ისტორიული თვალთახედვით და ვივიწყებთ, რომ ეპოქა არის ფსიქოლოგიური რაობა, რომ საჭიროა ეპოქის ფსიქოლოგიური არსის გაგება. ეპოქისეული ფსიქოლოგიის საფუძველია კოლექტიური განწყობა, ეროვნული განწყობა (დ. უზნაძის კვალობაზე თუ ვიტყვით, ეროვნული „მზაობა“). **დღევანდელობისათვის კონკრეტულად საკითხი ასე დგება: რამდენად შეესაბამება ჩვენი დღევანდელი ფსიქოლოგია ჩვენსავე ბუნებას? რამდენად შეესაბამება ჩვენი დღევანდელი ფსიქოლოგია ჩვენსავე დიდ ეროვნულ მიზნებს?**

შეიცან თავი შენიო, — თუ ამას ერის მიმართ ვიტყვით, მასში, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ. სადღეისოდ უნდა ვიგულისხმოთ ერის სულიერი გაწონასწორება, ქართულად ამას ჰქვია დარბაისლობა. სამწუხაროდ, ეს სიტყვა სულ უფრო ნაკლებად ისმის. იქმნება სამწუხარო შთაბეჭდილება, რომ ეს სიტყვა ხშირად აღარც კი გვჭირდება. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ მტერთან ბრძოლაზე ძნელია ბრძოლა საკუთარ თავთან. ეს პიროვნებებზედაც ითქმის და მთელ ერზეც.

იოანე საბანისძე ქადაგებდა, რომ **მტერთან საბრძოლველად გვჭირდება ბრძოლა საკუთარ თავთან. ამის საფუძვლად მას მიაჩნდა ერის სულიერი განწმენდა, ერის თვითსრულყოფა.**

...სრულიად აშკარაა, რომ არსებობდა ეროვნული აღორძინების ერთიანი კონცეფცია, რომელსაც სხვადასხვა სახით ემსახურებოდნენ სამუელ ქართლის კათალიკოსი და ნერსე ერისთავი, გრიგოლ ხანძთელი და იოანე საბანისძე და, ცხადია, სულიერი წინამძღვარი ყველასთვის იყო კათალიკოსი სამუელი. მეტადრე, როცა ქვეყანას არ ჰყავდა ერთიანი ხელისუფლება. სწორედ სამუელ კათალიკოსმა უკარნახა იოანე საბანისძესაც „აბოს წამების შექმნა“.

გრიგოლ ხანძთელმა ყველაფრის წინაპირობად გამოაცხადა **ადამიანთა პიროვნული სრულყოფა, სულიერი თუ ყოფითი სიწმინდე.** ამას იგი ერთნაირად ითხოვდა ბერ-მონაზონთაგანაც, ეპისკოპოსთაგანაც და კურაპალატებისგანაც. მონოპოლია ჭეშმარიტებაზე განისზღვრებოდა მხოლოდ და მხოლოდ მაღალსულიერებით. ასე ამზადებდნენ ქვეყნის მომავალს. ამ გზის მიმდევარნი კი არ ემზადებოდნენ მხოლოდ მომავალი სიკეთისათვის, ისინი უკვე ცხოვრობდნენ სიკეთით. მაშასადამე, ცხოვრობდნენ ისე, როგორც უნდა ეცხოვრათ მომავალში, ცხოვრობდნენ შინაგანი სულიერი თავისუფლებით. ასე იცავდნენ ისინი თავსა და ერს „ზედამდგომელთაგან მათ ჩუენთა, მფლობელთა მის ჟამისათა“, ამიტომაც გასცდა მათი ღვაწლი მათსავე დროს, ამიტომაც არიან ისინი ფრიად ახლობელნი და მაგალითის მომცემნი დღევანდელობისთვისაც.

ეს იყო დიდი ისტორიული გამოცდილება, რომელმაც ჩვენთვისაც განსაზღვრა „მამულისა ჩუეულებისაებრ სლვაი“.

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

# ეს ხელისუფლება დანაღმულ ველზე დააბიჯებს

## ეჭვი გვაქვს, ხალხი ამათაც სანაგვეზე მოისვრის




## თუ პირველი სკოლის პირველკლასელს სოციალურ ქსელში პრესტიჟული დასასვენებელი ადგილიდან არ უდევს ფოტო, შეიძლება ბულინგის მსხვერპლი აღმოჩნდეს

**საქართველოს ხელისუფლება ზეიმობს — ივლისში ტურისტების რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა, რაც თურმე გასულ წელთან შედარებით ათი პროცენტით მეტია. რა თქმა უნდა, ამ ამბავს შესაბამისი პრესკონფერენციები მიეძღვნა, ტურიზმის სააგენტოს გარდა, მქუხარე ტაში მთავრობის წევრებმაც დასცხეს. იქ ვიღაცამ ისიც თქვა: თითო ტურისტის მიერ დახარჯული, სულ ცოტა, 200 დოლარი რომ ვიანგარიშოთ, გამოდის, გასულ თვეში საქართველოს მოსახლეობამ 200 მილიონი ჩაიდო ჯიბეშიო. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ციფრებში ძალიან კარგი და საინტერესოა, უფრო მეტიც — იმედისმომცემი, მაგრამ...**

ჯერ ის ვთქვათ, რა დამალა ტურისტულმა სააგენტომ. იმავე მონაცემებში გარკვევით, ძალიან გარკვევით წერია, რომ ივლისში ჩვენს ქვეყანას ქართული დიასპორის წარმომადგენლებიც ეწვივნენ, თუმცა მათი რაოდენობა გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 0,8%-ით ნაკლებია. შესაძლოა, პროცენტულად ბევრი არ არის, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რამდენი ემიგრანტი გვყავს, შთამბეჭდავ რიცხვს ვიღებთ. ესეც არ იყოს, აღნიშნული მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ემიგრანტებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, სამშობლო წელიწადში ერთხელ მაინც მოინახულონ და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აქ მათ სარჩენად დარჩენილებს ცხოვრება გაუძვირდათ, მეტი სჭირდებათ და საქართველოში ჩამოსასვლელი თანხაც სწორედ ამიტომ ვეღარ დაზოგეს. კარგი იქნებოდა, ტურიზმის სააგენტოს ესეც ეთქვა, მაგრამ ცუდი ხომ უნდა დავმალოთ, როცა აგერ, მილიონი ტურისტი გვყავს ერთ თვეში.

**ახლა უშუალოდ ტურისტებზე გადავიდეთ. ამ მიმართულებით თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი ლიდერობენ. რა გამოდის? ჩვენ მიერ ნაქებ ევროპასა და ამერიკას საქართველო, როგორც ქვეყანა, დიდად არ აინტერესებს; აინტერესებს, როგორც კოლონია.** კოლონიაში მოგზაურობა კი დიდი ვერაფერი პატივია. სამაგიეროდ, **„აგრესიული“ მეზობელი რუსეთი ისევ არ გვტოვებს, ასიათასობით რუსი ტურისტი ჩამოდის საქართველოში და შემდეგ სოციალურ ქსელებში წერენ, რომ ეს ისევ ის საქართველოა, სტუმართმოყვარე, მხიარული... და სხვებსაც ურჩევენ, გვეწვიონ.** აბა, გაიხსენეთ, ბოლოს როდის ითქვა, რომ რუსმა ტურისტმა იჩხუბა, რომ რუსი ტურისტი ქართველ არასრულწლოვან გოგოებს აეტორღიალა, რომ ავტომობილით მოძრაობის წესები დაარღვია და ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ვერ გაიხსენებთ, იმიტომ, რომ რუსებმა, ქცევის გარდა, ისიც იციან, რომ საქართველოში ადამიანები ცხოვრობენ.

სამაგიეროდ, ამის განცდა ხელისუფლებას აქვს დაკარგული. დიახ, დაკარგული აქვს, რადგან ჯერ **სააკაშვილის** ხელისუფლებამ დაიწყო მოწოდება — არიქა, შვილებს შრომა ასწავლეთ და მოსამსახურეებად გაზარდეთ, რადგან ჩვენ ტურისტული ქვეყანა ვართ და ჩამოსულ ტურისტებს მომსახურება სჭირდებაო. მერე იმის გამო იყო მიშა უკმაყოფილო, ქართველ სტუდენტებს მიმტანებად ვასაქმებთ, მაგრამ ღიმილი ვერ ვასწავლეთ, ეს კი ძალიან ცუდიაო. **გაზულუქებულ და უზრდელ ტურისტს (და ასეთი ბევრია), ძნელია, გაუღიმო მაშინ, როცა არ იცი, მიმტანობის ფასად ნაშოვნი ფულით სწავლის გადასახადი გადაიხადო, მშობლებს წამალი უყიდო, ტანსაცმელი შეიძინო, რომ სასწავლებელში მეორე წელსაც იმავე ფორმით არ მიხვიდე თუ, ბოლოს და ბოლოს, ნორმალურად იკვებო.** ამ პირობებში გაღიმება ძნელია და მით უმეტეს მაშინ, როცა სოციალურ ქსელებში კარგად ჩანს, სად ისვენებენ პოლიტიკოსების შვილები, რომლებსაც მშობლები რატომღაც არ ასწავლიან მომსახურებას, პირიქით, იმას ასწავლიან, როგორ მიიღონ ამ ცხოვრებისგან მაქსიმალური სიამე; მერე, როცა არდადეგები დასრულდება, განაგრძონ სწავლა საზღვარგარეთ ძვირად ღირებულ სასწავლებლებში, რათა სამშობლოს „დაბრძენებული“ და უცხოურდიპლომიანი დაუბრუნდნენ, მამიკოების ადგილები დაიკავონ.

განებავთ, ექსპერიმენტი ჩაატარეთ და ნახავთ, რომ **არც ერთი მინისტრისა და დეპუტატის (ვიმეორებ, არც ერთის) შვილი არ სწავლობს ქართულ უმაღლეს სასწავლებელში, თუ სასკოლო ასაკისაა, ფასიან, ე.წ. ელიტურ სკოლაში დადის. ახლა ვიღაც გვეტყვის: აქვს მამას შესაძლებლობა და რატომაც არაო, მაგრამ ნურას უკაცრავად! ჩვენს შვილებს რომ ეუბნებიან, გინდათ თუ არა, არდადეგებზე არ დაისვენოთ, დასაქმების პროგრამაში ჩაერთეთ, მიმტანებად, დამლაგებლებად, ჭურჭლის მრეცხავებად იმუშავეთ, ფულისა და შრომის ყადრი გაიგეთო, რატომ არ სურთ, საკუთარ შვილებსაც იგივე ასწავლონ თუ თავიდანვე აჩვევენ მბრძანებლობას, შრომით კი სხვებმა — ჩვენმა შვილებმა — იშრომონ?**

თქვენ არ გვიმტკიცებთ, შრომა აკეთილშობილებს ადამიანსო?! მაშინ რატომ არ გინდათ, რომ თქვენი შვილები კეთილშობილი იყვნენ?! ან უცხოეთში რომ სწავლობს და აქ ჩამოდის, საქართველოში მაინც დაასვენეთ, ქართული ადათ-წესები აქ მაინც ისწავლონ, აქ მაინც შეიყვარონ საქართველო, რეგიონებში, სადაც ასე თუ ისე შემორჩენილია ქართული სული... მაგრამ არა, მალდივის კუნძულებიდან ან მონაკოდან თუ არ ატვირთა შვილმა სოციალურ ქსელში ფოტო, მშობელი ავტორიტეტს დაკარგავს, შვილი დაიჩაგრება — თანატოლები დასცინებენ: სვანეთში, რაჭაში, მთა-თუშეთში, სამეგრელოში რამ წაგიყვანაო... და ამიტომ ხალხის ყვლეფით აქ ნაშოვნი მილიონები უცხოეთში იხარჯება...

შემოდგომაზე ახალი სასწავლო წელი იწყება და ყველა მშობელმა იცის, რომელ სკოლაში შეიყვანს შვილს. თბილისის პირველი გიმნაზია ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლად ითვლება. განათლების სამინისტრომ იქნებ აგვიხსნას, როცა სკოლებში მოსწავლეთა მიღების რეგისტრაცია დაიწყო, მაშინვე რატომ განულდა პირველი სკოლის ადგილები?! დიახ, რეგისტრაციის დაწყებიდან მეორე წამზე პირველ სკოლაში პირველკლასელთათვის ადგილები, უბრალოდ, აღარ იყო. ჰაერში დარჩნენ და სხვა სკოლებში გადანაწილდნენ იქვე მცხოვრები ბავშვები, რომლებსაც ტერიტორიულად ერგებოდათ პირველ სკოლაში მისვლა. მიზეზი მარტივია — **პირველი სკოლის პირველ კლასში მოხვედრა სამთავრობო დონეზე წყდება.** ანუ, ვინც „იჩალიჩა“, ის მოხვდება, ვინც არა და... ამ სკოლაში მოხვდა ჩემი ახლობლის შვილიც, რომლის მამამაც მთავრობის წევრთა ლამის ნახევარი ჩარია ამ საქმეში, თუმცა ყველაზე საინტერესო წინ ელოდა, **როცა საკუთარი შვილის მომავალ პედაგოგს შეხვდა. მისგან რჩევაც მიიღო: ზაფხულში შვილი უცხოეთში დაასვენე, რადგან ყველა პირველკლასელს სოციალურ ქსელში სურათი სწორედ უცხოური კურორტებიდან ექნება და არ დაიჩაგროს, ბულინგის მსხვერპლი არ გახდესო. ხვდებით, რა ხდება? თუ პირველი სკოლის პირველკლასელს სოციალურ ქსელში პრესტიჟული დასასვენებელი ადგილიდან არ უდევს ფოტო, შეიძლება ბულინგის მსხვერპლი აღმოჩნდეს.** ამ ჩემმა ახლობელმაც შვილი თავის დასთან გაუშვა — საბერძნეთში, იმ დასთან, რომელიც იქ ვიღაც მოხუცს უვლის და იძულებული შეიქნა, ერთკვირიანი შვებულება აეღო. მან სასწრაფოდ წაიყვანა ძმისშვილი ჯერ ესპანეთში, შემდეგ — საფრანგეთში, ბოლოს — გერმანიაში, სურათები გადაუღო და ბავშვი ახალ სასწავლო წელს „მზად შეხვდება“.

ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებას ჰქონდა იმის განცდა, რომ ისინი მუდმივად იქნებოდნენ ქვეყნის სათავეში და ამიტომ შვილებს თავიანთი ადგილებისთვის ამზადებდნენ, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. **ახლა იმავე დანაღმულ ველზე დღევანდელი ხელისუფლება დააბიჯებს და ზუსტად ისე იქცევა, როგორც მისი წინამორბედი. ჰგონიათ, რომ გავლენა, თანამდებობები მუდამ ექნებათ და მერე შვილებს გადაულოცავენ მემკვიდრეობით.** წინა ხელისუფლებას ხალხმა თავისი ადგილი მიუჩინა — სანაგვეზე მოისროლა და მიუხედავად ამისა, დღევანდელი ხელისუფალნი მათი სისხლიანი ხელების გაწმენდით არიან დაკავებული. ეჭვი გვაქვს, მოვა დრო და **ხალხი ამათაც წინამორბედის გზას გაუყენებს.** ამის ერთ-ერთი მიზეზი კი სწორედ ძალაუფლებით ტკბობა და რიგითი ადამიანების ფეხებზე დაკიდება (რბილად ვამბობთ) იქნება. დაიჯერეთ, ბატონებო, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება! შეიგნეთ, რომ შვილები ჩვენც გვიყვარს (შეიძლება თქვენზე მეტადაც კი), არ გვსურს, რომ ისინი მოსამსახურეები იყვნენ, ჩვენი სამსახური იკმარეთ, თორემ **შვილების გამო ადამიანი ყველაფერზეა წამსვლელი და შეიძლება, ყელზე მორგებული ჰალსტუხები ისე მოგიჭირონ, სუნთქვა ვეღარ შეძლოთ. ერთ თვეში ჩამოსული მილიონი ტურისტი კი ნუ გიხარიათ, ის იტირეთ, ერთ თვეში საქართველოში ჩამომსვლელი ემიგრანტების რაოდენობა რომ შემცირდა, რადგან სწორედ მათზე დგას ქართული ეკონომიკა და სწორედ მათ მიერ გამოგზავნილი ფულით ვიხდით გადასახადებს.** ის იკმარეთ, რომ ემიგრანტების გამოგზავნილ ფულს დამცირებისა და ცრემლის სუნი აქვს.

**ბესო ბარბაქაძე**

08.08.08

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს უდიდესი ტრაგედია არის ის, რომ საზოგადოებას არ შეუძლია, დანამდვილებით დაადგინოს, რა იყო მის თავს დატრიალებული უბედურების მთავარი მიზეზი — არაადეკვატური პოლიტიკოსის ილუზია თუ გაცილებით გამოცდილი ადამიანების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია, რომლის განსახორციელებლად სპეციალურად შეარჩიეს სუსტი ფსიქიკის მქონე პიროვნება, რათა პასუხისმგებლობა მისთვის დაეკისრებინათ.**

# ძია სემის ნაკვალევი ცხინვალში

**2008 წლიდან მოყოლებული, ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში, ამერიკულ მედიაში ყოველთვის ჩნდება რამდენიმე სტატია, რომლებიც შემდეგი მოსაზრების გამყარებას ემსახურება: „შეერთებულ შტატებს საქართველოში ომის დაწყებასთან არანაირი კავშირი არ აქვს“. გამონაკლისი არც აგვისტოს ომის მეათე წლისთავი გამოდგა.**



ამჯერად „ამერიკის ხმამ“ შემოგვთავაზა ინტერვიუ პრეზიდენტ **ბუშის** (უმცროსის) ყოფილ მრჩეველთან უსაფრთხოების საკითხებში — **სტივ ჰედლისთან**, რომელმაც 2008 წლის მოვლენებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მაგალითად, **რონალდ ასმუსი** თავის გახმაურებულ წიგნში „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“ აღწერს 2008 წლის 11 აგვისტოს თათბირს, რომელშიც ჯორჯ ბუში და დიკ ჩეინი მონაწილეობდნენ და რომელზეც როკის გვირაბზე ამერიკული ავიაციის მიერ იერიშის მიტანის საკითხი განიხილებოდა. ასმუსი აღნიშნავს, რომ განხილვის ინიციატორი სწორედ ჰედლი იყო, რადგან მას სურდა, გამოეწვია „ღია განხილვა და აეძულებინა ჩეინი და სხვები, პროტოკოლისთვის განცხადებები გაეკეთებინათ“. **კონდოლიზა რაისი** თავის მემუარებში წერს: **„შეხვედრა, ცოტა არ იყოს, რთულად სამართავი იყო. რუსების გამო ბევრი გულში მჯიღს იცემდა. ერთ მომენტში სტივ ჰედლი ჩაერია, რასაც იშვიათად აკეთებდა ხოლმე. ამ დროს იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ რით შეიძლება დაიმუქროს აშშ. „ერთი შეკითხვა მინდა დავსვა, — თქვა ჰედლიმ თავშეკავებით, — მზად ვართ იმისთვის, რომ საქართველოს გამო რუსეთს ვეომოთ?“ ხმაური ჩაწყნარდა და მან ადგილი დაუთმო კონსტრუქციულ საუბარს, რის გაკეთება შეგვეძლო რეალურად“.**

იმ ინტერვიუდან, რომელიც **სტივ ჰედლიმ** „ამერიკის ხმას“ წელს მისცა, საქართველოში ყურადღება მიაპყრეს შემდეგ მონაკვეთს: „მახსოვს, ომამდე სააკაშვილის ვიზიტი თეთრ სახლში და ბუშთან შეხვედრა ოვალურ კაბინეტში. შეხვედრის შემდეგ მედიასთან პრეზიდენტმა ბუშმა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მიმართ მხარდაჭერა გამოთქვა. როცა მედიის წარმომადგენლები ოთახიდან გავიდნენ და შეხვედრა მთავრდებოდა, **პრეზიდენტი ბუში სააკაშვილთან მივიდა, მკერდზე თითი მიადო და უთხრა: რუსეთი არ გაალიზიანო, რუსეთს თავს ვერ გაართმევ, მე რუსეთისგან ვერ დაგიცავ გეოგრაფიის გამო**“.

ახალი აქ, ალბათ, მხოლოდ „მკერდზე თითის მიდებაა“, თორემ მსგავსი შინაარსის განცხადება ადრეც არაერთ ამერიკელ მაღალჩინოსანს გაუკეთებია. კონდოლიზა რაისი, მისი თქმით, სააკაშვილს ასე მიმართავდა: **„რაც უნდა მოხდეს, არ მისცეთ რუსებს თქვენი პროვოცირების საშუალება. გახსოვდეთ, პრეზიდენტი ბუშიც ამბობდა, რომ მოსკოვი შეეცდება, სისულელე ჩაგადენინოთ. არ ჩაითრიოთ რუსეთის შეიარაღებული ძალები. ვერავინ დაგეხმარებათ და თქვენ დამარცხდებით“**, — ვუთხარი **მე მკაცრად“**.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილმა თანაშემწემ — **მეთიუ ბრაიზამ** 2013 წლის ინტერვიუში თქვა: **„შეერთებული შტატები უწყვეტად, გარკვევით და მკაცრად ეუბნებოდა საქართველოს, რომ თბილისმა აზრადაც კი არ უნდა გაივლოს რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება. ეს გზავნილი იყო მკაცრი და ზოგჯერ უხეშიც კი“**. იმავეს ამბობენ პროცესში ჩართული ყოფილი ქართველი მაღალჩინოსნებიც, მაგალითად, **ირაკლი ოქრუაშვილი: „როდესაც 2005 წლის მაისში პრეზიდენტ ბუშს შევხვდით, ჩვენ პირდაპირ გვითხრეს: ნუ ჩაერთვებით სამხედრო კონფრონტაციაში. ჩვენ ვერ დაგეხმარებით სამხედრო გზით“** (ეს განცხადება 2008 წლის სექტემბერში გაკეთდა).

აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: თუ ბუში, რაისი და სხვა მაღალჩინოსნები აფრთხილებდნენ სააკაშვილს, რამ გაათამამა ის ასე? რატომ შეიქმნა სიტუაცია, რომელსაც მეთიუ ბრაიზა ასე აღწერს: „ჩემი პირადი გამოცდილებიდან ვიცი: **ომის დროს ზოგიერთ ქართველ მაღალჩინოსანს არ სჯეროდა, რომ ჩვენ სამხედრო დახმარებას არ აღმოვუჩენდით“.** მართალია, სააკაშვილი მენტალურად არასტაბილური პიროვნება იყო და, სავარაუდოდ, დღესაც არის, მაგრამ შეუძლებელია, მთელი ხელისუფლება ილუზიებში ცხოვრობდეს და მცირეოდენი ეჭვი არ გაუჩნდეს მოვლენების შესაძლო განვითარებაზე. სწორედ ამის გამო **ომის დასრულების შემდეგ საქართველოში გაჩნდა ვარაუდი, რომ ამერიკელები რაღაცას მალავენ**.

„შემაკავებელ განცხადებას“ მხოლოდ პირველი პირები როდი აკეთებდნენ, მაგალითად, 2006 წლის 9 თებერვალს, აშშ-ის ელჩმა ეუთოში — **ჯული ფინლიმ** მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, **„სიფრთხილით მოეკიდოს შერეული სამშვიდობო ძალების ეფექტიანობის საკითხის გადაწყვეტას... თხოვნამ სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე მათი ჩანაცვლების გარეშე შეიძლება დესტაბილიზაცია გამოიწვიოს“.** იმავე წლის 1 ივნისს მეთიუ ბრაიზამ გააფრთხილა საქართველოს ელჩი აშშ-ში — **ვასილ სიხარულიძე,** რომ საქართველოს პარლამენტმა არ უნდა მიიღოს **„ემოციური და კონფრონტაციული რეზოლუცია აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების შესახებ, თორემ არც აშშ, არც მეგობართა ჯგუფი და არც გაერო საქართველოს მხარს არ დაუჭერს“** (სიხარულიძის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართ 2013 წლის მარტში გია ვოლსკიმ გაასაჯაროვა). იმავე წლის სექტემბერში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის — **პიტერ სემნების** თქმით, დასავლელმა პარტნიორებმა სააკაშვილისგან მოითხოვეს, რომ გაეროს გენასამბლეაზე გამოსვლისას ზომიერება გამოევლინა და რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანის კონკრეტული ვადები არ დაესახელებინა.

**2013 წლის გაზაფხულზე, როდესაც დაპატიმრების პანიკურმა შიშმა შეიპყრო, სააკაშვილმა «რუსთავი 2»-ს ძალიან უცნაური ინტერვიუ მისცა. კომენტატორების ნაწილმა ამ ინტერვიუში შანტაჟის ნიშნები დაინახა — სააკაშვილმა თითქოს მიანიშნა ამერიკელებს, რომ აგვისტოს ომში მათ როლზე შეიძლება გაცილებით სკანდალური რამ თქვას, იმ შემთხვევაში, თუ არ დაეხმარებიან, ქართულ მართლმსაჯულებას თავი დააღწიოს**

**მსგავსი რამ არა მხოლოდ 2006, არამედ 2007 და 2008 წლებშიც ხდებოდა და ბუშის ადმინისტრაციას, ერთი შეხედვით, 100%-იანი, საბუთებით გამყარებული ალიბი აქვს. რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, 2008-ში მოსკოვმა არაერთგზის მიანიშნა ამერიკელების დესტრუქციულ როლზე, ეს თემა არაერთ სტატიაში თუ კომენტარში გაიშალა, თუმცა შემდგომ, „გადატვირთვის“ პერიოდში, კრემლმა ის დღის წესრიგიდან მოხსნა.** 2013 წლის აგვისტოში კორესპონდენტის კითხვას — „იყო ეს საერთო ქართულ-ამერიკულ გეგმა თუ საქართველოს პრეზიდენტის პირადი ავანტიურა?“ — რუსეთის პრემიერმინისტრმა **დიმიტრი მედვედევმა** ასე უპასუხა: „არ ვიცი, მაგრამ გამოვდივარ იქიდან, რომ აშშ დიდი, ძალიან მძლავრი სახელმწიფოა, რომელიც მსოფლიოში ატარებს თავის ინტერესებს. არ მგონია, რომ აშშ-ის ინტერესებს პასუხობდა ასეთი ერთობლივი, სწორხაზოვანი პარტია სააკაშვილთან, რომელიც ასე სამარცხვინოდ დასრულდა. ერთია, გარკვეული მდგომარეობა, როდესაც ყველაფერი ბოლომდე არ ითქმის, და სხვაა სიტუაციის გათამაშება ერთობლივი თამაშის რეჟიმში. ვფიქრობ, რომ ეს, სულ ცოტა, „შემსრულებლის ექსცესია“.

**მიხეილ სააკაშვილს** არასოდეს მოსწონდა, რომ მას კლინიკურ იდიოტად წარმოაჩენდნენ, რომელსაც არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ ამერიკელი პარტნიორები. **2013 წლის გაზაფხულზე, როდესაც დაპატიმრების პანიკურმა შიშმა შეიპყრო, სააკაშვილმა „რუსთავი 2“-ს ძალიან უცნაური ინტერვიუ მისცა, რომელშიც ოფიციალური ამერიკული ვერსიის საპირისპირო განცხადებები გააკეთა**. მაგალითად, მან თქვა შემდეგი რამ ამერიკულ ხომალდზე, რომელიც, ვაშინგტონის განცხადების თანახმად, საქართველოში ჰუმანიტარული მისიით შემოვიდა: **„მართლა წყლის ჩამოსატანად ხომ არ ჩამოსულა, ხო?“ „მითხრა მე ჩეინიმ, რომელიც ჩამოვიდა მერე, შენ ხომ იცი, რომ ამ იმაზე სასმელი წყალი არ ყოფილა“** (სტილი დაცულია). იქვე იყო ჩეინის შესახებ კიდევ ერთი საინტერესო მონაკვეთი, სააკაშვილმა თითქოს სთხოვა, გაეხსენებინა 11 აგვისტოს (ასმუსის მიხედვით) თათბირი და აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა ბუნდოვანი პასუხი გასცა: „როგორც ვიხსენებ, ალბათ, ასეაო და მე ვუთხარი, თუ შეიძლება, მაშინ კარგად გაიხსენეთ კიდევ და კარგი იქნება, რომ მემუარებში ან სადმე საჯაროდ ახსენოთ“. **კომენტატორების ნაწილმა ამ ინტერვიუში შანტაჟის ნიშნები დაინახა — სააკაშვილმა თითქოს მიანიშნა ამერიკელებს, რომ აგვისტოს ომში მათ როლზე შეიძლება გაცილებით სკანდალური რამ თქვას, იმ შემთხვევაში, თუ არ დაეხმარებიან, ქართულ მართლმსაჯულებას თავი დააღწიოს.**

დიკ ჩეინის ფიგურა აგვისტოს ომის კონტექსტში ერთ-ერთი საკვანძოა, ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ სწორედ მისგან ან მისი გარემოცვიდან მოდიოდა სიგნალები, რომლებმაც სააკაშვილი ჭკუიდან გადაიყვანა და შეუსაბამო მოლოდინები შეუქმნა. როგორც განაცხადა ერთ-ერთმა საუკეთესო სპეციალისტმა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების საკითხებში — **ლინკოლნ მიტჩელმა** „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, **„მათ რეალურად შეეძლოთ, მოეძებნათ ვაშინგტონში ადამიანები, რომლებისგანაც შეიტყობდნენ იმას, რის გაგებაც სურდათ. ალბათ, ასეც იყო. რა დონეებზე იყვნენ ისინი, ვინც ასეთ სიგნალებს იძლეოდა, არ ვიცი. იყო ეს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი დიკ ჩეინი? — არ ვიცი. იყო ვინმე დიკ ჩეინის აპარატიდან? — შესაძლებელია. იყო რომელიმე ეროვნული უშიშროების საბჭოდან? — ესეც შესაძლებელია. იყო ეს კონდოლიზა რაისი? — არა. იყო ეს ჯორჯ ბუში? — არა. იყო ეს მაშინდელი ელჩი საქართველოში — ჯონ ტეფტი? — არა“**. ამაზე უფრო მკაფიო მინიშნებას დოკუმენტური მტკიცებულებების გარეშე მიტჩელი, ცხადია, ვერ გააკეთებდა. ამ კომენტარისადმი შეიძლება ერთი საინტერესო კითხვა გაჩნდეს: **ეს ადამიანები სააკაშვილმა იპოვა ვაშინგტონში თუ პირიქით — მათ იპოვეს სააკაშვილი, დაეხმარნენ ხელისუფლებაში მოსულიყო, შემდეგ კი არაადეკვატური მოლოდინები შეუქმნეს?**

ფაქტია, რომ 2007 წლის მიწურულს სააკაშვილი უკვე ალტერნატიულ რეალობაში იყო გაჭრილი: „შემდეგ ზამთარს უფრო თბილი კლიმატის პირობებში გავატარებთ, ჩვენ შინ დავბრუნდებით, მე ამას გპირდებით და ამის გარანტიას ვიძლევი, არასოდეს აქამდე ასე კონკრეტულად არაფერი მითქვამს“ (2007 წლის 28 ნოემბერი, შეხვედრა დევნილებთან).

**„5 იანვარს ყველაფერი კარგად ჩაივლის და ჩვენ, ყველანი, მივიღებთ ბილეთს თბილისი-სოხუმის მატარებელზე“** (2007 წლის 1 დეკემბერი, წინასაარჩევნო კონცერტი ვარკეთილში). „ცხინვალის რეჟიმი არის მოყანყალებული, როგორც ამოსაღები კბილი და დარწმუნებული ვარ, 5 იანვრის არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში, ეს არის მართლა კვირებისა და თვეების საკითხი. ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, ამაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს“, „რუსებს წამოსცდათ რამდენჯერმე, რომ სამხრეთ ოსეთი მათ არ აინტერესებთ. ეს მათ წამოსცდათ“ (2007 წლის 4 დეკემბერი, შეხვედრა სტუდენტებთან).

**საქართველოს უდიდესი ტრაგედია არის ის, რომ საზოგადოებას არ შეუძლია, დანამდვილებით დაადგინოს, რა იყო მის თავს დატრიალებული უბედურების მთავარი მიზეზი — არაადეკვატური პოლიტიკოსის ილუზია თუ გაცილებით გამოცდილი ადამიანების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია, რომლის განსახორციელებლად სპეციალურად შეარჩიეს სუსტი ფსიქიკის მქონე პიროვნება, რათა პასუხისმგებლობა მისთვის დაეკისრებინათ.**

**ლუკა ნემსაძე**

„2004 წლის 18 აგვისტოს სააკაშვილს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან დაურეკეს და უთხრეს: ერთ საათს გაძლევთ, ჯარი გაიყვანოო, მაგრამ გაჯიუტდა და რუსეთიდან ჯარი დაიძრა. მერე სააკაშვილი ამერიკას უკავშირდებოდა და მხოლოდ მაშინ გაიყვანა ჯარი, როდესაც ამერიკიდან უთხრეს, უკან დაეხია. იმ დღეებში 17 ადამიანი მოგვიკლეს“.

აგვისტოს ომის შედეგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «2008 წელს სააკაშვილმა თავის ხალხს ესროლა»

**2008 წლის აგვისტოს ომიდან 10 წელიწადი გავიდა. ამ ომის შედეგად საქართველომ დაკარგა ტერიტორიის 20%; დაკარგა კონტროლი ახალგორზე, ცხინვალის გარშემო მდებარე სოფლებზე, რომლებშიც ქართველები ცხოვრობდნენ, აგრეთვე, კოდორის ხეობაზე. 2008 წლის ომის შედეგად საქართველომ დაკარგა 230-მდე სამხედრო მოსამსახურე.**

**რუსეთ-საქართველოს ომის 10 წლისთავზე მოსკოვიდან კვლავ ისმის გაფრთხილება. „საქართველოს ნატოში შესვლამ, შესაძლოა, საშინელი კონფლიქტის პროვოცირება გამოიწვიოს. გაუგებარია, ვის რაში სჭირდება ეს?“ — განაცხადა რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელმა დიმიტრი მედვედევმა.**

**მსგავსი განცხადება რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმაც გააკეთა. მისი თქმით, ნატოსთან საქართველოსა და უკრაინის თანამშრომლობა დასაშვებია, მაგრამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ამ ქვეყნების ინტეგრაციის შემთხვევაში რუსეთს მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ექნება.**

**2013 წელს, აგვისტოს ომის ხუთ წლისთავზე, როდესაც ქვეყნის სათავეში ახალი მთავრობა მოვიდა, „საქართველო და მსოფლიომ“ ინტერვიუ ჩაწერა ერედვის მცხოვრებთან, პოლიციის ყოფილ თანამშრომელ აკაკი ცოტნიაშვილთან, რომელმაც პროკურატურაში დაკითხვაზე ჩვენება მისცა აგვისტოს ომის დეტალებზე. სამწუხაროდ, ამჟამად მასთან დაკავშირება ვერ შევძელით, მაგრამ გთავაზობთ ამონარიდს მისი ინტერვიუდან, რათა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ აგვისტოს ომის პერიპეტიები — როგორ ვითარდებოდა მოვლენები ომის დაწყებამდე და მის შემდგომ.**

## „2008 წლის 7 აგვისტოს ღამით, თორმეტის ნახევარზე, ცხინვალს ცეცხლი ჩვენებმა გაუხსნეს“

**აკაკი ცოტნიაშვილი:**

— მას შემდეგ, რაც „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა ხელისუფლების სათავეში, რუსებმა 2004 წლის 2 აგვისტოს 5 ათასი ჯარისკაცი შემოიყვანეს ჩვენს ტერიტორიაზე. ეს, ფაქტობრივად, ომს უდრიდა. იმხანად პოლიციის სამმართველოში ვმუშაობდი და დეტალები კარგად ვიცი. **2004 წლის 18 აგვისტოს სააკაშვილს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან დაურეკეს და უთხრეს: ერთ საათს გაძლევთ, ჯარი გაიყვანოო, მაგრამ გაჯიუტდა და რუსეთიდან ჯარი დაიძრა. მერე სააკაშვილი ამერიკას უკავშირდებოდა და მხოლოდ მაშინ გაიყვანა ჯარი, როდესაც ამერიკიდან უთხრეს, უკან დაეხია. იმ დღეებში 17 ადამიანი მოგვიკლეს.** ამაზე არავინ ლაპარაკობს, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი ფაქტია. ამ ნაძირალებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჯარი შემოიყვანეს, რითაც ოსებსა და ქართველებს შორის უკვე თითქმის მოგვარებული საქმე გააფუჭეს. 2005 წლიდან დაიწყეს აფეთქებები და ადამიანების დახოცვა. თითო-ოროლა ჩვენი მხრიდანაც იღუპებოდა და ოსების მხრიდანაც. **როგორც ნარკომანს წამალი, ისე უნდოდა ჩვენს ხელისუფლებას ომი.** მოკლედ, ის, რაც 2004 წელს ოქრუაშვილს არ გამოუვიდა, 2008 წელს სააკაშვილმა შეასრულა.

**2008 წლის 7 აგვისტოს ღამით, თორმეტის ნახევარზე, ცხინვალს ცეცხლი ჩვენებმა გაუხსნეს.** მათ ისიც კი არ იცოდნენ, რომ ორი შემოვლითი გზაა როკის გვირაბისკენ, ჯავაში გადასასვლელი. იმ გზით რომ წასულიყვნენ, ორი პოსტი შეხვდებოდათ 40-40 ადამიანით დაკომპლექტებული, **მეორე შემოვლით გზაზე კი სულ 60 ადამიანი იდგა, არანაირი საჭიროება არ იყო ცხინვალის დაბომბვის. ამ გზებით რომ ევლოთ, უღელტეხილამდე მივიდოდნენ, მთებში ომი არ გაიმართებოდა, მშვიდობიანი მოსახლეობა არ დაზარალდებოდა; იმ რამდენიმე ადამიანს, რომლებიც საზღვარზე იდგნენ, დაატყვევებდნენ და არაფერი არ მოხდებოდა.** ამხელა ჯარით მიდიოდნენ, წესით, პრობლემა არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ **ომი სურდათ და იმიტომაც მოიქცნენ ასე**, თუმცა მათი არაპროფესიონალიზმიც გასათვალისწინებელია.

2008 წლის 8 აგვისტოს, დილის ათის ნახევარზე, ერედვში ჩამოვიდნენ **დათა და ბაჩო ახალაიები, გოგი თავთუხაშვილი** და **„მასტერა“ — გია დგებუაძე.** 300 სპეცრაზმელი ჩამოიყვანეს სასჯელაღსრულებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებიდან. ამ მომენტისთვის ტელეეთერში აცხადებდნენ, რომ ავიღეთ ერედვი, დმენისი და ა.შ. ეს 300 სპეცრაზმელი აღებული ტერიტორიების დასაცავად და გასამაგრებლად ჩამოიყვანეს, მაგრამ ჩამოვიდნენ და ნახეს, რომ დმენისი აღებული არ არის. **მოვიდნენ მოსახლეობასთან, იარაღი დაგვირიგეს და გვითხრეს: წადით და დმენისი აიღეთო. ჯარი იქ იყო და ჩვენ გაგვიშვეს სოფლის ასაღებად. წავედით, სანამ დმენისამდე მიხვალ, რამდენიმე ადგილას საკონტროლო პუნქტი უნდა გაიარო, სადაც 100-100 ადამიანი დგას, რუსებმა გაგვიშვეს.**

დმენისის ასაღებად რომ ჩავედით, მოგვივიდა ბრძანება, — უკან დაიხიეთო. გამოვბრუნდით. რუსებს ხმა არ გაუციათ, ისევ გამოგვატარეს. უკან მობრუნებულები სოფლის გამგეობასთან შევიკრიბეთ, იქ იყო პარლამენტარი **გურამ ვახტანგაშვილიც**, მის ჯიპში ისხდნენ **ახალაიები, თავთუხაშვილი, „მასტერა“** და ბჭობდნენ; უკვირდათ, რატომ აცხადებდნენ ტელევიზიები, დმენისი აღებულიაო. ჯარი და სპეცრაზმი იქვე იდგა და განკარგულებას ელოდებოდნენ, მაგრამ ჩამოსულთაგან არავინ აპირებდა დმენისის აღებას. ხუთი საათი იქნებოდა, რუსებმა თვითმფრინავები რომ გამოუშვეს და სამი ბომბი ჩამოაგდეს. ეს ერედვში, სოფლის ცენტრში ხდებოდა, სადაც 2000 ჯარისკაცი, 800 რეზერვისტი და 300 გაწვრთნილი სპეცრაზმელი იდგა, მაგრამ არავინ იცოდა, რა უნდა ექნათ...



ლია. მინდა გითხრათ, რომ ოსები იმთავითვე გააღიზიანა რეგიონისთვის სახელის გადარქმევამ, ისინი გაბრაზდნენ, როდესაც „სამაჩაბლო“ უწოდეს... ისინი თვლიან, რომ სამხრეთ ოსეთია სწორი... ეს გამაღიაზიანებელი აღმოჩნდა რუსეთისთვისაც და არა მხოლოდ ოსეთის საკითხზე... გაიხსენეთ, რა მოხდა, როდესაც სააკაშვილმა კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი უწოდა, მაშინვე წაილეს ეს ტერიტორია აფხაზებმა რუსეთის დახმარებით.

1988 წელს **ზვიად გამსახურდიას** დავალებით გამოვაქვეყნე სტატია, რომელშიც საუბარი იყო ოსების ჩამოსახლებაზე საქართველოში, ბუნებრივია, ამ წერილს ოსეთის მხარის გაღიზიანება მოჰყვა.

ოსეთი საქართველოა და მისი ცალკე ყოფნა არ შეიძლება, რასაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რუსეთის გარეშე ვერ შევძლებთ. პატარა ქვეყანა ვართ, დასაკარგავი ტერიტორიები არ გვაქვს, არც იმის ფუფუნება, რომ საკუთარ ხალხს ვებრძოლოთ, არადა, ვებრძვით — 2008 წელს სააკაშვილმა საკუთარ ხალხს ესროლა. სამწუხაროა, რომ **სააკაშვილის შეცდომის გამოსწორებას არ ცდილობს ამჟამინდელი ხელისუფლება.** მას ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს ძველი ურთიერთობის აღსადგენად. რუსეთი ხშირად უხმობს სალაპარაკოდ, მაგრამ ესენი ყურსაც არ იბერტყავენ... მჯერა, დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ, მაგრამ ამისთვის სწორი პოლიტიკაა გასატარებელი. მაგალითად, როდესაც საქართველო ამბობს, **რომ ნატოსა და ევროკავშირისკენ ისწრაფვის, რატომ არავინ ფიქრობს, უნდათ კი ამ სტრუქტურებში ოსებსა და აფხაზებს?!** როდესაც საქართველოს ხელისუფლება ასე იქცევა, არ ითვალისწინებს მოძმე ერების აზრს, ეს ნიშნავს, რომ არ სურს ოსებისა და აფხაზების შემორიგება.

ჩემთვის ძნელია ოსეთთან ასეთი ცუდი დამოკიდებულების შორიდან ყურება. დედით ქართველი ვარ, ოსებიც მიყვარს და ქართველებიც. რამდენი წელიწადია ჩემი და არ მინახავს და, ალბათ, ვერც ვნახავ, თუ ასე გაგრძელდება. ოსეთში ბევრია ისეთი ოჯახი, რომლებიც განიცდიან ქართველებთან ურთიერთობის გამწვავებას, ელოდებიან ისეთი ადამიანის გამოჩენას, რომელიც შეძლებს ურთიერთობის მოგვარებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ათი წლის შემდეგაც კი სააკაშვილის მიერ წამოწყებულ სასტიკ ომს არ მიეცა შესაბამისი კვალიფიკაცია, არ ცნეს ყოფილი პრეზიდენტი და ქვეყნის მთავარსარდალი დამნაშავედ. ასეთი შეცდომები შერიგების იმედს უკარგავს ოსეთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს.

## «ცუდია, რომ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას შერჩა ეს ვანდალიზმი. ის არა მხოლოდ საქართველოში უნდა გასამართლებულიყო, არამედ საერთაშორისო დონეზეც»



## „ზუსტად ვიცი, რომ ომი, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, მიხეილ სააკაშვილის წამოწყებული იყო“

**2008 წლის აგვისტოს ომის 10 წლისთავზე ვესაუბრეთ პოლონეთში მოღვაწე ექიმ რუსლან ჯანიძეს, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება. ის ძალიან განიცდის მშობლიური მიწა-წლიდან მოწყვეტას და აქტიურად არის ჩართული ყველა პროცესში, რომელიც ქართულ-ოსური ურთიერთობის დარეგულირებისკენ არის მიმართული.**

— **პოლონეთში ვცხოვრობ, დედით ქართველი ვარ. ძალიან მძიმეა ჩემთვის ის, რაც ქართველებსა და ოსებს შორის ხდება. ზუსტად ვიცი, რომ ომი, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, მიხეილ სააკაშვილის წამოწყებული იყო და ის 2008 წელს არ დაწყებულა, ომის წინაპირობა ირაკლი ოქრუაშვილმა შექმნა ჯერ კიდევ 2004 წელს. გახსოვთ, ალბათ, მისი განცხადება, ახალ წელს ცხინვალში შევხვდებიო და სიტყვის გატეხა არ სურდა, ამიტომაც პირველი პროვოკაცია სწორედ მან მოაწყო 2004 წელს.**

ევროკავშირის ეგიდით ხორციელდებოდა პროგრამა „ქართულ-ოსური საზოგადოება მშვიდობის გზების ძიებაში“, რომელშიც ვმონაწილეობდი. პროგრამაში მონაწილეობდა ყველა, ვისაც შერეული ოჯახი ჰყავდა — ქართულ-ოსური. ძალიან მტკივნეულ თემებზე გვიწევდა საუბარი. ყველა დაინტერესებულები ვიყავით, რომ აღმდგარიყო ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის, მაგრამ კონსესუსამდე ვერ მივედით.

ადამიანები ყვებოდნენ, რომ საქართველო მძინარე ცხინვალს დაესხა თავს, რის გამოც ოსები იძულებული შეიქნენ, დახმარება რუსეთისთვის ეთხოვათ, რადგან არ ჰქონდათ ძალა, საქართველოს გამკლავებოდნენ. რუსეთი ძლიერია, სერიოზული ძალაა და მისი მხარდაჭერა სჭირდება საქართველოსაც, **მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებით არის შესაძლებელი საქართველოს გაერთიანება-გამთლიანება.**

— **ოსებს თუ სურთ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება?**

— თუ რუსეთი მიიღებს გადაწყვეტილებას, წინ ვერაფერი დაუდგება. ოსები პირად საუბრებში ამბობენ, რომ არ მოსწონთ ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობა და ისურვებდნენ საქართველსთან ინტეგრაციას.

ხშირად ვაქვეყნებ სტატიებს რუსულ ენაზე და **გამუდმებით ვსაუბრობ, რომ ურთიერთობები უნდა დათბეს, მაგრამ ძნელია, ეს გააგებინო იმ ადამიანებს, რომლებსაც 2008 წლის აგვისტოში მძინარეს დაესხნენ თავს.** მართალია, ომის წინ იყო პროვოკაციები, რომლებიც ომის დაწყებას მოასწავებდა, მაგრამ ცხინვალი მაინც არ ელოდა, რომ ეს მოხდებოდა... **ცუდია, რომ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას შერჩა ეს ვანდალიზმი, ის არა მხოლოდ საქართველოში უნდა გასამართლებულიყო, არამედ საერთაშორისო დონეზეც.**

— **ქართულ მართლმსაჯულებას სააკაშვილი რომ გაესამართლებინა, რამე შეიცვლებოდა ქართულ-ოსურ ურთიერთობაში?**

— აუცილებლად შეიცვლებოდა. იმას მაინც იტყოდნენ, რომ ყველა ქართველი არ იყო ომის მომხრე და გული მოულბებოდათ. ოსები ჯიუტი ხალხია, ისევე, როგორც ქართველები. ორივემ უნდა გადადგას ნაბიჯი ერთმანეთისკენ, მაგრამ ეს პირველმა საქართველომ უნდა გააკეთოს, რადგან ომი ქართველების დაწყებუ-

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც სტალინის უახლოესმა ადამიანებმა სტალინის ბინაში ალილუევას კუბო მაღლა აწიეს და გამოსვენების პროცესია დაიწყო, ქართული ტრადიციის თანახმად, პირველი კუბოს სტალინი მიჰყვებოდა. ის ხელის თითებს კუბოს კიდეებს არ აშორებდა. ცრემლი ლოყებზე ნაკადად სდიოდა. ისეთი განადგურებული ჩანდა სტალინი, რომ ახლობლებს ეშინოდათ კიდეც. ორკესტრი სამგლოვიარო მუსიკას უკრავდა. მშვენიერი ნადეჟდა კი, ყვავილებში ჩაფლული, კუბოდან თითქოს შეცოდებითა და ღიმილით ჩაჰყურებდა თავის მეუღლეს.**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №26-28 (450-452)**

# სტალინის პორტრეტისთვის

## 1931-1941 წლები. იდუმალების სამყარო

**გასული საუკუნის 30-იანი წლების აუხსნელი და ტრაგიკული მოვლენა — მეუღლის, ნადეჟდა ალილუევას, სიკვდილი — სტალინის ტრაგიკულ ბედისწერად უნდა მივიჩნიოთ. სტალინს ადამიანური სიმშვიდისა და თვით ადამიანის მიმართ ადამიანური დამოკიდებულების დეფიციტი შეექმნა. ემიგრანტი მწერალი მარკ ალდამოვი ალილუევას სიკვდილის გამო წერდა: „სტალინისთვის ალილუევას სიკვდილის შემდეგ სხვისი ცხოვრება კი არ წარმოადგენს კაპიკის ფასს, არამედ საკუთარი ცხოვრებაც“.**

ტრაგედიის ამსახველი სრული სურათი დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა, სტალინის ადამიანურ თვისებებზე საუბარი თითქოს აკრძალული იყო, რადგან მას უდიდესი საქმეები გადაფარავდა ხოლმე, მაგრამ ახლა, როდესაც ყოველივე დაფარულს მზის შუქი ეფინება, სტალინის პორტრეტი თითქოს ნეგატივიდან გამოდისო, სრულ გამოსახულებას ვიღებთ, მით უმეტეს ოჯახურ ცხოვრებაზე.

**როდესაც სტალინის უახლოესმა ადამიანებმა სტალინის ბინაში ალილუევას კუბო მაღლა აწიეს და გამოსვენების პროცესია დაიწყო, ქართული ტრადიციის თანახმად, პირველი, კუბოს სტალინი მიჰყვებოდა. ის ხელის თითებს კუბოს კიდეებს არ აშორებდა. ცრემლი ლოყებზე ნაკადად სდიოდა. ისეთი განადგურებული ჩანდა სტალინი, რომ ახლობლებს ეშინოდათ კიდეც. ორკესტრი სამგლოვიარო მუსიკას უკრავდა. მშვენიერი ნადეჟდა კი, ყვავილებში ჩაფლული, კუბოდან თითქოს შეცოდებითა და ღიმილით ჩაჰყურებდა თავის მეუღლეს.**

სტალინს გვერდით მიჰყვებოდა პოლიტბიუროს ყველა წევრი, იქვე იყვნენ შვილები და ნათესავები. ექვსი წლის სვეტლანა, როდესაც კუბოსთან მიიყვანეს, რათა დედისთვის უკანასკნელად დაეხედა, უკან ატირებული და აცახცახებული გამოიყვანეს... საშინელი სანახავი იყო ყოველივე. კიდევ უფრო საშინელი იყო გამომშვიდობების ბოლო წუთები. სტალინმა მოულოდნელად მიცვალებულს თავი ორივე ხელით ფრთხილად წამოუწია და სახეზე კოცნა დაუწყო. სტალინი ქვითინებდა და ცრემლით ცხედარს სახეს უსველებდა. **მოლოტოვი** იგონებს: **„როდესაც კუბოს მივყვებოდით, სტალინი სამარისებულად დუმდა, მხოლოდ ერთხელ გავიგონე ჩუმი ჩალაპარაკება „ვერ მოგიფრთხილდი“.**

ნადეჟდა ალილუევას, მისი ფსიქიკიდან გამომდინარე, მართლაც ჰქონდა მიზეზი იმისა, რომ გაფრთხილებოდნენ, მაგრამ სტალინს ერთი წუთითაც არ ჰქონდა დრო, ავადმყოფისთვის მიეხედა.

გამოსამშვიდობებელი სიტყვა **კაგანოვიჩმა** წარმოთქვა: „ჩვენ, სტალინის მეგობრები, თავს მოვალედ ვთვლით, მეუღლის სიკვდილის შემდეგ მას დარდი შევუმსუბუქოთ“.

სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა, რომელმაც მხოლოდ ხელი მოაწერა აშშ-ის ცენტრალური სადზვერვო სამმართველოს კაბინეტებში დაწერილ პასკვილს სტალინის მოგონებებზე, წერს: **„მამაჩემი ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დედაჩემის ცხედარს არ გაჰყოლია“.**

სტალინის ცილისმწამებლები მაშინვე ფიქრობდნენ, როგორ ჩაეკლათ ყოველგვარი ადამიანური სტალინში, რათა ის ნამდვილ სატანად ექციათ.

მაგრამ „არა არს რა დაფარული რომელიც არ გაცხადდეს“. სტალინის პირადმა მცველმა **ალექსეი რიბინმა** უმნიშვნელოვანესი მოგონებები დაგვიტოვა:

**„სტალინი სასაფლაოზე კიდევ ერთხელ დაიხარა კუბოსთან, მუხლზე დაიჩოქა და მეუღლეს პირზე კოცნითა და ცრემლით დაემშვიდობა. სტალინი ღამღამობით კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დადიოდა ცოლის საფლავზე და საფლავს, ჯვარს და მასზე აღმართულ ქანდაკებას თოვლისგან ასუფთავებდა, მისი ტანჯვის შესახებ არავინ იცოდა, იქნებ მეუღლის სულს ღმერთს ავედრებდა“.**

სტალინს ცხედრის კრემაცია და ფერფლის კრემლის კედელში მოთავსება ურჩიეს, მაგრამ მან, როგორც მართლმადიდებელმა, საყვარელი მეუღლის ნეშტი ცეცხლში დასაწვავად ვერ გაიმეტა, რადგან თვლიდა, რომ ცხედრის ცეცხლში დაწვა სატანური რიტუალი იყო. ცოლის სიკვდილი სტალინისთვის წყალგამყოფი აღმოჩნდა. ამიერიდან ის სულ სხვა ადამიანი ხდება და ამ ცვლილებას სრულიად ქვეყანა გააცნობიერებს. თავდაპირველად ეს გარეგნული ცვლილება იყო. ის გლოვობდა თავის ნადეჟდას ქართული წესით, ორმოცამდე თავის ბინაში ცხოვრობდა — ნადიას ნივთებს უვლიდა და ალაგებდა. ორმოცი დღის შემდეგ სტალინმა თავის ბინაში ცხოვრება არ მოისურვა ნადეჟდას გარეშე და ბინა **ბუხარინს** გაუცვალა, მაგრამ ძირითად საცხოვრებლად მან მოსკოვისპირა აგარაკი აირჩია. იქ განმარტოვდა და საბოლოოდ იქ დასახლდა. ადამიანი, რომელმაც ნახევარი სიცოცხლე დაკარგა, სახელმწიფო საქმეებს უნდა დაბრუნებოდა. ნადეჟდა ალილუევა 1932 წლის 11 ნოემბერს დაკრძალეს, მეორე დღეს კი სტალინი კრემლის კაბინეტში მუშაობას შეუდგა. სააღრიცხვო რვეულიდან ჩანს, რომ პირველი, ვინც სტალინის სამუშაო ოთახის კარი შეაღო 12 ნოემბერს, იყვნენ **კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, კიროვი, ლიტვინოვი, კარახანი** და **რადეკი.** ისინი საკმაოდ დიდხანს იყვნენ სტალინთან ერთად მის სამუშაო კაბინეტში. მომდევნო დღეებში სტალინი მთელი დატვირთვით მუშაობდა. მასთან ყველაზე ხშირად კიროვი იყო (ისტორიული არქივი, სტალინის სტუმრები კრემლის კაბინეტში. გვ. 128).

1933 წლის ზამთარი 1932 წლის მძიმე შემოდგომის გაგრძელება იყო. უკრაინა შიმშილობდა. ამას აკავშირებდნენ



**«სტალინი სასაფლაოზე კიდევ ერთხელ დაიხარა კუბოსთან, მუხლზე დაიჩოქა და მეუღლეს პირზე კოცნითა და ცრემლით დაემშვიდობა. სტალინი ღამღამობით კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დადიოდა ცოლის საფლავზე და საფლავს, ჯვარს და მასზე აღმართულ ქანდაკებას თოვლისგან ასუფთავებდა, მისი ტანჯვის შესახებ არავინ იცოდა, იქნებ მეუღლის სულს ღმერთს ავედრებდა»**



სტალინის გამოსვლა

**მ.ნ. რიუტინის** საქმესთან, რომელიც იმ ირკუტსკელ ბოლშევიკებს ხელმძღვანელობდა, რომლებმაც 1920 წელს ადმირალი **ალექსანდრე კოლჩაკი** დახვრიტეს. ჭორების მიხედვით, სწორედ „რიუტინის პლატფორმა“ წაიკითხა ნადეჟდა ალილუევამ („გაღატაკებული, გაძარცვული, განადგურებული, შიშველი და მშიერი ქვეყანა, რომელმაც სოციალიზმის რწმენა დაკარგა, დენთით სავსე კასრს დაემსგავსა და უფრო და უფრო ექცევა ჩიხში...“) 1932 წლის ოქტომბერში, დნეპრჰესის საზეიმო გახსნის დღეებში, რიუტინი გაასამართლეს და 10 წლით აღუკვეთეს თავისუფლება.

სტალინს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ საზღვარგარეთიდან, ტროცკის მხრიდან წამოსული და თვითონ ცენტრალურ კომიტეტში გახმაურებული საუბრები მისი გადაყენების შესახებ სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვის მცდელობა იყო და სხვა არაფერი. მის ახლანდელ მოწინააღმდეგეებს ხომ რევოლუციური გადატრიალებებისა და სამოქალაქო ომების იატაკქვეშა ბრძოლის სკოლა ჰქონდათ გავლილი. ეს ადამიანები მხოლოდ იარაღის საშუალებით აზროვნებდნენ (შეგახსენებთ, რომ სტრუვემ ლენინს „მოაზროვნე გილიოტინა“ უწოდა“). საინტერსო კი ის არის, რომ 1932 წლის 13 დეკემბერს, როცა **ეისმონტისა** და სმირნოვის საქმეების გამოძიება მიმდინარეობდა, სტალინსა და **ნიკოლაი ეისმონტს** შორის საუბარმა ერთ საათს გასტანა. როგორც ჩანს, სტალინს პირადად უნდოდა სახელმწიფო კომიტეტების ოპოზიციონრობის მიზეზში გარკვეულიყო. ეისმონტმა თავის უდანაშაულობაში ვერ დაარწმუნა სტალინი და ის 24 ნოემბერს დააპატიმრეს.

17 დეკემბერს სტალინმა თავისი მოსაზრება ვოროშილოვს დეპეშის სახით გაუგზავნა: „ეისმონტი-სმირნოვის საქმე რიუტინის საქმის ანალოგიურია, მაგრამ შედარებით ნათელი და ურთიერთობის სიახლოვით გაჯერებული. გამოდის, რომ მთელი ოპოზიციური გუნდი ეისმონტ-რიკოვის სუფრის გარშემოა შეკრებილი და დესერტს ელოდება. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, ცოტა მძინავს, მდგომარეობიდან რთულად გამოვდივარ, მაგრამ ეს საქმეზე არ აისახება. მოკითხვა. 16. 12. სტალინი“.

მის სიტყვებში დანაკარგით გამოწვეული ტკივილი და რკინის ნებისყოფა იგრძნობა. ვის შეეძლო სტალინის დახმარება? ასეთი ადამიანები არ არსებობდნენ. იქნებ კიროვს შეეძლო? მას ჯერ კიდევ 1925 წლიდან დაუმეგობრდა. ეისმონტი-სმირნოვის საქმის მსვლელობასთან ერთად სახელმწიფო მართვის ორგანოებმა ტრაქტორცენტრიდან „მავნებლების“ შესახებ ახალი საქმე წარმოადგინეს. სტალინი მიმდინარე საქმეებში ჩაეფლო. მისთვის ახლა უმთავრესი საზრუნავი მომავალი გაერთიანებული პლენუმის წინაშე გამოსვლა იყო, რომელზეც პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ მოხსენება უნდა წარმოედგინა. სტალინგრადისა და ხარკოვის სატრაქტორო, მოსკოვისა და ნიჟნი ნოვგოროდის საავტომობილო ქარხნები, დნეპრჰესი, მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატები, ურალის მანქანათმშენებელი და ქიმიური ქარხნები — ეს ყველაფერი სინამდვილე იყო. სიმართლე იყო სტალინის მიერ ციტირებული სიტყვები ინგლისელი ბიზნესმენის, **ჯარვის გიბსონისა, „დღევანდელი რუსეთი სალიერებისა და იდეალების ქვეყანაა...“** სტალინი განაგრძობდა: **„რუსეთი მანქანებით აზროვნებს. რუსეთი ხის საუკუნიდან რკინის, ფოლადის, ბეტონისა და ძრავების საუკუნეში სწრაფად გადადის. ჩვენ ადრე არ გვქონდა შავი მეტალურგია, ტრაქტორების წარმოება, ქიმიური მრეწველობა. დღეს ქვანახშირის, ნავთობისა და ელექტროენერგიის წარმოების მხრივ ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა. წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით სამჯერ და 1928 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა...“**

აქ სტალინმა აღიარა, რომ ხუთწლედის საერთო გეგმის შესრულებას 6 პროცენტი აკლდა, მაგრამ რატომ მოხდა ასე? — **„მეზობელი ქვეყნების მხრიდან თავდაუსხმელობის შესახებ შეთანხმებაზე უარისა და შორეულ აღმოსავლეთში ვითარების გაუარესების გამო, იძულებულები შევიქენით, თავდაცვის გაძლიერების მიზნით რიგი ქარხნების ძალები თანამედროვე იარაღის საწარმოებლად გამოგვეყენებინა“.** მართლაც, 1932 წელს იაპონიამ საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის შესახებ შეთანხმებას ხელი არ მოაწერა და ჩინეთში, საბჭოთა კავშირის საზღვრებთან ახლოს, სამხედრო პოზიციების გამაგრება დაიწყო. საბჭოთა ხელმძღვანელობა ვარაუდობდა, რომ, დიდი ალბათო- ▶

**1933 წლის 25 თებერვალს საბჭოთა სახალხო კომიტეტმა უკრაინას 320 000 ტონა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიას 240 000 ტონა მარცვლეული გამოუყო, დახმარება სხვა მხარეებსაც გაეწიათ. 1933 წლის აპრილისთვის უკრაინისთვის გაცემულმა რეალურმა დახმარებამ 560 000 ტონას მიაღწია, რაც იმ დროისთვის ქვეყნის ექსპორტს აღემატებოდა. საზღვარგარეთ გაყიდული და ქვეყნის საშინაო მოხმარებისთვის გამოყოფილი მარცვლეულის რაოდენობა ერთმანეთს რომ შევადაროთ, უკრაინისთვის გაღებულმა დახმარებამ ექსპორტირებულ მარცვლეულს 60 პროცენტით გადააჭარბა.**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბით, ომი დაიწყებოდა.

1932 წლის 1 ნოემბერს შეიქმნა სპეციალური მანქანათმშენებელი ტრესტი. ამავე წელს გამოუშვეს 1 754 ახალდაპროექტებული ტანკი, 1932 წელს დაიწყო წყნარი ოკეანის ფლოტის მშენებლობა, ხოლო 1933 წელს — ჩრდილოეთი ოკეანის ფლოტის. პარალელურად უმჯობესდებოდა ავიაციის ხარისხიც.

კრიზისის შემდეგ გერმანიამ დაკარგა წარმოების პოტენციალის თითქმის ნახევარი და 1932 წლის პოლიტიკური ბრძოლა, რომლის წესებიც გამუდმებით იცვლებოდა, მასში ძრწოლას იწვევდა. ეს ქვეყანა საბჭოთა კავშირის განახლებაში დიდ როლს თამაშობდა. გერმანიაში დაწყებული ცვლილებები კრემლს ძლიერ აღელვებდა და მისი მხარდაჭერის დაკარგვის პერსპექტივა საბჭოთა კავშირში დაუცველობის განცდას იწვევდა. გერმანიის პოლიტიკური ელიტა ორად გაიყო: ერთ მხარეს სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები იყვნენ, მეორე მხარეს — ჰიტლერის მომხრე ნაციონალ-სოციალისტები. ნოემბერში ბანკირებმა და მეწარმეებმა პრეზიდენტ **ჰინდენბურგს** პეტიციით მიმართეს რეიხსკანცლერად ჰიტლერის დანიშვნის თაობაზე, რათა ქვეყანაში გაჩაღებულ გაფიცვებს ბოლო მოღებოდა. იანვრის დასაწყისში კელნში, ერთ-ერთი ბანკირის, გვარად **შრედერის** ბინაში რამდენიმე გავლენიანი პირის შეხვედრა შედგა და გადაწყდა, რომ ძალაუფლება ფაშისტებს უნდა ჩაეგდოთ ხელში. პლენუმზე სიტყვით გამოსვლისას სტალინს არ უხსენებია იაპონია და გერმანია, არც პოლონეთი. მას სხვა მიზანი ჰქონდა: პარტიის წევრები პოლიტიკური კურსის სისწორეში უნდა დაერწმუნებინა.

**„ხუთწლედისა და მეწარმეობის აღმშენებლობის სფეროში გამარჯვების მოსაპოვებლად პარტია მეტად დაჩქარებულ პოლიტიკას მიმართავდა, რათა „წაბიძგებით“ ქვეყნის წინსვლა დაეჩქარებინა“.**

სტალინს მოუწია გამოყენება ტერმინისა „წაბიძგება“, თუმცა ქვეყნის შიგნით მდგომარეობას გამოკვეთილად არ შეხებია, უბრალოდ, თქვა: **„კლასობრივი მტრების ნარჩენები“ ჩვენს ფაბრიკებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოედვნენ. მათ სძულთ საბჭოთა ხელისუფლება თავისი მეურნეობის, საყოფაცხოვრებო და კულტურის ახალი ფორმებით. ზოგიერთმა მათგანმა კი პარტიაშიც შეაღწია“.** მას არ შეეძლო ეღიარებინა, რომ პარტიაში გამეფებულ ვითარებას საგანგაშოდ თვლიდა. მისი მოხსენება გამარჯვების პათოსით იყო განმსჭვალული.

**სტალინის მიერ წარმოთქმული ფრთხილი ფრაზები, რომლებიც პარტიაში არსებულ საფრთხეს შეეხებოდა, თანამებრძოლებს სწორედ გაფრთხილებად უნდა მიეღოთ. მართლაც, 1928-1932 წლებში პარტიის წევრთა რაოდენობა 1,5-დან 3,7 მლნ-მდე გაიზარდა, რომელთა შორისაც, კაგანოვიჩისა და მოლოტოვის კომისიის კვლევის მიხედვით, ძალიან ბევრი იყო ადაპტირებული და ოპორტუნისტი პირი.**

მოხსენების შემდეგ სტალინმა ნამდვილი სურათი დახატა: „მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერება მომაკვდავი კლასების ბოლო ნარჩენებს მთელი სიმძლავრით აღუდგება წინ. სწორედ იმიტომ, რომ ისინი არსებობის ბოლო დღეებს ითვლიან, არსებობის ერთი ფორმიდან სხვა, შედარებით მკვეთრ ფორმაზე გადავლენ და მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენას წააქეზებენ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათ მობილიზებას შეეცდებიან. უამრავი ჭორი ააგორეს ამ ადამიანებმა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ახლა ისინი ჩამორჩენილი ელემენტების მობილიზებას შეეცდებიან. სწორედ ასეთი ნიადაგი შეუწყობს ესერთა ძველი კონტრრევოლუციონერების დაშლილი ჯგუფების, ეროვნულ-ბურჟუაზიული ცენტრის გაცოცხლებას და ტროცკისტთა და მემარჯვენე ფრთის ელემენტების ამოძრავებას. ეს, რა თქმა უნდა, საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ, თუ გვინდა, ამ ელემენტებს სწრაფად და განსაკუთრებული მსხვერპლის გარეშე გავუმკლავდეთ, ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ. ამიტომაც არის რევოლუციური წინდახედულება ის თვისება, რომელიც დღეს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ. მიუხედავად უდიდესი მსხვერპლისა და სოციალურ აღმშენებლობაში მიღწეული წარმატებისა, სამოქალაქო ომი არ დასრულებულა“.



ვასილ სტალინი (მარცხნივ), ჟდანოვი, სვეტლანა ალილუევა, იოსებ სტალინი და იაკობ ჯუღაშვილი

**სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა, რომელმაც მხოლოდ ხელი მოაწერა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კაბინეტებში დაწერილ პასკვილს სტალინის მოგონებებზე, წერს: «მამაჩემი ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დედაჩემის ცხედარს არ გაჰყოლია». სტალინის ცილისმწამებლები მაშინვე ფიქრობდნენ, როგორ ჩაეკლათ ყოველგვარი ადამიანური სტალინში, რათა ის სატანად ექციათ**

სულ მალე, 19 თებერვალს, სტალინი კოლმეურნეთა პირველ ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა, რომლის დროსაც პრობლემების ცალკეული შტრიხები გამოიკვეთა. სტალინმა კოლმეურნეობების გადარჩენის საკითხი დააყენა და თქვა, რომ პარტიამ წარმოქმნილი „გაუგებრობა“ გამოასწორა: კოლმეურნეებს ძროხები დაუბრუნეს. მანამდე **ლენინისა და ტროცკის დაჟინებული მოთხოვნით კოლმეურნეებს თავიანთი ძროხები კოლმეურნეობების ფერმებში იძულებით შეაყვანინეს...**

შიმშილობა გრძელდებოდა და მის აღმოსაფხვრელად საჭირო იყო დამატებითი მუშახელის მობილიზება. სწორედ ამ ყრილობის შემდეგ გაუგზავნა **შოლოხოვმა** სტალინს წერილი, რომ ვეშენსკის რაიონი „კატასტროფისკენ მიექანებოდა“. უფრო ადრე კი, 22 იანვარს, ცენტრალური კომიტეტის მიერ „მოშიმშილე გლეხობის მასობრივი გადინების შესახებ“ დირექტივა იქნა მიღებული. მოშიმშილე ადამიანების მიერ მშობლიური მხარეების მასობრივი დატოვება **„საბჭოთა ხელისუფლების მტრების მიერ კონტრრევოლუციონერულ ჩანაფიქრად განიხილებოდა“** და კოლმეურნეობების წინააღმდეგ იყო მიმართული. დირექტივას ხელი მოაწერეს სტალინმა და მოლოტოვმა. **მარტის დასაწყისში სახელმწიფო მართვის ორგანოების წარმომადგენლებმა 219 460 ადამიანი დააკავეს. პოლიტგანყოფილებებს სოფლებში მართვის უნარის მქონე პირების სახით სანდო საყრდენი უნდა შეექმნათ, თუმცა, ძალისმიერი ზეწოლის გარდა, გაჭირვებული მოსახლეობისთვის დახმარებაც უნდა გაეწიათ.**

ამიტომ პოლიტბიურო იძულებული შეიქნა, უკიდურესი ზომებისთვის მიემართა, რომელიც ინდუსტრიალიზაციის „წაბიძგებასთან“ ერთგვარ წინააღმდეგობრივი სვლა იქნებოდა. **1933 წლის 25 თებერვალს საბჭოთა სახალხო კომიტეტმა უკრაინას 320 000 ტონა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიას 240 000 ტონა მარცვლეული გამოუყო, დახმარება სხვა მხარეებსაც გაეწიათ. 1933 წლის აპრილისთვის უკრაინისთვის გაცემულმა რეალურმა დახმარებამ 560 000 ტონას მიაღწია, რაც იმ დროისთვის ქვეყანის ექსპორტს აღემატებოდა. საზღვარგარეთ გაყიდული და ქვეყნის საშინაო მოხმარებისთვის გამოყოფილი მარცვლეულის რაოდენობა ერთმანეთს რომ შევადაროთ, უკრაინისთვის გაღებულმა დახმარებამ ექსპორტირებულ მარცვლეულს 60 პროცენტით გადააჭარბა.**

მსოფლიო კრიზისის პირობებში, იმ მომენტში, როცა სხვა დანარჩენ საქონელზე ფასები იმატებდა და საბჭოთა კავშირის ვალი იზრდებოდა, სტალინი საშინელი არჩევანის წინაშე დადგა, თუმცა ამ ადამიანის ცხოვრება სწორედ ასეთი არჩევანის წინაშე დგომა იყო. როგორც ვხედავთ, ის ბალანსის დაცვას ცდილობდა და ამან ნაწილობრივ უშველა კიდეც. ამ ადამიანს საკუთარი ნებით დაწესებული ფარგლების გამო მეტის გაკეთება არ შეეძლო. მსოფლიოში განვითარებულ კრიზისს 1932 წლის მოსავლიანობის დაბალი მაჩვენებელიც დაემატა, აგრეთვე, მცდარი სტატისტიკური მაჩვენებლები, ქვეყნის შიგა ეკონომიკური ვალის ზრდა, მუქარა დასავლეთის კრედიტორების მხრიდან საჯარიმო სანქციების დაწესების შესახებ და ახალი ომის საფრთხე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საზღვარგარეთის კრედიტების გადახდის მთავარ წყაროს, მარცვლეული კი არა, ნავთობის ექსპორტი და ტყის მასალა წარმოდგენდა. სწორედ ამიტომ 1932-33 წლებში დაახლოებით 700 მლნ რუბლის ღირებულების ნავთობისა და ხეტყის, ხოლო 389 მლნ რუბლის ღირებულების მარცვლეულის ექსპორტი განხორციელდა. შიმშილობის მიზეზი კი, დიდი ოდენობის მარცვლეულის ექსპორტი კი არა, სტრატეგიული რეზერვების შექმნა იყო. ქვეყანაში პირველად დადგა დღის წესრიგში, კოლმეურნეობის მარცვლეული სახელმწიფო ელევატორებში შენახულიყო. იმ დროს, როცა მთავრობამ სიღარიბის მასშტაბები გააცნობიერა, მოსახლეობის დახმარება ოპერატიულად ველარ შეძლო.

როდესაც 1932-33 წლების პოლიტიკური გენოციდის შესახებ საუბრობენ, ეს ან ხალხის შეცდომაში შეყვანას ემსახურება, ან სტალინის სახელის დისკრედიტაციას, თუმცა სტალინის მოღვაწეობის გზა ისე ტრაგიკულია, მსგავსი ფალსიფიკაციები ისტორიას, მის შინაარსს მხოლოდ ბურუსში ხვევს.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**«რუსეთი მანქანებით აზროვნებს. რუსეთი ხის საუკუნიდან რკინის, ფოლადის, ბეტონისა და ძრავების საუკუნეში სწრაფად გადადის. ჩვენ ადრე არ გვქონდა შავი მეტალურგია, ტრაქტორების წარმოება, ქიმიური მრეწველობა. დღეს ქვანახშირის, ნავთობისა და ელექტროენერგიის წარმოების მხრივ ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა. წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით სამჯერ და 1928 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა... »**




ნადეჟდა ალილუევა დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე მოსკოვში

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ქართულმა ოცნებამ“ ხელი არ შეუშალა „ნაცმოძრაობისთვის“ სასურველი სტერეოტიპის დამკვიდრებას, რომ საუბარი სააკაშვილის დანაშაულზე საქართველოს დადანაშაულების ტოლფასია. ნაციონალები ცდილობენ, ნებისმიერი დისკუსია ერთ კითხვამდე დაიყვანონ: ვინ დაიწყო ომი? თუ 2011 წლის 1 ნოემბერს (ან თუნდაც 2013-ში) ივანიშვილსა და „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებს შეეძლოთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ტალიავინის მოხსენებაზე დაყრდნობით, დღეს დუმილს ამჯობინებენ.**

# «ქართული ოცნება» და აგვისტოს ომი

**საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების დამოკიდებულებამ აგვისტოს ომის მიმართ წლების განმავლობაში ტრანსფორმაცია განიცადა. თუ ადრე მისი წარმომადგენლები ბრალს სდებდნენ სააკაშვილსა და მისი რეჟიმის მაღალჩინოსნებს და ამბობდნენ, რომ მომხდარს გამოიძიებდნენ, დღეს, როგორც წესი, დუმილს ამჯობინებენ. როდის და რატომ შეიცვალა „ქართული ოცნების“ პოზიცია?**



**პასუხის გაცემა იმ კითხვებზე, რომლებიც ივანიშვილმა 2013 წლის აპრილში დასვა, პრინციპულად შეუძლებელი იყო კოაბიტაციის რეჟიმში. «ქართული ოცნება» არ გაემიჯნა «ნაცმოძრაობის» მმართველობის პერიოდს სრულად, არ მისცა მას სამართლებრივი შეფასება. ყოველივე ამან, ფაქტობრივად, მოსპო პოლიტიკური და სამართლებრივი წინაპირობები ძველი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოქმედების მასშტაბური გამოძიებისთვის**

საკითხმა აქტუალურობა ივანიშვილის პირველივე პრესკონფერენციის შემდეგ შეიძინა, რომელიც 2011 წლის 1 ნოემბერს ჩატარდა. „ინტერპრესნიუსისა“ და „პალიტრა ტვ“-ს ჟურნალისტ **ვასილ გაფრინდაშვილის** კითხვას: „ბატონო ბიძინა, თქვენი განცხადება, რომ საქართველოს გაუაზრებელმა ქმედებამ გამოიწვია რუსეთის კიდევ უფრო გაუაზრებელი ქმედება, ნიშნავს თუ არა იმას, რომ თქვენ პასუხისმგებლობას აკისრებთ ამ სიტუაციაში ქართულ მხარეს და მას მიიჩნევთ ომის ინიციატორად?“ ივანიშვილმა ასეთი პასუხი გასცა: **„მოვიშველიებ ტალიავინის დასკვნას; მეორეც, მე წამოვიღე საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შესახებ, რომელსაც ქართულმა დელეგაციამაც მისცა ხმა. ტალიავინის განცხადებაშიც და ამ რეზოლუციაშიც ჩაწერილია, რომ ქართულმა მხარემ დაიწყო საომარი მოქმედება. იმ ქართველებს, რომლებსაც ეს საწყენად მიგაჩნიათ, შემიძლია დაგიზუსტოთ და შეგახსენოთ, როგორ ვითარდებოდა პროცესი. მოგეხსენებათ, ლიახვის სოფლები იბომბებოდა ოსეთის მხრიდან გაუგებარი ფორმირებების მიერ. ჩემი აზრით, სააკაშვილს უნდა დაეცვა ეს სოფელი, თითოეული მოსახლე შეიძლებოდა გამოეყვანა, საერთაშორისო ორგანიზაციები მოეწვია და დაეფიქსირებინა მდგომარეობა. სააკაშვილმა ჩაიდინა აბსოლუტურად გაუაზრებელი ქმედება და დაიწყო ცხინვალის დაბომბვა“.**

ამ საკითხის გარშემო წინასაარჩევნო პერიოდში ნამდვილი საინფორმაციო ომი გაიმართა. **„ნაციონალური მოძრაობა“ არწმუნებდა მოსახლეობას, რომ ივანიშვილი რუსეთის დაკვეთას ასრულებდა და მისი განცხადებები აუარესებდა საქართველოს პოზიციას საერთაშორისო არენაზე. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, თავის მხრივ, განიხილავდნენ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მოქმედებას 2008 წლის აგვისტოში, როგორც დანაშაულებრივს, და ეს ბუნებრივად აყენებდა დღის წესრიგში მომხდარის გამოძიების საკითხს.** ხელისუფლების შეცვლის პერიოდში ამ თემამ დროებით უკანა პლანზე გადაიწია და მის აქტიურ განხილვას მხარეები რამდენიმე თვეში დაუბრუნდნენ.

პოლემიკა განსაკუთრებით მძაფრი მას შემდეგ გახდა, რაც 2013 წლის 8 აპრილს იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** განაცხადა, რომ აგვისტოს ომის გამოძიება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარეობს. მან თქვა, რომ ჰააგის სასამართლოში შესულია მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი საჩივარი და **„ჩვენი ვალდებულებაა, ეს საქმე საერთაშორისო ტრიბუნალის განსახილველი არ გავხადოთ და ჩვენს პრობლემებს თვითონვე მოვუაროთ იმ ვალდებულებების ფარგლებში, რომლებიც გვაქვს. ჩემი და მთავარი პროკურორის მიზანია, რომ აგვისტოს ომი გამოვიძიოთ თვითონ. თუ ეს ვერ შევძელით და ვერ აღმოვჩნდით ან საკმარისი პროფესიონალები, ან საკმარისი პოლიტიკური ნება არ გვექნა ამისთვის, იძულებული ვიქნებით, ჰააგის პროცესს დავემორჩილოთ და ეს საქმე წავიდეს საერთაშორისო დონეზე განხილვის რეჟიმში. ეს ჩემი მიზანი არ არის და არ მგონია, რომ ეს ქართველი ხალხისთვის სასურველი რამ იყოს“.**

იმ პერიოდში მეტად აქტუალური იყო სხვადასხვა საქმის შესახებ დაკითხვაზე მიხეილ სააკაშვილის დაბარების თემა. სააკაშვილი ამაზე ნერვულად რეაგირებდა, ტელეკომპანია „იმედის“ საქმის გამოძიებას „არასერიოზული და სამარცხვინო“ უწოდა, აგვისტოს ომზე კი თქვა: „ერთი წამითაც არ ვითანამშრომლებ ამ ანტისახელმწიფოებრივ გამოძიებასთან. ამ გამოძიების მიზანი არის სახელმწიფოებრიობის შერყევა და პირდაპირ არის მიმართული ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ“.

მაშინ მოხდა საკმაოდ არასასურველი რამ — პრობლემა მიხეილ სააკაშვილის ფიგურას მიება და 100%-ით დაექვემდებარა პოლიტიკურ კონიუნქტურას. 2013 წლის აპრილში ივანიშვილმა გააკეთა ბოლო განცხადება, რომელიც ასე თუ ისე შეესაბამებოდა წინასაარჩევნო პოზიციის სულისკვეთებას. ამის შემდეგ მისი და „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერების დამოკიდებულება პრობლემის მიმართ შეიცვალა. **„საჭიროა, პასუხი გაეცეს ბევრ კითხვას, რომელიც ომთან დაკავშირებით წინა ხელისუფლების მიმართ არსებობს – რატომ ვერ შეძლო სააკაშვილმა აშკარა პროვოკაციის თავიდან აცილება, როგორ მოქმედებდა მთავარსარდალი და მთავრობა, რატომ ერეოდნენ ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები სამხედრო ოპერაციის მართვაში, რომელმაც ქაოსი და არეულობა გამოიწვია, რატომ მოჰყვა ამხელა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის, რატომ ვერ შეძლო მთავრობამ მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია, როგორ დარჩნენ მეთაურის გარეშე ჩვენი რეზერვისტები, რომლებიც შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს, და მრავალი სხვა“,** — თქვა **ივანიშვილმა.**

თუ ამ ტექსტს წულუკიანის 8 აპრილის განცხადებას შევადარებთ, ვნახავთ, რომ საუბარია სხვადასხვა საკითხებზე — **ის, რაც ივანიშვილმა ჩამოთვალა, ჰააგის სასამართლოს ნაკლებად აინტერესებს,**

მაგრამ ძალიან აინტერესებთ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ, იცოდნენ, რატომ დაიღუპნენ ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოქალაქეები, ჩაიდინეს თუ არა სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნებმა დანაშაული. შემდგომ ეს ზღვარი, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფდა ივანიშვილისა და წულუკიანის მიერ ჩამოთვლილ საკითხებს, თითქოს წაიშალა. მცირე დროის შემდეგ აგვისტოს ომის „გამოძიებას“ მხოლოდ ჰააგის სასამართლოსთან თანამშრომლობის კონტექსტში ახსენებდნენ. განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა ეს 2016 წლიდან, მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასასამართლო პალატამ თანხმობა მისცა პროკურორ **ფატუ ბენსუდას**, გამოძიება დაეწყო იმ სავარაუდო დანაშაულზე, რომელსაც აგვისტოს ომის პერიოდში შეიძლებოდა მომხდარიყო. ამის შემდეგ ქართველი მაღალჩინოსნები თემას მხოლოდ მაშინ ეხებოდნენ, როდესაც ბენსუდა თბილისში ჩამოდიოდა.

ამ მიდგომის უკან, სავარაუდოდ, მარტივი გათვლა დგას. **იმის გამოძიება, რაზეც ივანიშვილმა ისაუბრა, მოითხოვდა „ქართული ოცნებისგან“ მუდმივ საინფორმაციო დაპირისპირებას „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდისტულ მანქანასთან, იმის მტკიცებას, რომ სააკაშვილის ნამოქმედარის შესწავლას ქვეყნის ინტერესების შელახვასთან არაფერი აქვს საერთო.** იმის გათვალისწინებით, რომ მთავარი პროკურატურა უნაკლოდ არათუ მძიმე კომპლექსურ დანაშაულს, არამედ ქათმის ქურდობასაც ვერ იძებს (და პირველი პირები მის შესაძლებლობებს რეალისტურად აფასებენ), ის თითქმის გარანტირებულად არაერთგზის შექმნიდა უხერხულ, მეტიც, სამარცხვინო სიტუაციას. **„ქართული ოცნების“ ლიდერებმა, როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ ეს ზედმეტი პრობლემაა და ჰააგის სასამართლოს მაღალ ავტორიტეტს ამოეფარნენ. თუ მის პროკურორებს სააკაშვილის ან სხვა ქართველი მაღალჩინოსნების მიმართ კითხვები გაუჩნდებათ, ან მათი პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებენ, „ქართულ ოცნებას“ ნაციონალების ბრალდებების მოგერიება არ მოუწევს.**

პასუხის გაცემა იმ კითხვებზე, რომლებიც ივანიშვილმა 2013 წლის აპრილში დასვა, პრინციპულად შეუძლებელი იყო კოაბიტაციის რეჟიმში. „ქართული ოცნება“ არ გაემიჯნა „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდს სრულად, არ მისცა მას სამართლებრივი შეფასება, მოახდინა მისი კადრების „პორტირება“ ახალ მმართველ პარტიაში (ამ პროცესის სიმბოლოდ ვანო ზარდიაშვილი იქცა). ყოველივე ამან, ფაქტობრივად, მოსპო პოლიტიკური და სამართლებრივი წინაპირობები ძველი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოქმედების მასშტაბური გამოძიებისთვის.

ამასთანავე, **„ქართულმა ოცნებამ“ ხელი არ შეუშალა „ნაცმოძრაობისთვის“ სასურველი სტერეოტიპის დამკვიდრებას იმის თაობაზე, რომ საუბარი სააკაშვილის დანაშაულზე საქართველოს დადანაშაულების ტოლფასია. ნაციონალები ცდილობენ, ნებისმიერი დისკუსია ერთ კითხვამდე დაიყვანონ — ვინ დაიწყო ომი?** თუ 2011 წლის 1 ნოემბერს (ან თუნდაც 2013-ში) ივანიშვილსა და „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებს შეეძლოთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ტალიავინის მოხსენებაზე დაყრდნობით, დღეს დუმილს ამჯობინებენ. **რაც მთავარია, მმართველი პარტიის არც ერთი წარმომადგენელი აღარ სვამს სხვა კითხვებს: ვინ მიატოვა მშვიდობიანი მოსახლეობა? რატომ დარჩნენ მეთაურების გარეშე რეზერვისტები?** და ა.შ.

ავსტრალიისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობაში ათწლეულების განმავლობაში არსებობდა პრობლემა, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენდა. საქმე ისაა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ **უინსტონ ჩერჩილმა** საკითხი დღის წესრიგში დააყენა, ლონდონმა არ გამოიძია 1942 წელს სინგაპურის დაცემის მიზეზები, სადაც ბევრი ავსტრალიელი ჯარისკაცი დაიღუპა. ავსტრალიელები დაჟინებით მოითხოვდნენ გამოძიების ჩატარებას, გენერლებისა და პოლიტიკოსების შეცდომების სამართლებრივ შეფასებას და ყოფილი მეტროპოლიის ხელისუფლებას მძიმე ეპითეტებით ამკობდნენ. ასე იქცევა თავმოყვარე ერი, რომლისთვის ღირებულია თითოეული ჯარისკაცის სიცოცხლე.

როგორც ჩანს, „ქართულმა ოცნებამ“, უბრალოდ, გამოიყენა უკმაყოფილება, რომელიც მოსახლეობაში 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის მოქმედების გამო არსებობდა, პოლიტიკური ქულები ჩაიწერა, სასურველ შედეგს მიაღწია, შემდეგ კი ოდესღაც მომგებიანი თემა შორს მოისროლა. ეს, ალბათ, ყველაზე ცინიკური ეპიზოდია საქართველოს უახლეს ისტორიაში, თუმცა მთავარი დამნაშავე ამ შემთხვევაში, ალბათ, არა ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“, არამედ საზოგადოებაა, რომელმაც მათ ყოველივე ამის გაკეთების შესაძლებლობა მისცა.

**როგორც ჩანს, «ქართულმა ოცნებამ», უბრალოდ, გამოიყენა უკმაყოფილება, რომელიც მოსახლეობაში 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის მოქმედების გამო არსებობდა, პოლიტიკური ქულები ჩაიწერა, სასურველ შედეგს მიაღწია, შემდეგ კი ოდესღაც მომგებიანი თემა შორს მოისროლა. ეს, ალბათ, ყველაზე ცინიკური ეპიზოდია საქართველოს უახლეს ისტორიაში, თუმცა მთავარი დამნაშავე ამ შემთხვევაში, ალბათ, არა ბიძინა ივანიშვილი და «ქართული ოცნება», არამედ საზოგადოებაა, რომელმაც მათ ყოველივე ამის გაკეთების შესაძლებლობა მისცა**

**დღეს აღარც კიტოვანია, აღარც შევარდნაძე და აღარც სააკაშვილი, მაგრამ არის მცირე საქართველო და „მცირე მთავრობა“, რომელსაც, როგორც პირველი ნაბიჯებიდან ჩანს, ქვეყნის ტერიტორიის გამთლიანება პრიორიტეტულ მიზნად არ აქვს დასახული. ასეთ ვითარებაში გაუგებარია „შერიგების“ სამინისტროს არსებობა. არადა, „მცირე მთავრობაში“ ამ სამინისტროს ტოვებენ, კულტურისა და განათლებისას კი აუქმებენ.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აფხაზეთი და სამაჩაბლო უფრო და უფრო გვშორდება

**საქართველოს უახლეს ისტორიაში აგვისტომ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. 1992 და 2008 წლების აგვისტო საქართველოს მოსახლეობისთვის მწარედ გასახსენებელი თარიღებია ბრძოლის ველზე განცდილი დამარცხებიდან გამომდინარე და არა მხოლოდ. 2008 წლის ცხინვალის ომს მოჰყვა საქართველოს ისედაც მცირე ტერიტორიის კიდევ უფრო შეკვეცა, ხელისუფალთა უსირცხვილო თავის მართლება, დამარცხებული, უტიფარი პრეზიდენტის გამარჯვების ზეიმი, საკუთარი უნიათობის, ხშირ შემთხვევაში გამყიდველური ქცევის გამამართლებელი რიტორიკა, რომლის მიხედვით დამნაშავეა ყველა, გარდა უთავმოყვარეო უმაღლესი მთავარსარდლისა.**

2008 წლის 8 აგვისტოს ომიდან 10 წელი გავიდა, 1992 წლის აგვისტოდან კი — 26, საკმაოდ დიდი დროა დასაფიქრებლად და დასკვნების გამოსატანად, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ვაჟკაცობა გვყოფნის და არც სიმართლისთვის თვალებში ჩახედვის სურვილი გვაქვს.

**დღესაც ვერ მივმხდარვართ, რომ დასავლეთის წაქეზებით მეზობელი რუსეთის გამოწვევა იმ ფარული თუ ჰიბრიდული ომის შედეგია, რომელიც დასავლეთსა და რუსეთს შორის მიმდინარეობს, და რომელსაც ბოლო არ უჩანს. თუ გაეროს უშიშროების საბჭოში აშშ-ის წარმომადგენლის, ნიკი ჰეილის, ნათქვამს დავუჯერებთ, რუსეთი ვერასდროს გახდება აშშ-ის მეგობარი. ორთა ჭიდილი გაგრძელდება, სანამ ერთ-ერთი, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით დაუძლურებული, მიწას არ დაენარცხება. ჩვენ ვერაფრით მოვახერხეთ ამ პაექრობიდან თავის დაღწევა.**

რუსეთმა, **პუტინის** პირით, კიდევ ერთხელ გაგვაფრთხილა, რომ ვერ აიტანს მის სამხრეთ საზღვრებთან ნატოს ბაზების არსებობას. **საქართველოს ხელისუფლება გამუდმებით გაიძახის, ნატოში ჩვენი გაწევრება მესამე ქვეყნის წინააღმდეგ არ არის მიმართულიო. გულუბრყვილო განცხადებაა! არადა, რუსეთთან კონფლიქტს უდავოდ მოჰყვება კატასტროფა.** 6 აგვისტოს კი რუსეთის პრემიერმინისტრმა დიმიტრი მედვედევმა რადიოსადგურ „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ ნატოში საქართველოს შესვლა საშინელი კონფლიქტის პროვოცირება იქნება.

დავუბრუნდეთ 1992 წლის აგვისტოს კონფლიქტს, რომელსაც რამდენიმე დღით უსწრებდა საქართველოს გაეროში მიღება და ამ ორგანიზაციის მაღალი ტრიბუნიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ **ალექსანდრე ჩიკვაიძის** გამოსვლა.

„საქართველოს რესპუბლიკა ძალის გამოყენებას ან მის მუქარას არ განიხილავს პოლიტიკის კანონიერ იარაღად და ნებისმიერი რეგიონული თუ სხვა კონფლიქტის შემთხვევაში იბრძოლებს მხოლოდ მოლაპარაკების გზით მათი გადაჭრისთვის. საქართველოს რესპუბლიკა დაიცავს თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინტერესებს“ (1992 წ., 31 ივლისი).

ამის მიუხედავად, საქართველო მაინც შევიდა აფხაზეთში, ვითომდა რკინიგზის დაცვის და რუსეთიდან ამიერკავკასიაში მომავალი სატვირთო მატარებლების ძარცვის ალაგმვის მიზნით.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მატარებლებს მართლაც ძარცვავდნენ, მაგრამ ნუთუ ჯარის შეყვანა იყო საჭირო ამის აღმოსაფხვრელად?!

უდავოდ ვიჩქარეთ, ვერ ავწონ-დავწონეთ შექმნილი ვითარება და, ნაცვლად მოლაპარაკებისა, უმალ იარაღს ვტაცეთ ხელი.

ალბათ, აფხაზთა სიმცირემ გვაფიქრებინა იოლი გამარჯვება...

რის ვაივაგლახით გაეროში გაწევრებულმა საქართველომ, ამ გაუმართლებელი ნაბიჯით საფუძველი ჩაუყარა საკუთარ ქვეყანაში რეგიონული საკითხების სამხედრო ძალით გადაჭრას.





„ვაი-ვაგლახი“ იმიტომ ვახსენე, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991 წლის დეკემბერი) ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ერთბაშად მიიღეს გაეროში, გარდა საქართველოსი. ჩვენ ხელი შეგვიშალა სამოქალაქო ომმა და ლეგიტიმური ხელისუფლების ძალით ჩამოგდებამ. მხოლოდ **შევარდნაძის** ძალისხმევამ და განცხადებამ, რომ 1992 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩატარდება უზენაესი საბჭოს არჩევნები, გაგვიხსნა გზა გაეროსკენ.

1992 წლის აგვისტოს წინ უსწრებდა აფხაზეთში განვითარებული მოვლენები, უკიდურესი დაპირისპირება აფხაზებსა და ქართველებს შორის. ცხადია, დაპირისპირებაში აფხაზ სეპარატისტებს მიუძღვით ლომის წილი, მაგრამ რა გვიშლის ხელს, ჩვენი წილი დანაშაული რომ ვაღიაროთ?

საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების **(შევარდნაძე, სიგუა, იოსელიანი, კიტოვანი)** მიერ მიღებულმა დაუფიქრებელმა, გაუაზრებელმა გადაწყვეტილებებმა დაძაბა ვითარება და ომამდე მიიყვანა აფხაზები და ქართველები. პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების ნაცვლად, კიტოვანი ჯარით შევიდა აფხაზეთში. რით დამთავრდა ეს დემარში ყველასთვის ცნობილია, ხოლო **სააკაშვილის მიზანი იყო მარტივი და კონკრეტული — ძალისმიერი გზით დაკარგულის დაბრუნება. მისი ავანტიურისტული გამოხდომა საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვით „დაგვირგვინდა“. დღეს აღარც კიტოვანია, აღარც შევარდნაძე და აღარც სააკაშვილი, მაგრამ არის მცირე საქართველო და „მცირე მთავრობა“, რომელსაც, როგორც პირველი ნაბიჯებიდან ჩანს, ქვეყნის ტერიტორიის გამთლიანება პრიორიტეტულ მიზნად არ აქვს დასახული. ასეთ ვითარებაში გაუგებარია „შერიგების“ სამინისტროს არსებობა. არადა, „მცირე მთავრობაში“ ამ სამინისტროს ტოვებენ, კულტურისა და განათლებისას კი აუქმებენ.**

იქნებ ქალბატონმა მინისტრმა **ციხელაშვილმა** აგვიხსნას, რა გააკეთა სამინისტრომ ყოფილი ავტონომიების, არაღიარებული სახელმწიფოების დასაბრუნებლად? — არაფერი, მათი ლანძღვისა და რუსეთის „გამათრახების“ გარდა, არაფერი. **როცა პოტენციურ, მომავალ პარტნიორს უშვერი სიტყვებით ლანძღავ და სეპარატისტს უწოდებ, ვერ მოახერხებ მათთან სალაპარაკო ენის გამონახვას; როცა საერთაშორისო ფორუმზე რუსეთს ოკუპანტს, აგრესორს, დამპყრობს უწოდებ, ურთიერთობებს მასთან ვერ მოაწესრიგებ. არადა, რუსეთის გარეშე აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ჩვენკენ შემობრუნების საკითხი ვერ გადაწყდება.**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ოცნება“ დაჰპირდა საქართველოს მოსახლეობას რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას. ამ დაპირებასაც ისეთივე ბედი ეწია, როგორიც დანარჩენს, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას, მათ შორის, დღევანდელსაც, არ აწუხებდა და არ აწუხებს ეს თემა. ისინი შეგუებულნი არიან იმ აზრს, რომ ეს ჩვენი ძირძველი მხარეები სამუდამოდ დაკარგული აქვს დედასაქართველოს.

საქართველოს პოლიტელიტის ნაწილი გაიძახის, რომ რუსეთთან მოლაპარაკება არ შეიძლება, ვერაფერს გავხდებით, განსაკუთრებით მაშინ, თუ მასთან პირისპირ მოლაპარაკებას გავმართავთ. და თუ მაინც წავალთ, მხოლოდ დასავლელი პარტნიორების თანხლებით, ანუ მათ უნდა წარმართონ მოლაპარაკება, ჩვენ კი დამსწრის როლით უნდა დავკმაყოფილდეთ. ასეთ ფორმატში კი მოსკოვი არ მოინდომებს ჩვენთან კონტაქტს.

არდალაპარაკების პოლიტიკის გაგრძელება, რომელსაც ოპოზიცია გვთავაზობს, უაზრობაა. მაშ, რას უნდა ველოდოთ? — რუსეთის, როგორც სახელმწიფოს დაშლას? დიდხანს ხომ არ მოგვიწევს ლოდინი?

ორი ომიდან საკმაო დრო გავიდა. ავტონომიებში მცხოვრები ადამიანები დაგვშორდნენ, ისევე, როგორც ჩვენ მათ. ახალგაზრდა თაობა იქ საქართველოს შიშითა და ზიზღით იზრდება, აქ — რუსეთის შიშსა და ზიზღზე; რუსეთის, რომელიც ხელს „გვიშლის“ შემორიგებაში. ასეთი პოლიტიკა აბსოლუტურად არაპროდუქციულია.

უსაგნო ლაქლაქის ნაცვლად საქმის გაკეთებაა საჭირო, თორემ ათი წლის შემდეგაც გავიხსენებთ ცხინვალის ომს; ვიტყვით, რომ ოცი წელია გასული. ეს იქნება და ეს. მეტი არაფერი — აფხაზეთი და სამაჩაბლო კი იმაზე მეტად დაგვშორდება, ვიდრე დღეს არის.

**ომარ მარგველაშვილი,**
**საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინერო აკადემიების ნამდვილი წევრი, პროფესორი**

# სიმართლე 2008 წლის ომზე

**ცხინვალიდან გამოგდებულმა, დამარცხებით შეშფოთებულმა სააკაშვილმა, სატელეფონო საუბარში, რომელიც ტელეეკრანიდან ათიათასობით ქართველმა მაყურებელმა მოისმინა, საყვედურის ტონით მიმართა ბუშს: სად არის შეპირებული დახმარებაო.**
**ამ მრავლისმთქმელი ფრაზით გამოაშკარავდა აშშ-ის ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის არსი: ერთი მხრივ, ბუში აფრთხილებდა სააკაშვილს, — არ დაეწყო ომი, თორემ დამარცხდებოდა; ხოლო, მეორე მხრივ, აქეზებდა, თუ მაინც დაიწყებდა ომს, — დაეხმარებოდა.**

სააკაშვილი ბუშის მიერ დაგებულ ხაფანგში გაება და, მისი დახმარების იმედით, 8 აგვისტოს შეიჭრა მძინარე ცხინვალში; პირველივე წუთებში დახოცა იქ გაეროსა და ეუთოს ეგიდით მდგარი რუსი სამშვიდობოების ერთი ნაწილი. ამით სააკაშვილი საერთაშორისო დამნაშავედ იქცა; გაეროსა და ეუთოს განგაში უნდა აეტეხათ, მაგრამ ისინი **ჯორჯ ბუშმა** ჩააჩუმა.

**ვლადიმერ პუტინი,** იმხანად რუსეთის პრემიერი, სასწრაფოდ დაბრუნდა პეკინიდან, სადაც ოლიმპიადას ესწრებოდა; ბუნებრივია, არ გვაპატია რუსი სამშვიდობოების მკვლელობა, მათი დედების ატირება და გაგვიკეთა ის, რასაც დღეს ყველა ვხედავთ.

ხაზგასმით ვაცხადებ: **რუსეთი აგრესორად და ოკუპანტად სააკაშვილმა აქცია.** თვით რუსეთიც ეძებდა საბაბს, რომ ჯიბრზე აშშ-ისა, რომელმაც სერბეთისთვის წაგლეჯილი კოსოვო 2008 წლის თებერვალში დამოუკიდებლად გამოაცხადა, ერთბაშად ორი ქართული რეგიონის — აფხაზეთისა და ცხინვალის — დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა, რაც 2008 წლის სექტემბერში აღასრულა კიდეც.

## რაზე ისაუბრა სააკაშვილმა პრეზიდენტ ბუშთან 12 აგვისტოს



**ცხინვალის ომით ბუშმა გაიხარა — კიდევ უფრო გაღრმავდა ქართველთა სიძულვილი რუსეთისადმი. სიბრიყვეა, სასაცილოა იმის გაფიქრებაც კი, რომ საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისთვის აშშ რუსეთს დაეჯახება.**

დასკვნა: **ცხინვალის ომის გამჩაღებელი სააკაშვილი სამუდამო პატიმრობას იმსახურებს.**

თითქმის 30 წელია, ჩვენი გზააბნეული შვილების წყალობით გეოპოლიტიკური სიბრმავით მოვაბიჯებთ; შედეგად კი ტრაგედიათა სერიალებს ვიმკით.

**ყველაზე დიდ ტრაგედიად ქართველთა საცხოვრისი სივრცის 20 პროცენტის დაკარგვა და ჩვენი შვილების სიცოცხლის უნაყოფოდ შეწირვა მიმაჩნია. გამოვფხიზლდეთ!**

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი, ქუთაისი**

რაკურსი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მედვედევის განცხადება და მანამდე კიდევ პუტინის, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი პოლიტიკური მუქარა არ იყო, ეს იყო ძალიან მკაფიოდ და დაუფარავად ნათქვამი, რომ, თუ ნატო რუსეთის საზღვრებს მიუახლოვდება და ეს უკვე რუსეთისთვის სერიოზული საფრთხეა, რუსეთი მზადაა, თავისი პოტენციალი, მათ შორის, რასაკვირველია, სამხედროც, ამ საფრთხის გასანეიტრალებლად მიმართოს. აი ეს არის, მოგვწონს თუ არა, დღევანდელი რეალობა, მაგრამ უბედურებაა, რომ საქართველოში მსგავს განცხადებებს ვერ აცნობიერებენ, არც უნდათ, გააცნობიერონ“.

გურამ ნიკოლაიშვილი:

# ხვალ-ზეგ საქართველო ტერორისტებმა სამიზნეში რომ ამოიღონ, არის სახელმწიფო მზად ამისთვის?

# აუცილებელია, ხელისუფლებამ მიიღოს თავდაცვის კანონი-კონცეფცია

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე მიიჩნევს, რომ „საქართველო ბოლო ათ წელიწადში კიდევ უფრო დემოკრატიული, ძლიერი და სტაბილური სახელმწიფო გახდა“. ეს მან 1 აგვისტოს მრავალეროვნული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2018“-ის გახსნაზე განაცხადა და დასძინა, რომ დასავლელი პარტნიორების დახმარებით გრძელდება ქვეყნის სწრაფი განვითარება: „ოკუპაციის მიუხედავად, საქართველო ბოლო ათ წელიწადში კიდევ უფრო დემოკრატიული, ძლიერი და სტაბილური სახელმწიფო გახდა, რაც ჩვენი შეიარაღებული ძალების დამსახურებაცაა. ქართული ჯარი დგას ჩვენი თავისუფლების სადარაჯოზე და ჩვენი ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით სრულიად დამსახურებულად სარგებლობს“...**
**სიტყვით გამოსვლისას კობახიძემ ყურადღება იმაზეც გაამახვილა, რომ წლევანდელი რიგით მეოთხე სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ 2008 წლის აგვისტოს ომის ათ წლისთავს დაემთხვა. მისი თქმით, მთავარია, რომ ქვეყანა აღებულ კურსს მიჰყვება და, მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვას განუხრელად განაგრძობს. არის თუ არა დღეს საქართველო უფრო დემოკრატიული, ძლიერი და სტაბილური, ვიდრე ათი წლის წინათ იყო, და რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფოს არსებული პოლიტიკური კურსის პირობებში? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**


გურამ ნიკოლაიშვილი

**— ბატონო გურამ, რიგით მეოთხე მრავალეროვნული სამხედრო სწავლების („ღირსეული პარტნიორი 2018“) გახსნაზე ირაკლი კობახიძემ ამაყად განაცხადა, რომ, ოკუპაციის მიუხედავად, საქართველო ბოლო ათ წელიწადში კიდევ უფრო დემოკრატიული, ძლიერი და სტაბილური სახელმწიფო გახდა. შეესაბამება ეს განცხადება რეალობას?**

— გააჩნია, კონკრეტულად რა ჰქონდა მხედველობაში ამ განცხადების ავტორს. თუ დემოკრატიაში გულისხმობდა იმას, რომ ადამიანებს უსამართლოდ არ იჭერენ, არ კლავენ და არ აწამებენ, გასაგებია, მაგრამ სტაბილურობა სად და რაში დაინახა, არ მესმის. ეკონომიკური წინსვლა გვაქვს? — არ გვაქვს, ყოველ შემთხვევაში ხალხი ამას ვერ გრძნობს; სამართლიანობა აღდგა? — არა; ტერიტორიები დაიბრუნეს?.. ძლიერებას რაც შეეხება, თუ აქ სამხედრო ძლიერებაზეა საუბარი, უბრალოდ, არასერიოზულია. რით გავძლიერდით? — ავიაცია მოსპეს, საზღვაო ძალები აღარ გვყავს, ტანკები და არტილერია კონსერვაციაზეა... „სტინგერები“ და „ჯაველინებია“ ძლიერება?! როგორც სამხედრო პირი, გეუბნებით, ჯარის სიძლიერე, პირველ რიგში, არის რაოდენობა, შეიარაღება, მისი ხარისხი, სულისკვეთება და მის მიერ ამოცანის შესრულების შესაძლებლობა. ეს კი დღეს ქართულ ჯარს არ აქვს. ერთადერთი ამოცანა, რომელსაც ის ასრულებს, არის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა ავღანეთსა და აფრიკაში, თუმცა რა უნდა ან აფრიკაში, ან ავღანეთში ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, გაუგებარია.

**— იმავე გამოსვლაში კობახიძემ განაცხადა, რომ სწავლება „ღირსეული პარტნიორის“ მიზანი, როგორც რეგიონში, ისე გლობალურად, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, მსგავს სამხედრო სწავლებას ასეთი მიზანი ჰქონდეს?**

— ამ სახის სამხედრო წვრთნები გათვლილია მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ რუსეთის პოლიტიკური გაღიზიანება გამოიწვიოს. შესაბამისად, ეს გაღიზიანება გარკვეულწილად უკვე ჩანდა ჯერ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის — **მარია ზახაროვას**, შემდეგ პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** და ბოლოს მთავრობის ხელმძღვანელ **დიმიტრი მედვედევის** განცხადებაში...

რაც შეეხება გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობას, არ მგონია, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობისა იყოს. ყოველ შემთხვევაში, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა ამას არ ნიშნავს. ვერც ჩვენი უსაფრთხოება იქნება ამით დაცული და, მით უფრო, ვერც რეგიონის. სხვათა შორის, ბოლო პერიოდში **მედიაში გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ქართული დაჯგუფება საქართველოს შურისძიებით ემუქრება, ანუ საერთაშორისო მისიებში ჩვენი სამხედროების მონაწილეობით გაღიზიანების ფაქტორი უფრო მეტია, ვიდრე უსაფრთხოების გარანტიები. ჩნდება მარტივი და ლოგიკური შეკითხვა: ხვალ-ზეგ საქართველო ტერორისტებმა სამიზნეში რომ ამოიღონ, არის სახელმწიფო მზად ამისთვის?** ვინ ან რა ძალა დაგვიცავს? და მთავარი: ღირს ის პოლიტიკური კომპლიმენტები, რომლებსაც პოლიტიკური ელიტა იღებს ხოლმე დასავლეთიდან; იმ საფრთხედ, რომელშიც თავს ვიგდებთ იმავე ავღანეთში ყოფნით?!

**— რუსეთის გაღიზიანება ახსენეთ, თქვენი აზრით, მრავალეროვნული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება გათვლილი იყოს იმაზე, რომ რუსეთ-საქართველოს შორის კიდევ ერთი შეიარაღებული დაპირისპირება მოხდეს?**

**«რით გავძლიერდით? — ავიაცია მოსპეს, საზღვაო ძალები აღარ გვყავს, ტანკები და არტილერია კონსერვაციაზეა... «სტინგერები» და «ჯაველინებია» ძლიერება?!»**

**— ამერიკა, დიდი ხანია, რუსეთის გარშემო აგროვებს ისეთ ძალებს, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში გარკვეული პროვოკაციებისთვის გამოიყენებს. მარტივ ენაზე ეს ნიშნავს, რომ, თუ ამ ორ სახელმწიფოს შორის მოხდება დაპირისპირება, მოხდება არა მათ ტერიტორიებზე, არამედ რომელიმე სხვა ქვეყანაში. მაგალითად, როგორიცაა უკრაინა, სირია... საქართველოს შემთხვევაშიც ზუსტად ეს არის დაინტერესება და მედვედევის ბოლო განცხადება, რომ საქართველოს ნატოში მიღებამ, შესაძლოა, საშინელი კონფლიქტის პროვოცირება გამოიწვიოს, სწორედ ამ საფრთხეზე მეტყველებს.** საერთოდ, როდესაც რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა რაღაცზე ხანგრძლივად გვაფრთხილებს, ეს, როგორც წესი, კონკრეტული ქმედებებით სრულდება. **მედვედევის განცხადება და მანამდე კიდევ პუტინის, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი პოლიტიკური მუქარა არ ყოფილა, ეს გახლდათ ძალიან მკაფიოდ და დაუფარავად ნათქვამი, რომ, თუ ნატო რუსეთის საზღვრებს მიუახლოვდება და ეს უკვე რუსეთისთვის სერიოზული საფრთხეა, რუსეთი მზადაა, თავისი პოტენციალი, მათ შორის, რასაკვირველია, სამხედროც, ამ საფრთხის გასანეიტრალებლად მიმართოს. აი ეს არის, მოგვწონს თუ არა, დღევანდელი რეალობა, მაგრამ უბედურებაა, რომ საქართველოში მსგავს განცხადებებს ვერ აცნობიერებენ, არც უნდათ, გააცნობიერონ...**

**— „ისლამური სახელმწიფოს“ მუქარა ახსენეთ. არსებობს საფრთხე, რომ საქართველო ტერორისტების სამიზნეში აღმოჩნდეს?**

— ცხადია, საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში, რომლებიც პირდაპირ არის გაცხადებული, რომ ტერორიზმის წინააღმდეგაა მიმართული, ჩვენთვის სერიოზულ საფრთხეებს შეიცავს, მაგრამ, ამასთანავე, აქ სხვა საკითხებიცაა მნიშვნელოვანი. პირველი — **რა სამხედრო, პოლიტიკურ და გნებავთ, კონომიკურ სარგებელს ვიღებთ ჩვენ ამ რისკების სანაცვლოდ და მეორე — ვართ კი მზად საფრთხეებისთვის? ჩვენი „პარტნიორები“ — ამერიკა და ევროპა — თვითონ ვერ ახერხებენ ბოლომდე ამ საფრთხეების გამკლავებას, ჩვენ შევძლებთ?!**

აქვე კიდევ ერთი საკითხია ძალიან მნიშვნელოვანი: დღეს საქართველოში უამრავი სამხედროა, რომლებიც წლების წინათ დაითხოვეს. ვინმე ზრუნავს და ფიქრობს ამ ადამიანებზე?

**— რას გულისხმობთ?**

— რას და, **ეს ის ხალხია, ქართული ჯარიდან დათხოვნის შემდეგ ზოგი უკრაინაში რომ მიდის საომრად, ზოგი — სირიაში, ზოგი კიდევ — სად. ახლა ეს ადამიანები, სირიაში წასულებს ვგულისხმობ, „ისლამური სახელმწიფოსგან“ დავალებას თუ მიიღებენ, როგორ ფიქრობთ, არ ჩამოვლენ საქართველოში და მათ დავალებებს არ შეასრულებენ?! როგორ შეიძლება, ოფიცერი, მაიორი, კაპიტანი ასე ერთი ხელისმოსმით გაათავისუფლო სამსახურიდან და ულუკმაპუროდ დატოვო?** რა თქმა უნდა, მას მოძებნის ის ხალხი, რომელსაც სჭირდება მისი ცოდნა-გამოცდილება და გამოიყენებს კიდეც. საერთოდ, დღეს საქართველოში კანონის, კონსტიტუციის არც ერთი მუხლი არ არეგულირებს სამხედრო სფეროს. არ არსებობს არც თავდაცვის კანონი, რომლიდანაც გამომდინარეობს მთლიანად თავდაცვის გეგმა, როგორ უნდა მოხდეს მობილიზაცია, როგორ უნდა მომარაგდეს ჯარი და ა.შ. ამ დროს **ხელისუფლების წარმომადგენლები, იმის ნაცვლად, რომ გამოსავალზე ფიქრობდნენ, გამოდიან და ყალბი კომპლიმენტებით ამკობენ ქართულ ჯარს. კომპლიმენტები და ტრაბახი იმის თაობაზე, რომ თურმე შეიარაღებულ ძალებში ყველაფერი კარგადაა, კობახიძემდეც გვესმოდა და წინა ხელისუფლების პერიოდში ხომ, საერთოდ, ყელში გვქონდა ამოსული. კიდევ ვიმეორებ: შეიარაღებულ ძალებზე თუ ვინმე მართლა ფიქრობს ამ ხელისუფლებაში, უნდა მიიღონ თავდაცვის კანონი. არ შეიძლება, ოფიცრებს, კაპიტნებს, პოლკოვნიკებს, უბრალოდ, ათავისუფლებდნენ სამსახურიდან და ულუკმაპუროდ ტოვებდნენ. ჯერ ერთი, მათ ოჯახები ჰყავთ და მერე კიდევ — ასე ადვილია პოლკოვნიკის, მაიორის, კაპიტნის მომზადება?!**

სხვათა შორის, **ირაკლი სესიაშვილმა, რომელიც,** ექვსი წელია, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეა, ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი კანონი მიიღო. არ გაინტერესებთ, რა კანონი? 15 თვე იყო სამხედრო სამსახური და გახდა 12. რა „მაგარი“ კანონია, არა? ისე შეუწყო ხელი ჯარს, რომ აშენდა და გაძლიერდა ხუთჯერ. აი, ეს არის რეალურად მათი ზრუნვა შეიარაღებულ ძალებზე, რომელსაც ვითომ სიყვარულსა და პატივისცემას უმტკიცებენ მაღალი ტრიბუნიდან...

**«დღეს საქართველოში კანონის, კონსტიტუციის არც ერთი მუხლი არ არეგულირებს სამხედრო სფეროს. არ არსებობს არც თავდაცვის კანონი, რომლიდანაც გამომდინარეობს მთლიანად თავდაცვის გეგმა, როგორ უნდა მოხდეს მობილიზაცია, როგორ უნდა მომარაგდეს ჯარი და ა.შ.»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ქვეყანაში არ არსებობს საგზაო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სტუქტურა. ავტოსაგზაო შემთხვევებისას პირველი საპატრულო პოლიცია გვახსენდება, თუმცა საპატრულო პოლიცია არ განსაზღვრავს ქვეყანაში საგზაო უსაფრთხოების პოლიტიკას და ეს არ არის მისი საქმე. ისინი რეაგირებენ უკვე მომხდარ ფაქტებზე. ვინ ზრუნავს იმაზე, რომ შემცირდეს ავტოსაგზაო შემთხვევა და საჭეს ნასვამი პირი არ მიუჯდეს?! ამის ანალიზის გამკეთებელიც კი არავინაა“

პრობლემა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კვლავ გახშირდა სიკვდილი გზებზე

# რატომ ვერ იმუშავა 100-ქულიანმა სისტემამ?

**2017 წლის 1 ივლისიდან საქართველოში ამოქმედდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები: კერძოდ, 100-ქულიანი სისტემა, დამონტაჟდა ე.წ. ჭკვიანი კამერები და დაიწყო უკონტაქტო პატრულირება. საკანონმდებლო ცვლილებამ პირველ ეტაზე შეცვალა ბოლო წლებში მაგისტრალებზე არსებული საგანგაშო ვითარება, რომელიც სტატისტიკურად ასე გამოიხატა: ავტოსაგზაო შემთხვევები 12,5%-ით შემცირდა, დაღუპულთა რაოდენობამ 15%-ით იკლო, ხოლო დაშავებულთა რაოდენობამ — 11%-ით. 2017 წლის იანვარ-მაისში სულ 2 291 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, შედეგად 3 233 ადამიანი დაშავდა, 197 — დაიღუპა. 2018 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემები ახალი კანონის ამოქმედებიდან ასე გამოიყურება: სულ მოხდა 2 534 ავტოსაგზაო შემთხვევა, დაშავდა 3 621 ადამიანი, დაიღუპა — 194. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, შარშან 144 ათასზე მეტ მძღოლს დააკლდა ქულები, 24 მძღოლს კი — გაუნულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მართვის მოწმობა ერთი წლის ვადით ჩამოერთვათ. ავტოსაგზაო შემთხვევების დაახლოებით 54% თბილისზე მოდის. დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ 24 ივლისს ახალშემუშავებული სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაცია გამართა. ითქვა, რომ სატრანსპორტო პოლიტიკის მიზანი დედაქალაქის საცობებისგან განტვირთვა და ჰაერის დაბინძურების შემცირებაა. პოლიტიკა ორიენტირებულია ქვეითების უსაფრთხო გადაადგილებასა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაზე. რა არის მიზეზი იმისა, რომ მძღოლები კვლავ ნაკლები კანონმორჩილებით გამოირჩევიან, რატომ გახშირდა სიკვდილი გზებზე და რატომ ვერ იმუშავა კანონმა, რომელმაც ამოქმედებიდან პირველ ეტაპზე ბოლო წლების სტატისტიკა გააუმჯობესა, თუმცა დროებით. აღნიშნულ საკითხზე გვესაუბრებიან არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილი და „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი.**



## „მძღოლებმა გააცნობიერეს, რომ მათ შეცდომებზე სათანადოდ არ რეაგირებენ“

**ეკა ლალიაშვილი:**

— ერთსა და იმავე დარღვევაზე მძღოლს არ მისდის ვიდეოკამერის მიერ აღრიცხული ჯარიმა, პოლიცია მას არ აჩერებს დარღვევის გამო — მძღოლებმა გააცნობიერეს, რომ მათ შეცდომებზე სათანადო რეაგირება არ ხდება. შესაბამისად, მივიღეთ ავტოსაგზაო შემთხვევების მომატებული რაოდენობა. ამ პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ადმინისტრირებაა და არა მხოლოდ რეფორმის ძალაში შეყვანა. შეიძლება ერთ ადგილას 5 ან 6 დარღვევა მოხდეს ერთდროულად და, ბუნებრივია, ერთი პატრული ამას ვერ გააკონტროლებს.

**— რას გულისხმობთ ადმინისტრირებაში?**

— თანამედროვე სისტემები უნდა იყოს ჩართული და გამოყენებული, ვგულისხმობ კამერებს, რომელთა მეშვეობით არც ერთი დარღვევა არ დარჩება რეაგირების გარეშე. თავიდანვე არ იყო საკმარისი ბიუჯეტი, თავდაპირველად, 3 ათას კამერაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ 1 200-მდე ჩამოვიდა. კამპანია „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ უნდა გაგრძელდეს კიდევ უფრო გაძლიერებული ფორმით.

**— როგორ აფასებთ დედაქალაქის მერის ახალ სატრანსპორტო პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეითების უსაფრთხო გადაადგილებასა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაზე?**

— მერის სატრანსპორტო პოლიტიკას დადებითად ვაფასებ. აქ საუბარია საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, მისი ქსელის განვითარებასა და იმ ავტობუსების ჩანაცვლებაზე, რომლებიც ჩვენთვის ყოველდღიური სატკივარია საგზაო უსაფრთხოებისა და გამონაბოლქვის კუთხით. მნიშვნელოვანი მიმართულებაა „ტაქსების“ ლიცენზირება, რაც დღეს, პრაქტიკულად, ქაოსურად მიმდინარეობს. ასეთივე მდგომარეობაშია პარკირების სისტემა, ყველა ევროპული ქვეყნის ქალაქების ცენტრალურ ნაწილში საათობრივი პარკირება უფრო ძვირი ღირს, ვიდრე გარეუბნებში.

**— საყურადღებოა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების დაახლოებით 54% თბილისზე მოდის.**

— დიახ, თუ სტატისტიკას გადავხედავთ, თბილისში მიმდინარე წელს, 6 თვის მონაცემებით, დაიღუპა 46 ადამიანი და 1800-ზე მეტი დაშავდა. არადა, შარშან შედარებით ნაკლები იყო: 43 დაიღუპა და 1800-ზე ნაკლები დაშავდა. მერის სატრანსპორტო პოლიტიკას აუცილებლად დავამატებ იმას, რომ მეტი აქცენტი გაკეთდეს საგზაო უსაფრთხოებაზე; გაკვრით იყო ნახსენები ქვეითთა უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის მოწყობა და ვფიქრობ, ამაზეც ცალკე პრეზენტაცია იქნება გასაკეთებელი.



## „მთავარი პრობლემა საგზაო უსაფრთხოებაში კანონის აღსრულებაა, განსაკუთრებით — სიჩქარის გადაჭარბების კონტროლზე“

**დავით მესხიშვილი:**

— ქვეყანაში არ არსებობს საგზაო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სტუქტურა. ავტოსაგზაო შემთხვევებისას პირველი საპატრულო პოლიცია გვახსენდება, თუმცა საპატრულო პოლიცია არ განსაზღვრავს ქვეყანაში საგზაო უსაფრთხოების პოლიტიკას და ეს არ არის მისი საქმე. ისინი რეაგირებენ უკვე მომხდარ ფაქტებზე. ვინ ზრუნავს იმაზე, რომ შემცირდეს ავტოსაგზაო შემთხვევა და საჭეს ნასვამი პირი არ მიუჯდეს?! ამის ანალიზის გამკეთებელიც კი არავინაა.

**— სად, რომელ რგოლში ხედავთ მთავარ პრობლემას?**

— საგზაო უსაფრთხოებაში მთავარი პრობლემა კანონის აღსრულებაა, განსაკუთრებით „მკვლელი დარღვევის“ — სიჩქარის გადაჭარბების კონტროლზე. ჭკვიანი კამერები, სექციური რადარები არ არის საკმარისი ქვეყნის მასშტაბით.

**— რატომ ვერ გაამართლა 100-ქულიანმა სისტემამ? სტატისტიკა აჩვენებს, რომ მძღოლები კვლავ ნაკლები კანონმორჩილებით გამოირჩევიან?**

— ქულების სისტემას მხარი დავუჭირეთ იმ პირობით, რომ კანონი უნდა აღსრულებულიყო, სხვა შემთხვევაში ეს დარჩებოდა ქაღალდზე და ასეც მოხდა რეგულაციის ამოქმედების პირველ ეტაზე. არადა, ავტოსაგზაო შემთხვევების რამდენიმეთვიანი კლება, ეს იყო პირველი ეფექტი, ანუ მძღოლებმა დაიწყეს ფრთხილად მოძრაობა, მაგრამ, როგორც კი მიხვდნენ, რომ კანონის აღსრულება უსუსტესი აღმოჩნდა, დაუბრუნდნენ საწყის ნიშნულს. ეს ნიშნული კი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაა. **ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება მართვის მოწმობების საკითხი. მართვის მოწმობა ზოგჯერ გაიცემა ადამიანზე, რომელსაც ავტომობილის მართვის არანაირი უნარ-ჩვევა არ აქვს.**

**— ავტოსკოლები საკმაოდ ბევრია...**

— მათ ავტოსკოლა პირობითად შეიძლება დავარქვათ, რადგან ეს არ არის ლიცენზირებული საქმიანობა და ნებისმიერ პირს შეუძლია შპს დააფუძნოს. ისინი, სამწუხაროდ, ორიენტირებულნი არიან თაღლითური სწავლების მეთოდზე. გამოცდაზე გამსვლელს ამზადებენ ე.წ. კოდირებულად. მაგალითად, თუ ბილეთში მოცემულ ნახატზე ორი ბოძია, პასუხია „ბე“ და ა.შ. გამოცდაზე გასული პირები ასე „ატყუებენ“ კომპიუტერულ პროგრამას, პრაქტიკული გამოცდაც დახურულ მოედანზეა, რომელიც არ საჭიროებს არანაირ უნარ-ჩვევას. **საბოლოოდ კი უცოდინარი ადამიანის ხელში ხვდება მართვის მოწმობა.** საბავშვო ბაღშიც უნდა ისწავლებოდეს ელემენტარული საგზაო წესები, ბავშვმა უნდა იცოდეს, რა არის „ზებრა“ და შუქნიშანი.

**— შსს-ში ამბობენ, რომ ცვლილებამ არ გაამართლა. დაგეგმილია ვიდეოსისტემაზე ვიდეოჯარიმების მიბმა, იქნება ეს საკმარისი ნაბიჯი შედეგის გასაუმჯობესებლად?**

— შსს ცდილობს, რომ ვიდეოჯარიმას მიებას ქულების კლება და ამით გამოასწოროს პრობლემა. ეს მისასალმებელია, მაგრამ საბოლოოდ დიდ შედეგს მაინც არ მოგვცემს.

ესაუბრა **სოფო კაკაჩია**




**«თბილისში მიმდინარე წელს, 6 თვის მონაცემებით, დაიღუპა 46 ადამიანი და 1800-ზე მეტი დაშავდა. არადა, შარშან შედარებით ნაკლები იყო: 43 დაიღუპა და 1800-ზე ნაკლები დაშავდა. მერის სატრანსპორტო პოლიტიკას აუცილებლად დავამატებ იმას, რომ მეტი აქცენტი გაკეთდეს საგზაო უსაფრთხოებაზე; გაკვრით იყო ნახსენები ქვეითთა უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის მოწყობა და ვფიქრობ, ამაზეც ცალკე პრეზენტაცია იქნება გასაკეთებელი»**

**P.S. შს სამინისტროს მონაცემებით, დღეს ქვეყანაში ავტოსაგზაო შემთხვევების მაპროვოცირებელი ფაქტორები შემდეგია: საგზაო ნიშნების მოთხოვნების დაუმორჩილებლობა; სიჩქარის გადაჭარბება და ქვეითთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევა.**



უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისტორიკოს მაიკლ შერის წიგნში „მზადება შემდეგი ომისთვის“, რომელშიც აღწერილია აშშ-ის სამხედრო გეგმები, ნათქვამია: „მიუხედავად აშშ-ის ხელისუფლების ოფიციალური განცხადებისა, რომ პირველ ბირთვულ დარტყმას არ განახორციელებს, შტაბის წარმომადგენლები, რომლებიც გეგმავდნენ სამხედრო მოქმედებებს, პირდაპირ მოითხოვდნენ პირველი პრევენციული დარტყმის კონცეფციის განხორციელებას“.**

# ჰიროსიმადან თბილისამდე

## როგორ აპირებდნენ «სტრატეგიული მოკავშირეები» ატომური ბომბებით საქართველოს აღგვას პირისაგან მიწისა

**1945 წლის 6 აგვისტოს, აშშ-მა კაცობრიობის ისტორიაში პირველად, გამოიყენა ატომური ბომბი — ამერიკულ ბომბდამშენ B-29 Enola Gay-დან 19 კილოტონა ტროტილის ეკვივალენტის ატომური ბომბი ჩააგდეს იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში. სამი დღის შემდეგ კი, 9 აგვისტოს, მეორე ატომური ბომბით ამერიკელებმა ნანგრევებად აქციეს იაპონიის მეორე ქალაქი ნაგასაკი. უშუალოდ აფეთქების შედეგად დაიღუპა 200 ათასზე მეტი ადამიანი, სულ კი 1945-2013 წლებში რადიაციის ზემოქმედებით გამოწვეული დაავადებებით ჰიროსიმასა და ნაგასაკიში დაიღუპა 750 ათასზე მეტი...**


ჰიროსიმა 1945 წლის აგვისტოში

დასავლეთი საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმებს მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ამუშავებდა, სსრკ-ისა და დასავლელი მოკავშირეების გამარჯვებამდე ფაშისტურ გერმანიაზე. მას შემდეგ, რაც აშშ-მა შექმნა ატომური იარაღი და 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ჩამოყარა ატომური ბომბები იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში (ეს არის ბირთვული იარაღის გამოყენების ერთადერთი შემთხვევა კაცობრიობის ისტორიაში, თანაც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ) — ამერიკელებმა და ბრიტანელებმა შეიმუშავეს საბჭოთა კავშირზე ატომური თავდასხმის გეგმები, მაგრამ 1949 წელს ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირმაც შექმნა ატომური ბომბი, შემდეგ — სარაკეტო-ბირთვული შეიარაღების კომპლექსი, თავდაცვის სისტემები, რადარები და ავტომატური საპასუხო ბირთვული დარტყმის სისტემები. შედეგად, ანგლოსაქსების ზრახვების განხორციელება, რომ სსრკ-ს (რუსეთს) დაუსჯელად გაანადგურებდნენ, შეუძლებელი შეიქნა.

### ჩერჩილის გეგმა

1945 წლის მაისში დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ უინსტონ ჩერჩილის დავალებით, ამ ქვეყნის შტაბების უფროსების კომიტეტის წარმომადგენლებმა მოამზადეს გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ბერლინსა და დასავლეთ გერმანიაში განლაგებულ საბჭოთა ჯარებზე მძლავრ დარტყმას. ოპერაციას ეწოდებოდა ოპერაცია Unthikable (ოპერაცია „წარმოუდგენელი“). ეს ოპერაცია ჩაიშალა იმიტომ, რომ საბჭოთა ჯარების ნაწილები დროულად გადაჯგუფდნენ და თავდაცვის პოზიციები დაიკავეს.

ბრიტანეთის შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის წევრებმა, რომლებსაც უნდა განეხილათ ზემოხსენებული გეგმა, ჩერჩილისთვის სამწუხარო დასკვნა გამოიტანეს: „რუსებთან ომის დაწყების შემთხვევაში, მზად უნდა ვიყოთ ძვირად ღირებული ტოტალური ომისთვის. ხმელეთზე რუსების რიცხობრივი უპირატესობა, საეჭვოს ხდის სწრაფ სამხედრო წარმატებას“. საბოლოოდ კი ბრიტანელებმა, შეტევითი გეგმის ნაცვლად, შეიმუშავეს თავდაცვითი გეგმა ანალოგიური სახელწოდებით „წარმოუდგენელი“ (როგორც ჩანს, საბჭოთა ჯარების შეტევის წარმატებით მოგერიებაშიც არ იყვნენ დარწმუნებულნი).

### სსრკ-ზე ატომური თავდასხმის ამერიკელების პირველი გეგმა. 1945 წელი

აშშ-ში სსრკ-ზე ბირთვული თავდასხმის გეგმა 1945 წლის სექტემბერში შეიმუშავეს. 1945 წლის 15 სექტემბერს ამერიკელმა გენერალ-მაიორმა **ლორის ნორსტედმა** (ნატოს უმაღლესი მხედართმთავარი 1956-1963 წლებში) გენერალ **ლესლი გროუვს** (აშშ-ის არმიის გენერალი, ბირთვული იარაღის შექმნის პროექტის (მანჰეტენის პროექტი) სამხედრო ხელმძღვანელი 1942-1947 წლებში) გაუგზავნა ზესაიდუმლო დოკუმენტები, რომლებშიც პირველად გაჩნდა სსრკ-ის ტერიტორიაზე ამერიკის მიერ დასაბომბი მიზნების რუკა (ამ რუკაზე მონიშნული იყო ჩინეთის მანჯურიაც, რადგან ის საბჭოთა მეომრებს ჰქონდათ დაკავებული). ამერიკელებს სურდათ, ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი მოკავშირის მიმართ გამოეყენებინათ „სულ ცოტა“ 123 ბომბი. ეს იყო მინიმალური რაოდენობა, „ოპტიმალური“ ვარიანტი კი იყო 466 ბომბი.

პრიორიტეტული მიზნების ჩამონათვალში იყო შემდეგი ქალაქები: **მოსკოვი, ნოვოსიბირსკი, ბაქო, გორკი (ახლანდელი ნიჟნი ნოვგოროდი), სვერდლოვსკი (ახლანდელი ეკატერინბურგი), ჩელიაბინსკი, ომსკი, კუიბიშევი (სამარა), ყაზანი, სარატოვი, მაგნიტოგორსკი, მოლოტოვი (პერმი), გროზნო, ნოვოკუზნეცკი და ნიჟნი ტაგილი.**

გაერთიანებული შტაბების კომიტეტის სამხედრო დაგეგმვის 1945 წლის 14 დეკემბრის დირექტივაში (№432/D) გაწერილი იყო გეგმა სახელწოდებით Peancer („მარწუხები“). მასში ატომური დაბომბვისთვის მონიშნული იყო სსრკ-ის 20 ძირითადი ქალაქი და სამრეწველო ცენტრები, რომლებიც 196 ბომბით უნდა გაენადგურებინათ. ამ გეგმას მოჰყვა კიდევ რამდენიმე გეგმა შიშისმომგვრელი სახელწოდებებით: „ცხელი დღე“, „დამფერფლავი სიცხე“, „შეჯანჯღარება“ და ა.შ.

ისტორიკოს **მაიკლ შერის** წიგნში „მზადება შემდეგი ომისთვის“, რომელშიც აღწერილია აშშ-ის სამხედრო გეგმები, ნათქვამია: **„მიუხედავად აშშ-ის ხელისუფლების ოფიციალური განცხადებისა, რომ პირველ ბირთვულ დარტყმას არ განახორციელებს, შტაბის წარმომადგენლები, რომლებიც გეგმავდნენ სამხედრო მოქმედებებს, პირდაპირ მოითხოვდნენ პირველი პრევენციული დარტყმის კონცეფციის განხორციელებას“.** იმავე წიგნში მითითებულია, რომ ამერიკისთვის საბჭოთა კავშირი, უშუალო საფრთხე კი არა, მხოლოდ პოტენციური მტერი იყო. **„საბჭოთა კავშირი არ წარმოადგენს უშუალო საფრთხეს,** — აღიარა შეიარაღებული ძალების სარდლობამ, — **მისი ეკონომიკა და ადამიანური რესურსი გამოფიტა ომმა... აქედან გამომდინარე, უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში სსრკ თავის ძალისხმევას მიმართავს აღდგენისკენ... საბჭოეთის შესაძლებლობები, იმისგან დამოუკიდებლად, რას ფიქრობდნენ რუსების განზრახვაზე, საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ სსრკ ჩაითვალოს პოტენციურ მტრად“.**

იმას, რომ ომის შემდგომ წლებში სსრკ არ წარმოადგენდა პირდაპირ საფრთხეს აშშ-ისთვის სამხედრო თვალსაზრისით, ხელი არ შეუშლია ამერიკელებისთვის, მოემზადებინათ საბჭოთა ქალაქების ბირთვული დაბომბვის გეგმები.

### გეგმა „ტოტალურობა“ (TOTALITY) – 1946 წ.

1946 წელს ირანის კრიზისის პერიოდში ამერიკელი გენერლის — დუაიტ ეიზენჰაუერის (აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი) შტაბმა შეიმუშავა გეგმა Totality („ტოტალურობა“), იმხანად აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა უკვე მიიღო პირველი ატომური ბომბები. მათი რაოდენობა და წარმოება შეზღუდული იყო, ისევე, როგორც გადატანის საშუალებები (იმხანად ატომური ბომბების გადატანის ერთადერთი საშუალება იყო ბომბდამშენი თვითმფრინავები).

გეგმის სულისჩამდგმელი გახლდათ აშშ-ის 33-ე პრეზიდენტი **ჰარი ტრუმენი**, რომელიც ცდილობდა, სსრკ-ს ვერ დაედგინა, რა რეალური ბირთვული შესაძლებლობები ჰქონდა აშშ-ს. ▶



რუკა იმ ქალაქებისა, რომელთა დაბომბვასაც ამერიკელები აპირებდნენ

# ამერიკელებმა და ბრიტანელებმა შეიმუშავეს საბჭოთა კავშირზე ატომური თავდასხმის გეგმები, მაგრამ 1949 წელს საბჭოთა კავშირმაც შექმნა ატომური ბომბი, შემდეგ — სარაკეტო-ბირთვული შეიარაღების კომპლექსი, თავდაცვის სისტემები, რადარები და ავტომატური საპასუხო ბირთვული დარტყმის სისტემები. შედეგად, ანგლოსაქსების ზრახვების განხორციელება, რომ სსრკ-ს (რუსეთს) დაუსჯელად გაანადგურებდნენ, შეუძლებელი შეიქნა.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ „ტოტალურობა" იყო კაცობრიობის ისტორიაში პირველი სამხედრო გეგმა, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ქალაქის განადგურებას ითვალისწინებდა ატომური ბომბებით.**

აი ამ ქალაქების ჩამონათვალი: **მოსკოვი, გორკი, კუიბიშევი, სვერდლოვსკი, ნოვოსიბირსკი, ომსკი, სარატოვი, ყაზანი, ლენინგრადი, ბაქო, ტაშკენტი, ჩელიაბინსკი, ნიჟნი ტაგილი, მაგნიტოგორსკი, მოლოტოვი (პერმი), თბილისი, სტალინსკი (ნოვოკუზნეცკი), გროზნო, ირკუტსკი და იაროსლავლი — სულ 20 ქალაქი.**

1950 წელს ამერიკის ბირთვულ არსენალში 300-მდე ბომბი იყო, სსრკ-ს კი იმ მომენტში მხოლოდ 5 ბომბი ჰქონდა. როგორც ჩანს, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ამერიკელებმა კიდევ უფრო მასშტაბური გეგმა შეიმუშავეს, ვიდრე იყო „ტოტალურობა".

## „დროპშოტი" – საბაზისო დაშვება

გეგმა „დროპშოტი" შეიმუშავეს 1949 წელს, როდესაც ჰარი ტრუმენი მეორედ აირჩიეს პრეზიდენტად. ეს გეგმა გამომზეურდა 1978 წელს **ჯიმი კარტერის** პრეზიდენტობის პერიოდში. **სსრკ-თან ტოტალური ომის გეგმაში, „ტოტალურობისგან" განსხვავებით, პირველ ადგილზე არ იდგა ატომური დაბომბვები, მაგრამ რაოდენობა ატომური ბომბებისა, რომელთა ჩამოყრასაც აპირებდნენ საბჭოთა კავშირის დასახლებულ პუნქტებში, იმდენი იყო, რომ თავისუფლად შეეძლო მოსახლეობის უდიდესი ნაწილისა და ქვეყნის ინდუსტრიული პოტენციალის 85%-ის განადგურება.**

გეგმა „საბაზისო დაშვება" — ეს იყო პირობებისა და დროებითი ჩარჩოების ერთობლიობა აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ომის წარმოებისა სსრკ-ის წინააღმდეგ.

პირველი საბაზისო დაშვება იყო ომის დაწყების თარიღი — **1957 წლის 1 იანვარი;** მიზეზი — სსრკ-ის ან მისი მოკავშირეების მხრიდან გამოგონილი აგრესიის აქტი.

კონფლიქტში აშშ-ის მოკავშირეებად უნდა გამოსულიყვნენ ნატოს წევრები (იმ მომენტში — კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, იტალია, ნორვეგია, დანია, ისლანდია და პორტუგალია), აგრეთვე, ჩინეთის ნაწილი (რომელშიც დამყარებული არ იყო კომუნისტური მმართველობა), ფილიპინები და ბრიტანული თანამეგობრობის ყველა ქვეყანა, ინდოეთისა და პაკისტანის გარდა.

საბჭოთა კავშირის მხარეს იბრძოლებდნენ: პოლონეთი, ფინეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ალბანეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, მონღოლეთი, მანჯურია, კორეა და კომუნისტური ჩინეთი.

„დროპშოტის" მიხედვით, სსრკ-ის მხარეს შეიძლებოდა დამდგარიყო იუგოსლავიაც, მაგრამ ის, ალბათ, ნეიტრალიტეტს უფრო დაიცავდა.

ირლანდია, ესპანეთი, შვეიცარია, შვედეთი, საბერძნეთი, თურქეთი, ეგვიპტე, ტრანსიორდანია, სირია, ლიბანი, ერაყი, საუდის არაბეთი, იემენი, ისრაელი, ირანი, ინდოეთი და პაკისტანი გამოაცხადებდნენ ნეიტრალიტეტს, მაგრამ სსრკ-ის მხრიდან სერიოზული მუქარის შემთხვევაში დაიჭერდნენ აშშ-ის მხარეს.

იყო კიდევ სხვა დამატებითი დაშვებები, რომლებიც ეხებოდა საბჭოთა ჯარების განვითარებასა და შეიარაღებას, აგრეთვე, ნატოსა და სსრკ-ის ჯარების მობილიზაციის ტემპებს, ეკონომიკურ ვითარებას აშშ-ში და ახლო აღმოსავლეთში რესურსების ხელმისაწვდომობას მოკავშირეებისთვის, მაგრამ **ყველაზე მნიშვნელოვანი და სახიფათო იყო დაშვება საყოველთაო ომისა. პუნქტი №14.**

**„ატომურ იარაღს გამოიყენებს ორივე მხარე. მასობრივი განადგურების სხვა სახეობები (რადიოლოგიური, ბიოლოგიური, ქიმიური) შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერი მხარის მიერ საპასუხო დარტყმის სახით** (გეგმა „დროპშოტი", თავი I. ქვეთავი 4, პუნქტი 14).

აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მოქმედებები 1958 წლის 1 იანვრიდან, გეგმის მიხედვით, იყოფოდა ოთხ ფაზად:

**პირველი ფაზით** გათვალისწინებული იყო მოკავშირეების მიერ სსრკ-ის ატომური დაბომბვის დღე (D-Day);

**მეორე ფაზა** ითვალისწინებდა ფართომასშტაბიან შეტევით ოპერაციებს ფრონტის ხაზზე ყველა სახეობის ჯარით;

**მესამე ფაზა** — შეტევითი ოპერაციის განხორციელება სსრკ-ის კაპიტულაციის მომენტამდე;

**მეოთხე ფაზა** — კონტროლის დაწესება და კაპიტულაციის პირობების დაცვა.

### რატომ არ დადგა ატომური ახალი წელი 1957-ში? მიზეზები, რომელთა გამოც „დროპშიტი" ვერ განხორციელდა, ბევრია.

ატომური ახალი წლის გეგმის შემუშავებიდან 8 წლის განმავლობაში მსოფლიო რადიკალურად შეიცვალა:

* **1953 წელს** გარდაიცვალა **სტალინი.** დუაიტ ეიზენჰაუერი კი, რომლის ხელმძღვანელობითაც შეიმუშავეს „ტოტლიტი", აშშ-ის პრეზიდენტის სავარძელში ჩაჯდა. 1955 წელს ეიზენჰაუერი ჟენევის სამიტზე შეხვდა სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკოლაი ბულგანინსა** და სსრკ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან **ნიკიტა ხრუშჩოვს,** აგრეთვე, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიდერებს. ეს სამიტი უმნიშვნელოვანესი ეტაპი აღმოჩნდა სსრკ-ისა და დასავლეთის მისწრაფებისა მშვიდობისკენ მიმავალ გზაზე;

* **1956 წელს** სსრკ-ის კომპარტიის XX ყრილობაზე ხრუშჩოვი გამოვიდა მოხსენებით „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ". დაიწყო სსრკ-ის დესტალინიზაციის პროცესი.

4 ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ბირთვული იარაღის სფეროშიც:

* 1951 წელს აშშ-ში ჯაშუშობისთვის გაასამართლეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ცოლ-ქმარ **როზენბერგებს**, რომლებმაც სსრკ-ს აშშ-ის ბირთვული პროგრამის ძალიან მნიშვნელოვანი მონაცემები და ნახაზები გადასცეს, რომლებმაც ხელი შეუწყო სსრკ-ის ბირთვული პოტენციალის განმტკიცებას;




ამერიკული ჟურნალ COLLIER'S-ის 1951 წლის ოქტომბრის ნომრის ყდა: ამერიკელი ჯარისკაცი სსრკ-ის რუკის ფონზე, რომლის რაიონები, მათ შორის დედაქალაქი მოსკოვი (ისევე, როგორც სოციალისტური ქვეყნები ევროპაში), აშშ-ის მიერ არის ოკუპირებული



დუაიტ ეიზენჰაუერი და უინსტონ ჩერჩილი, 1944 წ.

* 1954 წელს დაიწყო ექსპლუატაცია მსოფლიოში პირველი ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავისა — USS Nautilus-ის;

* 1956 წელს საბჭოთა ბომბდამშენმა პირველად იფრინა იმ მანძილზე, რომელიც შეესაბამებოდა აშშ-მდე და იქიდან უკან დასაბრუნებელ მანძილს. ამით დაამტკიცა, რომ საბჭოთა პილოტებს გადარჩენის შანსი ჰქონდათ;

* 1957 წელს სსრკ-მა გამოსცადა მსოფლიოში პირველი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა, რომელსაც შეეძლო ბირთვული მუხტის გადატანა. საბჭოთა რაკეტა P-7-ს შეეძლო, 8800 კმ მანძილზე გადაეტანა 3 მეგატონის ბირთვული მუხტი. პეტროპავლოვსკ კამჩატკიდან ლოს-ანჯელესამდე მანძილი კი 6600 კმ-ია, მოსკოვიდან ვაშინგტონამდე — 7850 კმ.

და, **როცა სსრკ-მა მსოფლიოს დაანახვა თავისი ბირთვული შესაძლებლობები, რომ შეეძლო საპასუხო დარტყმით გაენადგურებინა აშშ, სსრკ-ის ატომური დაბომბვის სცენარები წარსულს ჩაბარდა.**

აღსანიშნავია, რომ **1949 წელს შემუშავებული გეგმა, „დროპშოტის" მიხედვით, 1957 წელს ამერიკელებს შეტევის პირველ ეტაპზე სსრკ-ის 103 ქალაქი უნდა დაებომბათ 300 ატომური ბომბით, მათგან 25 ბომბი განკუთვნილი იყო მოსკოვისთვის, 22 — ლენინგრადისთვის, 10 — სვერდლოვსკისთვის, 8 — კიევისთვის, 5 — დნეპროპეტროვსკისთვის, ამდენივე — თბილისისთვის და ა.შ. ბირთვული იარაღის გარდა, პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იყო 250 ათასი ტონა ჩვეულებრივი ბომბის გამოყენება. ამერიკელების გათვლებით, მასობრივი ატომური და ჩვეულებრივი დაბომბვის შედეგად სიცოცხლეს გამოასალმებდნენ 60 მლნ ადამიანს, ხოლო სამომავლო საომარი მოქმედების გათვალისწინებით — 100 მლნ-ზე მეტ საბჭოთა მოქალაქეს.**

ზემომოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, რომ აშშ, რომელიც სსრკ-ის მოკავშირე იყო ჰიტლერის წინააღმდეგ ომში, მეორე მსოფლიო ომის პერიოდშივე ცდილობდა სსრკ-ისთვის ზურგში მახვილის ჩაცემას. ატომური დაბომბვებით გეგმავდა, პირისაგან მიწისა აღეგავა სსრკ-ის დიდი ქალაქები, მათ შორის, თბილისი. ასეთია ამერიკა, რომელიც დღეს საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორია" და ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე „ზრუნავს"...

აი 1945 წლიდან დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩადენილი ყველაზე აღმაშფოთებელი დანაშაულების სია (არასრული), რომელიც საინფორმაციო რესურსმა Global Research-მა გამოაქვეყნა:

* 1950-1953 წლებში, აშშ-ის ძალისხმევით, კორეაში 4 მლნ ადამიანი დაიღუპა. მიზეზი: არ დაეშვათ ქვეყნის გაერთიანება სსრკ-ის მხარდაჭერილი მემარცხენე ძალების მიერ;

* „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ჯვარზე გაკვრა" (ტერმინი ეკუთვნის ცნობილ მეცნიერსა და პოლიტოლოგს — **ნოამ ჩომსკის**). აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა 1962-1975 წლებში სიცოცხლეს გამოასალმეს დაახლოებით 3 მლნ ვიეტნამელი, კამბოჯელი და ლაოსელი. მხოლოდ ერთი ოპერაციის — „ფენიქსის" — შედეგად სიცოცხლე მოუსწრაფეს 40 ათასი ვიეტნამელს;

* 1988 წლის 3 ივლისს ამერიკული სამხედრო ხომალდი Vincennes-ი შევიდა ირანის ტერიტორიულ წყლებში და ჩამოაგდო ირანის სამოქალაქო თვითმფრინავი რეისი №655. დაიღუპა 290 ადამიანი, Vincennes -ის მეთაურმა კი აშშ-ის ხელისუფლებისგან მიიღო ჯილდო „ღირსეული სამსახურისთვის";

* „სიკვდილის გზა". 1991 წელს ამერიკულმა თვითმფრინავებმა გაანადგურეს ტყვედ დანებებული ათიათასობით ერაყელი ჯარისკაცი. ლიბანური წარმოშობის ამერიკელი ჟურნალისტი **ჯოის ჩედიჩი**, რომელიც ამ ამბავს შეესწრო, წერდა: „ამერიკელი სამხედროები მანამდე ბომბავდნენ გზაზე მიმავალ ტყვე ერაყელებს, სანამ ყველა არ დახოცეს. ეს იყო მკვლელობა ათიათასობით ადამიანისა, რომლებსაც წინააღმდეგობის გაწევის არანაირი საშუალება არ ჰქონდათ;

* **ნოამ ჩომსკიმ** ზუსტად აღწერა უპილოტო საჰაერო აპარატების ამერიკული სამხედრო პროგრამა და მას „თანამედროვეობის ყველაზე სასტიკი ტერორისტული კამპანია უწოდა". პროგრამა, რომელიც ამერიკელებმა 2001 წელს აამოქმედეს, ამჟამადაც ხორციელდება. ჟურნალისტური გამოძიების ლონდონური ბიურო იუწყებოდა, სულ ცოტა, 3 447 ავიადარტყმაზე, რომელთა შედეგად 10 ათასი ადამიანი დაიღუპა. მას შემდეგ, რაც ბიურომ მონაცემების შეგროვება დაიწყო, ამერიკული დრონების დარტყმებით 1 427 ადამიანი დაიღუპა ავღანეთში, პაკისტანში, სომალისა და იემენში;

* 1960 წელს აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოკლა კონგოს სახელმწიფო მეთაური, ანტიკოლონისტური მოძრაობის ლიდერი **პატრის ლუმუმბა.** მისი ადგილი კი, აშშ-ის მხარდაჭერით, დაიკავა სისასტიკით განთქმულმა **ჯოზეფ მობუტუმ**, რომელმაც წიაღისეულით მდიდარ ამ ქვეყანაში 3 მლნ-ზე მეტი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. აშშ, აგრეთვე, აფინანსებს და ყველანაირად ეხმარება რუანდის დიქტატორ **პოლ კაგამეს**, რომლის სინდისზეც ათიათასობით ადამიანის მკვლელობაა;

* 1965-1966 წლებში აშშ-მა, დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიასთან ერთად, მხარი დაუჭირა და დააფინანსა დემოკრატიულად არჩეული ინდონეზიის მემარცხენე მთავრობის დამხობა. ქვეყანაში დაიწყო არეულობები, რომელთა შედეგად მილიონამდე ინდონეზიელი გლეხი, მუშა და ინტელექტუალი დაიღუპა. გენერალი **სუჰარტო**, რომელიც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო გადატრიალებას, თავისი ავტორიტარული მმართველობის 30 წლის განმავლობაში აშშ-ისგან იღებდა სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას; 1975 წელს სუჰარტო ვაშინგტონელი სპონსორების დახმარებით შეიჭრა აღმოსავლეთ ტიმორში და დაიწყო ამ ქვეყნის ანექსია. შედეგად დაიღუპა 180 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები;

* 1973 წელს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობით ხუნტამ დაამხო ჩილეს პრეზიდენტი **სალვადორ ალიენდე** და მის ადგილას დასვა მარიონეტი **აუგუსტო პინოჩეტი**, რომლის რეჟიმმაც აშშ-დან იმპორტირებული ეკონომიკური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისას სიცოცხლეს გამოასალმა 30 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე;

* **რონალდ რეიგანის** პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ის მიერ დაფინანსებულმა ავტორიტარულმა რეჟიმებმა ცენტრალურ ამერიკაში მოკლეს 300 ათასზე მეტი ადამიანი. გვატემალაში, სალვადორსა და ჰონდურასში ადამიანებს ხოცავდნენ და ასახიჩრებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოითხოვდნენ სამუშაო და სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და მიწის სამართლიანად განაწილებას;

* 1999 წელს აშშ-მა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა განსაკუთრებული სისასტიკით დაბომბეს იუგოსლავია (ძირითადად, სერბეთი), დაიღუპა 1700-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის — 400 ბავშვი. სერბეთს ჩამოაჭრეს მისი ძირძველი მიწა — კოსოვო და იქ დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნეს;

* 465 ათასი სირიელი დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა ამ ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომში, რომელსაც დასასრული არ უჩანს. და ეს გამოწვეულია აშშ-ისა და მისი მოკავშირეების, მათ შორის, საუდის არაბეთის ინტერესებით.

მოამზადა
ნიკა კორინთელმა

ნოსტალგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კოლმეურნეობა, რომელიც კოოპერაციული საწარმო იყო, მცირე გადასახადს უხდიდა სახელმწიფოს. კოლწევრების მიერ მოყვანილი მოსავალი მთლიანად მათი იყო. აი ეს პროდუქტი და ნაღდი ფული ნაწილდებოდა ხალხზე შრომადღეების მიხედვით — ვისაც მეტი ჰქონდა ნამუშევარი, მეტს იღებდა; ხოლო ვინც ჩამორჩებოდა, რაღა თქმა უნდა, შესაბამისად, ცოტას იღებდა.**

# სოფელო, ჩემო სოფელო!

**საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოფლის მეურნეობას, წამყვანი რგოლი კი იყო კოლმეურნეობა, რომელზეც „იდგა სახელმწიფო“, როგორც „ობიექტივში“ ამბობენ ხოლმე. შევეცდები ჩემი სოფლის კოლმეურნეობის მაგალითზე ავხსნა ამ გაერთიანების მნიშვნელობა. მაინც რა იყო კოლმეურნეობა?**



გასული საუკუნის 30-იან წლებში სოფელ კარდენახში სუსტი და მცირერიცხოვანი 5 კოლმეურნეობა შექმნილა, მაგრამ მაინც საკმარისი ოდენობის მოსავალი მოჰყავდათ, განსაკუთრებით ომის წლებში, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცების უმრავლესობა სამამულო ომში იბრძოდა. დამთავრდა ომი, გამსხვილდა კოლმეურნეობები და დარჩა 2. ერთს ეწოდა **ბერიას** სახელი, ხოლო მეორეს — **სტალინის.**

**ომის პერიოდში კოლმეურნეობის კანტორა, ანუ ახლებურად ოფისი, იყო ფიცრული სახლი, რომელიც 3 ოთახისგან შედგებოდა. შემდეგ აშენდა მშვენიერი შენობა. კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა ჩვენივე სოფლის მკვიდრი მიხაკო ჩახვაშვილი. წამყვანი დარგი იყო მემინდვრეობა, დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ხორბალი, სიმინდი, ჭარხალი, ბოსტნეული. მიწის დამუშავება ხდებოდა გამწევი ცოცხალი ძალით, ნაკლებად — ხელით.**

ომიანობის პერიოდში გამოჩნდა 1 ტრაქტორი, რომელიც მძლავრი არ იყო, მაგრამ მაინც ბევრ საქმეს აკეთებდა. ეს ტრაქტორი მანქანა-ტრაქტორების სადგურს ეკუთვნოდა. ამ ტრაქტორზე მამაჩემი და მისი შემცვლელი მუშაობდნენ. მექანიზატორები მტს-ის მუშაკები იყვნენ, მაგრამ შრომის ანაზღაურებას იმ კოლმეურნეობიდან იღებდნენ, რომელშიც სამუშაოებს ასრულებდნენ. მექანიზატორს ერიცხებოდა შრომადღეები მტს-ის მიერ გამოყოფილი აღმრიცხველის მიერ, ხოლო ანაზღაურებაზე ზრუნავდა ცენტრი. **სტალინის** სპეციალური დადგენილებით მექანიზატორი იღებდა შრომა-დღეზე 3 კგ ხორბალს. ამავე დადგენილებით ადგილობრივ ხელმძღვანელებს ევალებოდათ მექანიზატორების სურსათით უზრუნველყოფა.

მე საზაფხულო არდადეგებს მინდორში ვატარებდი მამასთან, და ვხედავდი, როგორ მოჰქონდა კოლმეურნეობიდან გამოყოფილ „მეხარჯეს“ პური, ყველი, ხორცი, კარტოფილი, ღვინო, არაყი და ა.შ.

**პირველი მუხლუხიანი ტრაქტორი DT-54 1946 წელს გამოჩნდა. „მოხდენილად“ მუშაობდა. ყოველ მომდევნო წელიწადს გვემატებოდა ტრაქტორები, კომბაინები, კულტივატორები და ა.შ, ისეთი ტექნიკა შემოდიოდა, რომელსაც ქარხნის საღებავი ჯერ კიდევ შემშრალი არ ჰქონდა. ეს ტექნიკა სახელმწიფოსი იყო და კოლმეურნეობას მის შეძენაზე კაპიკი არ ეხარჯებოდა.**

კოლმეურნეობა, რომელიც კოოპერაციული საწარმო იყო, მცირე გადასახადს უხდიდა სახელმწიფოს. კოლწევრების მიერ მოყვანილი მოსავალი მთლიანად მათი იყო. აი ეს პროდუქტი და ნაღდი ფული ნაწილდებოდა ხალხზე შრომადღეების მიხედვით — ვისაც მეტი ჰქონდა ნამუშევარი, მეტს იღებდა; ხოლო ვინც ჩამორჩებოდა, რაღა თქმა უნდა, შესაბამისად, ცოტას იღებდა. განაწილება იწყებოდა გაზაფხულზე, როცა თავმჯდომარე საერთო კრებას ანგარიშს წარუდგენდა, კრების მონაწილენი ირჩევდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. ახლა ვნახოთ, ხელმძღვანელობის შემადგენლობა და რაოდენობა: კანტორაში ერთი კაბინეტი თავმჯდომარისა იყო, ცალ-ცალკე ოთახებში ისხდნენ მთავარი აგრონომი და მთავარი ბუღალტერი; ცოტა მოზრდილ ოთახში — 2-3 მოანგარიშე და მდივანი.

კანტორაში მუდამ ხალხმრავლობა იყო. მუშაობა იწყებოდა დილით მზის ამოსვლისთანავე და ხშირად ღამის 2-3 საათამდე გრძელდებოდა. თავმჯდომარე დადიოდა ცხენით. მაშინ სად იყო მანქანები, მით უმეტეს მსუბუქი მანქანა. სატვირთო მანქანა ერთი ჰქონდათ, რომელიც ომის პერიოდში მიიღეს — „ზის-5“, ხოლო 1950 წლისთვის კოლმეურნეობას 10 თუ 12 ახალი მანქანა ჰქონდა. თავმჯდომარე მძღოლებს აფრთხილებდა — ეგ მანქანები არც ჩემია და არც თქვენი. ხალხისაა და ვისაც ტრანსპორტი დასჭირდება, ჩემი ნებართვა არაა საჭირო, ყველას ხელი გაუმართეთო. ხალხს კიდევ ვენახში უნდოდა რაღაცების ჩატანა-ამოტანა, შეშის მოტანა, ღმერთმა ნუ ქნას, ვინმე თუ ცუდად გახდებოდა, უმალვე წაიყვანდნენ სამკურნალოდ.

კოლმეურნეობა დაყოფილი იყო ბრიგადებად, ბრიგადა რგოლებად. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაციას ხელმძღვანელობდა ინჟინერ-მექანიკოსი.

**კოლმეურნეობა მისდევდა მევენახეობას, მეცხვარეობას. მეცხოველეობის ფერმიდან ყოველდღიურად ახალმოწველილი რძით პირამდე სავსე იმდენი 40-ლიტრიანი ბალონები გაჰქონდათ, რომ „გაზაკის“ ძარაზე ძლივს ეტეოდა. რძე გურჯაანის ყველკარაქის ქარხანას მიეყიდებოდა. იყო დიდი მეღორეობის ფერმა, აქაური ღორის ხორცი მაღაზიაში იყიდებოდა, კილოგრამი — 1,70-2 მანეთად.**

1948 წელს დაიწყო და სწრაფად აშენდა საქონლის ფერმა. ეს იყო კაპიტალური შენობა, მთლიანად მექანიზებული; მარაგდებოდა სილოსითა და სენაჟით. მწველავებს პატარა ოთახები ჰქონდათ გამოყოფილი და საჭიროების შემთხვევაში ღამეც იქ რჩებოდნენ.

**კოლმეურნეობას მოჰყავდა ძალიან დიდი რაოდენობით კიტრი, პომიდორი, ყველანაირი მწვანილი, საზამთრო და ნესვი. ბოსტნეულისა და ბაღჩეულის მოყვანაზე შხამქიმიკატებს არ იყენებდნენ, მხოლოდ მორწყვით მოდიოდა დიდი მოსავალი. არ იტყვით, რა გემრიელი იყო ის საზამთრო და ნესვი? — შაქარივით ტკბილი იყო. ითესებოდა 30-40 ჰა-ზე და ისეთი ბარაქიანი იყო, რომ გამოზიდვას ვერ ასწრებდნენ. დიდი რაოდენობით ეგზავნებოდა თბილისს, რუსთავს, გორსა და სხვა ქალაქებს. თანაც გადაზიდვა ხდებოდა რკინიგზის ვაგონებით. სოფელშიც იყიდებოდა. კილოგრამი — 50 კაპიკად, დღევანდელი ფულის კურსით, 50 თეთრად.**

**ახლა განვიხილოთ რა ფუნქციები ჰქონდა კოლმეურნეობას საზოგადოების სასარგებლოდ.** კოლმეურნეობამ გამოიყვანა წყალი ტინის წყაროდან, ჩვენ უკან რომ მთებია, იქიდან. ეს წყალი დღესაც მოდის. **გაიყვანა საუბნო გზები.** ხრეში მოჰქონდათ ცხენის საზიდრებით ხევიდან. ეს საქმე მინდობილი ჰქონდა საგზაო ბრიგადას. **კოლმეურნეობამ ააშენა აფთიაქი, სკოლა. ყოველ წელიწადს საკლასო ოთახებს უტარდებოდა რემონტი.**

**კოლმეურნეობას ჰყავდა ფეხბურთის გუნდი, გვქონდა სტადიონი.**

ერთ პატარა ამბავს მოგიყვებით, იმ დემოკრატიის წარმოსაჩენად, რომელიც სოფლის მმართველობაში სუფევდა. ჩვენს კოლმეურნეობას სოფელ ჭერემში ჰქონდა ტყე, სადაც სოფელი ამზადებდა შეშას. იქვე იყო ფერმაც.

ერთხელ თავმჯდომარისთვის დაუვალებია რაიკომის მდივანს, განიხილეთ ჭერმის ტყის საკითხი: ეგებ აღარ გჭირდებათ და სატყეოს გადაეცესო. მიხაკოს იმავე საღამოს გამგეობის წევრებისთვის უთქვამს ეს ამბავი. ისინი კიდევ ამხედრებულან, — როგორ თუ არ გვჭირდებაო და დაუდგენიათ, არ გადაეცესო! დადგენილების ამონაწერი მიხაკოს მიუტანია პირველ მდივანთან — **არჩილ დავითაშვილთან.** მას წაუკითხავს და უთქვამს: — კაცო, ეგ დაგავალეო? ამას მხრები აუჩეჩია — რა ვქნა, გამგეობამ ასე ისურვაო. ინციდენტი ამით ამოწურულა.

ჯერ კიდევ ომი მძვინვარებდა, როცა სოფელში ალაზანჰესიდან ელექტროხაზი გამოჭიმეს. **კოლმეურნეობამ ორი ტრანსფორმატორი იყიდა და ქვითკირის 2 ჯიხურიც ააშენა. ძალზე სწრაფად აშენდა 2 წისქვილი და 1 ზეთსახდელი ქარხანა. დენიც მიაწოდეს. ამ ხაზებს რამდენიმე კაცი ემსახურებოდა და მათ შრომადღეებს უწერდნენ, სოფელი დაიქსელა ელექტროხაზებით და დაიწყო ელექტროფიკაცია.** ჩვენს უბანში 1947 წელს ჩაყარეს ბოძები და სახლებში დენი რიგრიგობით შეიყვანეს.

**ყველა ოჯახში ამუშავდა რადიო. სოფელს 3 სამჭედლო შეემატა** (შევნიშნავ, რომ დღეს სოფელში სამჭედლო აღარ არის). **მოეწყო ორი სახერხი.** თავდაპირველად იქ მხოლოდ ადგილობრივი ტყის მასალა იხერხებოდა, ხოლო, როცა რუსეთიდან დაიძრა ფიჭვის მორები, მაშინ ხალხმაც და კოლმეურნეობამაც იქ იწყო მასალის შეძენა, რა თქმა უნდა, იაფად.

ორიოდე სიტყვა მშენებლობაზე, როცა რომელიმე მოსახლე გადაწყვეტდა სახლის აშენებას, მოაგროვებდა საჭირო მასალას, მეზობლები უსასყიდლოდ ეხმარებოდნენ. დღეს დაიწყეთ მშენებლობა და ნახავთ, რამდენი დაგიჯდებათ.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, სოფელში საქმე დუღდა და გადადუღდა. საოცარია, რა ენთუზიაზმი იყო, რა შრომის ცეცხლი ენთო მოსავლის აღებაზე მინდვრად. მთელი სოფელი იქ იყო, მედიცინა, განათლება, კულტურის ხალხი, მოსულები იყვნენ მსახიობები, მომღერლები და შუადღისას, მაგრად რომ დაცხებოდა, შესვენებისას კონცერტები იმართებოდა. შრომობდა დიდი და პატარა. კომბაინს კვალში ედგნენ და თავთავს კრეფდნენ მოსწავლეები. თვალსაჩინო ადგილზე ასეთი ტრანსპარანტი იყო გაკრული: **„მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას მოცდა არ უყვარს. დროზე აიღებ — მოიგებ, დააგვიანებ — წააგებ. ი.ბ. სტალინი“.**

კალოზე კი ასეთი წარწერა იყო გამოკრული: „პირველი განალეწი — სახელმწიფოს“. ვიღაც ამ წარწერით ძალიან აღშფოთებულა და ხმამაღლა განუცხადებია: მაშ, რისთვისღა ვშრომობთ, თუ მოსავალი სხვამ უნდა წაიღოსო?! ეს ნათქვამი თავმჯდომარესთან მიუტანიათ. შესვენებაზე ხალხი შეუგროვებიათ და განუცხადებია: **„ჩვენი მოსავალი უსასყიდლოდ არავის მიაქვს. ყველაფერში ფულს გვიხდიან, მაგრამ იმდენს არა, რაც ბაზარში ღირს. მთელი ქვეყნის მოსავალი სახელმწიფო ბეღელში იყრის თავს, შემდეგ წისქვილკომბინატები ფქვავენ და საცხობებს აწვდიან. ეს გამომცხვარი პური სავაჭრო ქსელში — მაღაზიებში გადის და იცით, როგორ იყიდება? 1 კილოგრამი 32 კაპიკი ღირს“.** მალე ხორბალი მაღაზიებშიც გამოჩნდა ტომრებით, სავსე იყო მაღაზიის საჩეხე. ღირდა ეს ხორბალი 1,8-20 მანეთი ფუთი (16,3 კგ).

**კოლმეურნეობის განკარგულებაში იყო 2 საბავშვო ბაღი კოლწევრების შვილებისთვის.**

მიკერძოებაში რომ არავინ ჩამითვალოს, მხოლოდ თავისას აქებსო, აქვე გაგაცნობთ სხვა სოფლების თავკაცებს.

**ინდიკო სეფაშვილი** — შილდიდან. იგი, უპირველესად, დიდებული პიროვნება იყო და შემდეგ ძლიერი ხელმძღვანელი. გადმოვინაცვლოთ აქეთ და წარმოვადგინოთ **ვახტანგი მაყაშვილი** სოფელ შრომიდან (ახლანდელი ვაჩნაძიანი). მისი ხელმძღვანელობის დროს სოფელი მტკიცედ დადგა ფეხზე. **ვალიკო უტიაშვილი**, ჩუმლაყელთა თავკაცი. სოფლელები მის მზეს ლოცულობდნენ. მოვედით ვეჯინში, რომელსაც ასევე დიდებული პიროვნება ხელმძღვანელობდა — **იოსებ ინდაშვილი.** კარდანახელ **მიხაკო ჩახვაშვილზე** კი ბევრი დავწერე. გადავინაცვლოთ ქიზიყში. ერთი მეტად კოლორიტული კაცი **გიორგი გელაშვილი** ედგა ბოდბისხევლებს სათავეში. შემდეგი პიროვნება უკვე სოციალისტური შრომის გმირი იყო და კოლმეურნეობა კიდევ ლენინის ორდენოსანი. ალბათ მიხვდით, ლაპარაკია ზემო მაჩხაანის თავკაცზე — **ნიკოლოზ მამაიაშვილზე.** რაღაც მიზეზების გამო იგი გაათავისუფლეს და სოფელიც უცებ მოირღვა.

გავიხსენებ ზემო ქედელთა თავკაცს — **არსენ კობაიძეს.** ისიც სოციალისტური შრომის გმირი იყო.

ვინმემ შეიძლება მკითხოს — მაგ შენს ნაწერებში ძირითად ადგილს უთმობ შრომას, მინდორს, ვენახს, ტრაქტორსა და კომბაინს, მაგრამ არაფერს ამბობ სოფელში რა მდგომარეობა იყო კულტმასობრივი კუთხითო. ახლა ამ თემას განვიხილავ.

მაშ ასე: **სოფელს ჰქონდა ორი კლუბი, კინოდანადგარი, ბიბლიოთეკები.** მე კინო პირველად დაახლოებით 7-8 წლისამ ვნახე. ყოველ 2 დღეში ერთხელ დავდიოდი კლუბში ფილმის სანახავად. მეტწილად ქართულ ფილმებს უჩვენებდნენ. მას შემდეგ, რაც გურჯაანში მოეწყო კინოგაქირავების საწყობი, ჩვენს კინომექანიკოსს არჩევანის საშუალება მიეცა. ზოგჯერ კოლმეურნეობა ფულს გადარიცხავდა და ფილმს საღამოობით ღია ცის ქვეშ, კანტორის წინ უშვებდნენ. ბევრი მაყურებელი მოდიოდა.

ხშირად ჩამოდიოდნენ მსახიობები, მომღერლები, პაროდისტები. 1 მაისს საღირაულზე დილიდან იწყებოდა და მთელი დღე გრძელდებოდა ცეკვა-თამაში, ცხენების დოღი, ჭიდაობა.

**სასოფლო კლუბის ეზოში ზაფხულობით რეგულარულად იმართებოდა საღამოები კლუბის გამგე ვასო შავერდაშვილის,** მეტსახელად კუზმას, ხელმძრვანელობით. პროგრამა კი ასეთი იყო: ტირში სროლა, ლატარია, მოძრავი ფოსტა, ქართული ჭიდაობა ჯილდოზე, ცეკვა, კლუბის ეზო ფერადი სინათლეებით იყო განათებული და იქ სეირნობა ერთ რამედ ღირდა. ქვეყნის სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ ყველაფერი აირია. დეგრადაციის ტალღამ სოფელსაც გადაუარა და დღეს ხელში ჩვენი დროის სოფლების მოგონებაღა შეგვრჩა.

**გუგული ყოინაშვილი**
**გურჯაანის რაიონი, სოფელი კარდენახი**

კლერ ფრონფანმა, 39 წლის ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ალკოჰოლური კომპანია SEAGRAM'S-ის მემკვიდრეა, იყიდა ერთი კუნძული, თვითმფრინავი და სექსკულტის დაფინანსება დაიწყო. კლერი, რომლის ქონება 200 მილიონ დოლარად არის შეფასებული, დააპატიმრეს ორგანიზაცია NXIUM-ის საქმეზე. ამ საქმის ფიგურანტებს ბრალი ედებათ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ადამიანებით ვაჭრობაში.

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ექიმი ბავშვებს ინიექციას უკეთებდა და მათზე ძალადობდა


ბარბარა ო'ჰარა


დევიდ მარტინი

**ექიმი კენეტ მილერი ბავშვებს დამბლის გამომწვევ შრატს უკეთებდა, გიჟის პერანგს აცმევდა და ძალადობდა მათზე. ეს საზიზღრობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა, კერძოდ 1950-1970 წლებში, როცა მილერი დერბიშირის საავადმყოფოში მუშაობდა. პედოფილი ისე გარდაიცვალა, რომ სასამართლოს წინაშე არ წარმდგარა, — იუწყება The Sun.**

ძაღლიც მიაკვდა სულში!

კენეტის მსხვერპლთა სიაში 65 ადამიანია, მათი მონათხრობით პოლიციამ შეიტყო, რომ ექიმს ბავშვები ცალკე ოთახში შეჰყავდა, პრეპარატებით აბრუებდა და უსუსურ მდგომარეობაში მყოფთ აუპატიურებდა. დანაშაული ჩადენილია, მაგრამ, როგორც გაზეთი წერს, პასუხს ვერავის მოსთხოვენ, რადგან იმ საავადმყოფოს ყოფილი თანამშრომლები ან უკვე დაიხოცნენ, ან მათი იდენტიფიცირება შეუძლებელია.

მსხვერპლთაგან ერთ-ერთი, **ბარბარა ო'ჰარა** ყვება, რომ კენეტმა იგი რამდენჯერმე გააუპატიურა და ყოველთვის მას შემდეგ, რაც ნატრიუმის ამიტალის ინიექციას გაუკეთებდა. პედოფილ ექიმს სადისტური გადახრაც ახასიათებდა: სექსუალური ძალადობის გარდა, დახრჩობის იმიტაციას აწყობდა — პატარა პაციენტებს წყალში აყოფინებდა თავს და ამით დამატებით სიამოვნებას იღებდა.

სხვა პაციენტი იხსენებს, რომ ერთხელ, როცა წამლის ზემოქმედების დრო გავიდა და ბავშვმა გაიღვიძა, აღმოჩნდა, რომ ხელები დაბორკილი ჰქონდა, ფეხებს შუა კი საშინელ ტკივილს გრძნობდა. გოგონამ შესჩივლა მედდას, რომელმაც თავში ხელი ჩაარტყა და უთხრა, რომ მას (ბავშვს) ინფექცია აწუხებს.

**დევიდ მარტინი** 12 წლისა იყო, როცა ექიმმა გააუპატიურა. წლების შემდეგ, უკვე დაკაცებულმა, აღიარა, რომ ამის გამო ცხოვრება დაენგრა და მარტოსული დარჩა: „წლების განმავლობაში არავის სჯეროდა, რა უბედურებაც დამატყდა თავს. იმ ზომამდე მივედი, რომ ვფიქრობდი, სიცოცხლე თვითმკვლელობით დამესრულებინა. მეცოდებიან ჩემ დღეში ჩავარდნილები, განსაკუთრებით, ქალები. ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო. ახლა პირველად ირწმუნეს ჩვენი მონაყოლი".


კენეტ მილერი

## და ცოლად გაჰყვა ძმას, რომელთანაც სასიყვარულო კავშირს 15 წლის განმავლობაში მალავდა



**დები ზუტანტი თავის ძმას — დედინაცვლის შვილს, ცოლად გაჰყვა. 50 წლის ფლორიდელი ქალი 37 წლის ჯოს სამი წლის წინათ მისთხოვდა. იმ მომენტისთვის მათი რომანი უკვე 15 წელიწადს ითვლიდა. ერთი მამის შვილები ირწმუნებიან, რომ მათ ერთმანეთი პირველი ნახვისთანავე შეუყვარდათ.**

მეორე შეხვედრისას შეყვარებულებმა ერთმანეთთან სექსუალური კავშირი დაამყარეს, მაგრამ იძულებულები იყვნენ, ურთიერთობა ოჯახისთვის არ გაემხილათ. ამჟამად წყვილი ამის შესახებ დაუფარავად ლაპარაკობს. თავიანთი ურთიერთობის გასაჯაროებას ამართლებენ იმით, რომ სურთ, საზოგადოებას აუწყონ ისეთი სინდრომის არსებობა, როგორიც გენეტიკური სექსუალური სწრაფვაა.

„მიუხედავად იმისა, რომ მე და ჯო ნათესავები ვართ, შეხვედრისთანავე გაგიჟებამდე შეგვიყვარდა ერთმანეთი. ვიცი, რომ ორივეს ერთი სისხლი გვაქვს, მაგრამ ერთად არ გავზრდილვართ. სამი წლისა რომ ვიყავი, მაშინ მიშვილეს. მას შემდეგ სულ ვცდილობდი ჩემი ნამდვილი ოჯახი გამეცნო".

დებიმ კერძო დეტექტივი დაიქირავა თავისი ნათესავების საპოვნელად. თავდაპირველად თავისი ბიოლოგიური მშობლები გაიცნო. შემდეგ, როცა ოჯახი წვეულებაზე შეიკრიბა, გაიცნო ჯო. მომდევნო საღამოს ორივენი სავახშმოდ წავიდნენ. ძმამ სიყვარული აუხსნა. მალევე ურთიერთობა ინტიმურ სიახლოვეში გადაიზარდა.

„ყოველთვის, როცა სტუმრები გვყავდა, თავს ისე ვაჩვენებდით, თითქოს ჯოს ცალკე ოთახში ეძინა. საოჯახო წვეულების დროს ერთმანეთთან დისტანციას ვიკავებდით. მამა ჩვენი შეხვედრიდან სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ ჩვენი ურთიერთობის შესახებ არაფერი გაუგია".

როცა დებიმ ოჯახს ეს გაუმხილა, ყველამ უკვე ყველაფერი იცოდა. წყვილი დაქორწინდა იმის მიუხედავად, რომ აშშ-ის კანონმდებლობით ასეთი კავშირი აკრძალულია.

მათ 15 წლით პატიმრობა ემუქრება.

## მაგნატის მემკვიდრემ იყიდა კუნძული და სექსმონების იმპერია შექმნა



**კლერ ფრონფანმა, 39 წლის ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ალკოჰოლური კომპანია Seagram's-ის მემკვიდრეა, იყიდა ერთი კუნძული, თვითმფრინავი და სექსკულტის დაფინანსება დაიწყო.**

კლერი, რომლის ქონება 200 მილიონ დოლარად არის შეფასებული, დააპატიმრეს ორგანიზაცია Nxium-ის საქმეზე. ამ საქმის ფიგურანტებს ბრალი ედებათ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ადამიანებით ვაჭრობაში, — იუწყება Fox News.

დაკავებულები არიან, აგრეთვე, სექსკულტის ლიდერი **კით რანერი** და მისი მარჯვენა ხელი, სერიალ „სმოლვილის საიდუმლოებანის" მსახიობი ქალი **ელისონ მაკი.** ისინი ქალთა მოძრაობის წარმომადგენლებად წარუდგნენ ფართო საზოგადოებას. მდედრთა ამ საზოგადოების წევრობის მსურველებს ლიდერისთვის თავიანთი შიშველი ფოტოები ან სხვა მაკომპრომენტირებელი მასალები უნდა გაეგზავნათ, ვითომდა თავიანთი საქმიანობის დასაცავად მხილების შემთხვევაში. მაგრამ ეს მოთხოვნები არაფერია იმასთან შედარებით, რაც მათ თავს გადახდათ.

„მოძრაობის" ყოველ ახალ მონაწილეს აიძულებდნენ, გაშიშვლებულიყვნენ იმ მოტივით, რომ წევრად კურთხევის ნიშნად სვირინგი უნდა გაეკეთებინათ. შემდეგ აწვენდნენ მასაჟის მაგიდაზე, რომლის გვერდით სამი მამაკაცი იდგა და სვირინგის ნაცვლად ლიდერის ინიციალებიან დამღას ადებდნენ.


ელისონ მაკი

„ჩვენ ვტიროდით და ვკანკალებდით. ერთმანეთს ხელებით ვიყავით ჩაჭიდებულები. ეს იყო საშინელება. თითქოს გავქვავდი და ჩემის სხეულის თითოეული ნაწილი მეუბნებოდა: „წაეთრიე აქედან, გაიქეცი!"

ქალებს აიძულებდნენ, რამდენიმე პარტნიორთან სექსუალური კონტაქტის დამყარებას, ცივი წყლის ქვეშ ყოფნას და წონის დაკლებას, მოუწოდებდნენ დაუქორწინებლობის აღთქმის დადებისკენ და ა.შ.

ბრონფანი და მისი უფროსი და **სარა** გარდაცვლილი კანადელი მილიარდერის — **ედგარ ბრონფანის** და მასზე 20 წლის უმცროსი ცოლის ქალიშვილები არიან. ორივემ მილიონობით დოლარი შეწირეს სექსკულტს, რის გამოც მამა მათთან დალაპარაკებასაც არ კადრულობდა. გამოძიება უმცროს ბრონფანს აშშ-ში არალეგალური მიგრანტების ჩაყვანის ორგანიზებასა და კანონმდებლობის სხვა დარღვევაშიც ამხელს.

მას 20 წლით ციხეში ჩასმა ემუქრება.

## 81 წლის მამა, რომლისგანაც მისმა ქალიშვილმა სამი შვილი გააჩინა, ოთხი წლით ციხეში ჩააყუდეს

**ქალმა სიკვდილის წინ თავის ქმარს გაუმხილა საშინელი საიდუმლო, მაგრამ მეუღლემ გადაწყვიტა, არ მიეყენებინა შვილებისთვის მორალური ტრავმა და პოლიციას მხოლოდ 25 წლის შემდეგ მიმართა.**

სასამართლომ 81 წლის მამას ოთხი წლითა და ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯა. ქალის ქმარმა დააფინანსა გენეტიკური შემოწმების პროცედურა და ტესტირების შედეგი პოლიციას 2012 წელს აცნობა, — იუწყება The Sun.

გარდაცვლილი ქალი, რომელიც **აშრაფ ხანის** ოთხ შვილთაგან ერთ-ერთი იყო, დაიბადა პაკისტანში. გათხოვებამდე მამასთან ერთად ბრედფორდში გადავიდა საცხოვრებლად და სამი შვილი გააჩინა. 1980-იანი წლების დასაწყისში შეხვდა თავის ქმარს, რომელსაც ეს საშინელი საიდუმლო გაუმხილა. ქმარმა, როგორც The Sun წერს, გადაწყვიტა, ბავშვების ფსიქიკა არ დაეზიანებინა და ისინი გაზარდა, როგორც საკუთარი შვილები.



ექიმებმა შემოწმებისას ბავშვებს აღმოუჩინეს დაავადებები, რომლებიც სისხლის აღრევის შედეგად იჩენს ხოლმე თავს. ბავშვების მონაყოლით, ბაბუა მუდმივად ეჩხუბებოდა, რამაც მათ ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ფრიად უარყოფითად აისახა. „ერთადერთი ადამიანი, რომელიც მხარში გვედგა და გვზრდიდა, როგორც საკუთარ შვილებს, დედის ქმარი იყო. ჩვენ ვერასოდეს გადავუხდით გაწეულ ამაგს. ყველას შეუძლია იყოს მამა, მაგრამ მისნაირები ერთეულები არიან".

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ტრამვაი-ფუნიკულიორი (ჰონკონგი)

ეს ტრამვაი-ფუნიკულიორი იწყება პარკ „ჰონკონგთან" ახლოს მდებარე მოედნიდან და მგზავრები აჰყავს პიკ ვიქტორიამდე (1364 მ). სადგურის ბოლო წერტილში განლაგებულია სავაჭრო-გასართობი ცენტრი და უამრავი რესტორანი. „პიკ ტავერნამდე" მგზავრობა 15 წუთს გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ფუნიკულიორის მატარებელი 3 კმ-ს გადის.



# განსაცვიფრებელი ფუნიკულიორები

**ფუნიკულიორებს, მისი მატარებლების ფანჯრებიდან გადაშლილი პანორამის თვალსაზრისით, არა მხოლოდ ყველაზე მეტი შთაბეჭდილების დატოვება შეუძლია მგზავრებზე, არამედ ის შესანიშნავი სატრანსპორტო საშუალებაა ციცაბო ფერდობებზე მგზავრების ასაყვანად და ტვირთების ასაზიდად.**
**გთავაზობთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილ განსაცვიფრებელ ფუნიკულიორებს.**



## ვუპერტლის დაკიდებული გზა (დრეზდენი, გერმანია)

ვუპერტლის დაკიდებული გზა — ეს არის 1448 მ სიგრძის მინორელსური სისტემა ესტაკადაზე ტრამვაისთვის. ეს უძველესი მინორელსური გზაა. მისი დიდი ნაწილი გადის მდინარე ვუპერის თავზე, 12 მ სიმაღლეზე, მატარებელი კი საათში 60 კმ სიჩქარეს ავითარებს.

## «ნიზენბანი» (ბერნი, შვეიცარია)

„ნიზენბანი" შვეიცარიის ალპების ობერლანდის რეგიონში მოქმედი ფუნიკულიორია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სოფელ მელენენსა და „შვეიცარიული პირამიდის" მწვერვალს. ის არ არის შვეიცარიის ყველაზე ძველი ფუნიკულიორი (ყველაზე ძველია 1879 წელს გახსნილი „გისბახი"), არც ყველაზე დახრილი, მაგრამ ყველაზე გრძელია — 2,2 კმ.

ამ ფუნიკულიორის გვერდით აგებულია მსოფლიოში ყველაზე გრძელი კიბე, რომელიც 11 767 საფეხურისგან შედგება.



## «არტილერია» (ვალპარაისო, ჩილე)

მას, ვინც ნამყოფია ჩილეს ქალაქ ვალპარაისოში, შეუძლია თქვას, რომ ფუნიკულიორი, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შევიდა 2003 წლიდან, სამოთხეა ოკეანის სანაპიროზე. მიუხედავად იმისა, რომ ვალპარაისოში 30-მდე ფუნიკულიორია (მათი უმრავლესობა 1890-იან და 1990-იანი წლების დასაწყისში აიგო), ამ „ასენსორეს"-ებიდან (ლიფტებიდან) მხოლოდ რამდენიმეს იყენებენ აქტიურად. ძირითადი ფუნიკულიორია „არტილერია" (1893 წ.). ის არც ყველაზე გრძელია და არც ყველაზე ძველი, მაგრამ ვალპარაისოსთვის ფოტოების გადასაღებად საუკეთესოა.





## «ჯონსტაუნი» (ჯონსტაუნი, პენსილვანია, აშშ)

აეროპორტ „კამბრია კაუნტიდან" საათ-ნახევრის სავალზე მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე დახრილი სატრანსპორტო გზა. მისი საერთო სიგრძე 273 მეტრია, დახრის კუთხე — 79,9 გრადუსი, ბოლო წერტილი კი 487 მ სიმაღლეზე მდებარეობს. 1936 და 1977 წლებში დიდი წყალდიდობებისას გზა ქალაქიდან ადამიანების ევაკუაციისთვის გამოიყენეს. ფუნიკულიორი „ჯონსტაუნი" დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებში.



## ნეაპოლის ცენტრალური ფუნიკულიორი (ნეაპოლი, იტალია)

თუ იტალიის სიდიდით მესამე ქალაქში აპირებთ ჩასვლას, აუცილებლად იმგზავრეთ მეტროპოლიტანა-დი-ნაპოლითი და ოთხი ცნობილი ფუნიკულიორიდან — „კიიაია" (1889), „მონტესანტო" (1891), „ცენტრალური" (1928) და „მერჯელინა" (1931) — ერთ-ერთით. ნეაპოლელთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ცენტრალურ ფუნიკულიორს, რომელიც 4 უმნიშვნელოვანეს სადგურს ერთმანეთთან აკავშირებს. ეს ყველაზე დიდი (1219 მ) დახრილი სარკინიგზო ხაზია.




## თბილისის ფუნიკულიორი

თბილისის ფუნიკულიორი —ეს არის სამთო-საბაგირო რკინიგზა ქვედა და ზედა სადგურებით, კულტურისა და დასვენების კომპლექსით მთაწმინდის პლატოზე. გზის სიგრძე 501 მეტრია, ლიანდაგის დახრის კუთხე — 28-33 გრადუსი, ვაგონში 60 კაცი ეტევა. ფოლადის ბაგირის დიამეტრი 33 მმ-ია. გზის შუა ადგილზე მოწყობილია 70 მ სიგრძის სპეციალური ბაქანი, სადაც ვაგონები გვერდს უვლიან ერთმანეთს. აქედან უკავშირდებიან მგზავრები მთაწმინდის პანთეონს. ფუნიკულიორის ზედა სადგურის სიმაღლე ზღვის დონიდან 727 მ-ია, ქვედა სადგურისა —460 მ, სადგურებს შორის დონეთა სხვაობა —267 მ-ს შეადგენს.

1900 წლის ივლისს ქალაქის თვითმმართველობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას თბილისში ფუნიკულიორის გაყვანის შესახებ და დაამტკიცა ბელგიელი ინჟინრის — **ალფონს რობის** პროექტი. ფუნიკულიორის მშენებლობა 1903 წლის სექტემბერს დაიწყო, მის მშენებლობაში მონაწილეობდნენ უცხოელი სპეციალისტები. მშენებლობის პროექტი შეადგინა ფრანგმა ინჟინერმა **ა. ბლანშმა**, არქიტექტურული ნაწილი დაამუშავა თბილისელმა ხუროთმოძღვარმა **ა. შიმკევიჩმა.** გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ბელგიელი და იტალიელი ინჟინრები — **ი. რაგოლერი** და **ა. ფონტანა-როსი.** ფუნიკულიორის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა **ნიკო ნიკოლაძემ**, რომლის ინიციატივით მოკლე დროში შესრულდა რკინა-ბეტონის სამუშაოები ესტაკადისთვის. თბილისის ფუნიკულიორი გაიხსნა 1905 წლის 27 მარტს. მის საექსპლუატაციოდ გადაცემას დიდი ფერწერული ტილო უძღვნა **ნიკო ფიროსმანმა.**



თბილისის ფუნიკულიორს პირველი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1936-1938 წლებში, დაძველებული ზედა სადგურის ადგილას აშენდა ახალი (ავტორები არქიტექტორები: **ზ.** და **ნ. ქურდიანები,** თანაავტორი — **ა. ვალაბუევი**), მეორე — 1968-1969 წელს. მრავალწლიანი პაუზის შემდეგ კი, 2012 წელს, ფუნიკულიორი კვლავ ამუშავდა.



## «მონმარტრი» (პარიზი, საფრანგეთი)

პარიზის მე-18 ოლქში 108 მ სიგრძის ფუნიკულიორი „მონმარტრი" ყველაზე ცნობილ ფუნიკულიორად ითვლება მსოფლიოში. მას წელიწადში 2 მლნ-ზე მეტი მგზავრი გადაჰყავს. ფუნიკულიორი „მონმარტრი" პარიზის მეტროპოლიტენის ნაწილად ითვლება და ცვლის 300-საფეხურიან კიბეს, რომელიც კათოლიკურ ტაძრამდე — საკრე-კერამდე ადის. ამჟამინდელი „მონმარტრი", ტრადიციული გაგებით, ფუნიკულიორი აღარ არის, ის დახრილი ლიფტია, რომლით მგზავრობაც 90 წამს გრძელდება.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**ბორის პაიჭაძე მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, თამაშის განუმეორებელი მანერით, უძლიერესი დარტყმებით, ფიზიკური მონაცემებით, ამტანობით, ხასიათის სიმტკიცითა და პრინციპულობით გამოირჩეოდა. მას ჰქონდა ლიდერის თვისებები — მოედანზეც და ცხოვრებაშიც ძალიან სამართლიანი და პატიოსანი ადამიანი იყო...**

ქართული ფეხბურთის ლეგენდები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თბილისის „დინამოს" ისტორია 1925 წლის შემოდგომიდან იღებს სათავეს" — სპორტსაზოგადოება „დინამოს" ხელმძღვანელებმა თბილისში ჩამოაყალიბეს საფეხბურთო გუნდი, რომელმაც პირველი ოფიციალური შეხვედრა 1926 წლის 6 იანვარს გამართა ბაქოელ თანაკლუბელებთან (დამარცხდა ანგარიშით 0:1. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში კი თბილისის „დინამო" 1936 წლიდან მონაწილეობდა, პირველი მატჩი ჩაატარა 1936 წლის 7 სექტემბერს კიევის „დინამოსთან", მატჩი დასრულდა ფრედ — 2:2. თბილისელთაგან გოლები ნიკოლოზ სომოვმა და ბორის პაიჭაძემ გაიტანეს. აი ამ დღიდან 15 წლის განმავლობაში, 1951 წლამდე იცავდა ბორის პაიჭაძე საქართველოს ყველაზე სახელოვანი გუნდის ღირსებას.**

# «დიდი ურუგვაელები», «ფეხბურთის კარუზო» და ქართული ფეხბურთის არწივი


ავთანდილ ღოლობერიძე


ბორის პაიჭაძე


გაიოზ ჯეჯელავა

## „ფეხბურთის კარუზო"

1936 წელს სსრკ-ს თასის პირველი გათამაშების მეოთხედფინალში თბილისის „დინამომ" მოსკოვის „სპარტაკს" მოსკოვში სძლია ანგარიშით 6:3 (ბორის პაიჭაძემ 2 ბურთი გაიტანა). მეორე დღეს საკავშირო პრესა აღტაცებით წერდა თბილისის დინამოსა და ბორის პაიჭაძეზე: დინამოელებს „დიდი ურუგვაელები" უწოდეს", ეს დიდი პატივი იყო, რადგან ურუგვაი მსოფლიოს I ჩემპიონატის (1930 წ.) გამარჯვებული გახლდათ.

1939 წლის 18 ნოემბერს კი „დინამომ" მოსკოვში გასაოცარი მატჩი ჩაატარა მოსკოვის არმიელთა (არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი იმხანად — წითელი არმიის ცენტრალური სახლი („ცედეკა") წინააღმდეგ — ქართველი ფეხბურთელები პირველი ტაიმის შემდეგ 1:4-ს აგებდნენ, მეორე ტაიმში კი 4 ბურთი გაიტანეს (პაიჭაძე, ხარბედია — 2, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი) და შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს — 4:5. სწორედ ამ მატჩის შემდეგ უწოდა თბილისის დინამოს ყოფილმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა, ასირ **გალპერინმა** ბორის პაიჭაძეს, „მოხეტიალე ფორვარდი", რომელიც თავგზას უბნევდა მოწინააღმდეგე გუნდის მცველებს.

ბორის პაიჭაძე მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, თამაშის განუმეორებელი მანერით, უძლიერესი დარტყმებით, ფიზიკური მონაცემებით, ამტანობით, ხასიათის სიმტკიცითა და პრინციპულობით გამოირჩეოდა. მას ჰქონდა ლიდერის თვისებები — მოედანზეც და ცხოვრებაშიც ძალიან სამართლიანი და პატიოსანი ადამიანი იყო...

## ტანმორჩილი ფეხბურთელი, რომელიც კარის ხარიხას ფეხით სწვდებოდა

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როცა თბილისის „დინამომ" ცენტრალურ ევროპაში რამდენიმე მატჩი გამართა, იქაური პრესა აღტაცებით წერდა ბორის პაიჭაძეზე, რომელსაც „ფეხბურთის კარუზო უწოდეს". ვარსკვლავი თბილისის „დინამოს" ამ თაობისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა გუნდის მომავალ წარმატებებს ბორის პაიჭაძე იყო, მას კი მხარს უმშვენებდა ფენომენალური მონაცემების მქონე ფორვარდი **გაიოზ ჯეჯელავა**, რომელსაც ნებისმიერი მდგომარეობიდან შეეძლო კარში დარტყმა.

აი როგორ იხსენებს გაიოზ ჯეჯელავას ცნობილი პუბლიცისტი და ჟურნალისტი, ავტორი წიგნებისა ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელებზე **ოთარ გაგუა** (ბატონ ოთარს მოედანზე „ცოცხლად" უნახავს ქართული ფეხბურთის ისეთი ლეგენდები, როგორიც არის ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოლობერიძე, გაიოზ ჯეჯელავა და სხვები) ინტერვიუში, რომელიც მას „კვირის პალიტრის" ჟურნალისტმა **რატი შელეგიამ** ჩამოართვა 2015 წელს:

**„ჯეჯელავა თვითნაბადი ნიჭის პატრონი იყო, განუმეორებელი ფეხბურთელი. განსაკუთრებით სახიფათო იყო კუთხურის მოწოდებისას — მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლით 164 სმ იყო, ახერხებდა, მაღლა ამხტარიყო და ბურთისთვის ფეხი დაერტყა. მახსოვს, ერთ-ერთი მატჩის დაწყებამდე, სტადიონზე პატარა შოუც მოაწყო — კარის ხარიხის კუთხეში ჩამოკიდებული ბურთი ნახტომში ფეხით ჩამოხსნა. დაუჯერებელია, მაგრამ ეს ტანმორჩილი კაცი კარის ხარიხას ფეხით სწვდებოდა! გაიოზ ჯეჯელავა მოძრავი, სწრაფი ფეხბურთელი გახლდათ".**

აღსანიშნავია, რომ ბევრი სპეციალისტი, ვისაც „დინამოს" პირველი თაობის ფეხბურთელთა თამაში უნახავს, მიიჩნევს, რომ ბორის პაიჭაძისა და გაიოზ ჯეჯელავას დუეტი საუკეთესო იყო ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

## „ქართული ფეხბურთის არწივი"

ისევე, როგორც ბორის პაიჭაძე გახლდათ 1930-40-იან წლებში ქართული ფეხბურთის სიმბოლო, შემდეგ წლებში ასეთივე სიმბოლო იყო ავთანდილ ღოლობერიძე, მეტსახელად ბასა, რომელიც თამაშის უმაღლესი ტექნიკური ოსტატობითა და არტისტიზმით გამოირჩეოდა. აღსანიშნავია, რომ ბორის პაიჭაძის მსგავსად ბასას, „ქართული ფეხბურთის არწივს" არც ერთი გაფრთხილება არ მიუღია მსაჯებისგან და მას სამართლიანად უწოდებდნენ ჯენტლმენ ფეხბურთელს.

ავთანდილ ღოლობერიძემ თავისი ხანგრძლივი კარიერის (1944-1961) განმავლობაში ქართველ ფეხბურთელთა სამი თაობის წარმომადგენლებთან ერთად ითამაშა. „დინამოში" მივიდა, როცა სახელი უკვე განთქმული ჰქონდათ პირველი თაობის წარმომადგენლებს ბორის პაიჭაძეს, გაიოზ ჯეჯელავას, გრიგოლ გაგუას, მიხეილ ბერძენიშვილს. შემდეგ იყო ლიდერი მეორე თაობის დინამოელებისა და ბოლოს ითამაშა „დინამოს" მესამე თაობის წარმომადგენლებთან, რომლებიც შვილებად ერგებოდნენ. ესენი იყვნენ **მიხეილ მესხი, ვლადიმერ ბარქაია, გიორგი სიჭინავა** და სხვ. ავთანდილ ღოლობერიძემ ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარა „დინამოს" შემადგენლობაში — 341 და ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა — 127.

**ნიკა კორინთელი**



### ბორის პაიჭაძე

დაიბადა 1915 წლის 3 თებერვალს, ონჭიქეთში, ჩოხატაური, ქართველი საბჭოთა ფეხბურთელი, თავდამსხმელი. თამაშობდა ფოთის გემთმშენებელი ქარხნის გუნდში (1933-34), თბილისის ზიი-სა (1934-35) თბილისის „დინამოში" (1936-51). სსრკ-ს უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 180 მატჩი (99 გოლი). სსრკ-ს ჩემპიონატის ორგზის მეორე (1939, 40) და ოთხგზის მესამე (1936, 1946, 1947, 1950 წლები) პრიზიორი. სსრკ-ს თასის გათამაშების სამგზის ფინალისტი (1936, 1937, 1946). გრიგორი ფედოტოვის სახელობის ასიანთა კლუბის წევრი (135 გოლი). იყო თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი (1953-54), სსრკ-ის სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის საპატიო მოქალაქე, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი (გარდაცვალების შემდეგ). მის სახელს ატარებს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო სტადიონი, რომელიც თბილისის „დინამოს" საშინაო მოედანია. 2015 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დააწესა ბორის პაიჭაძის სახელობის პრიზი ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისათვის.

გარდაიცვალა 9 ოქტომბერს 1990 წლის 9 ოქტომბერს თბილისში.



### გაიოზ ჯეჯელავა

ქართველი ფეხბურთელი, თავდამსხმელი. დაიბადა 1914 წლის29 დეკემბერს თბილისში. სსრკ-ს სპორტის დამსახურებული ოსტატი (1946). თამაშობდა თბილისის ტსპო-ში (1933, 34), „ლოკომოტივსა" (1935-36) და „დინამოში" (1937-48). სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 135 მატჩი (59 გოლი). სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე (1939-40) და ორგზის მესამე (1946-47) პრიზიორი. იყო მოსკოვის ვვს-ისა (1950-51) და თბილისის „დინამოს" (1955-57) მთავარი მწვრთნელი. ღირსების ორდენის კავალერი.

გარდაიცვალა 2005 წლის 16 მარტს თბილისში.



### ავთანდილ ღოლობერიძე

ცნობილია მეტსახელით ბასა. დაიბადა 1922 წლის 3 აგვისტოს სოხუმში.

ქართველი ფეხბურთელი, თავდამსხმელი. იცავდა თბილისის „დინამოსა " და საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას. საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი (1951). მოგვიანებით თბილისის „დინამოს" მწვრთნელი. გამოდიოდა სოხუმის „პიშჩევიკსა" და „დინამოში", 1945 წელს გადავიდა თბილისის „დინამოში", სადაც გაატარა 17 სეზონი. ყველა დროის გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი. რვაჯერ იყო დასახელებული საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში სსრკ ნაკრებში ითამაშა სამი მატჩი (1 გოლი), სსრკ უმაღლეს ლიგაში კი — 341 (127 გოლი). თბილისის „დინამოს" რეკორდსმენი სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩატარებული მატჩებისა და გოლების მიხედვით. სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე (1951, 53) და ოთხგზის მესამე (1946, 47, 50, 59) პრიზიორი. სსრკ-ს თასის ორგზის ფინალისტი (1946, 60). სსრკ ჩემპიონატების ორგზის საუკეთესო ბომბარდირი (1951,54), გრიგორი ფე-დოტოვის „ასიანთა კლუბის" წევრი (143 გოლი). თბილისის „დინამოსა" (1961-62) და „ლოკომოტივის" (1966-67) მთავარი მწვრთნელი, თბილისის „დინამოს" (1962-65) გუნდის უფროსი. სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 1980 წლის 20 ნოემბერს თბილისში.

# სცილასა და ქარიბდას შორის

**მე, 89-ე წელს მიტანებულ ისტორიკოს-პოლიტოლოგს, სამსჯავროზე გამომაქვს ჩემი ხედვა დღევანდელი საქართველოს ცხოვრების გასაჭირზე. ოპონენტებო, გამომეხმაურეთ!**



* პრემიერმა **მამუკა ბახტაძემ** სამინისტროები კი არ შეამცირა, არამედ გააერთიანა-გაამსხვილა; **მრავალრიცხოვან ბიუროკრატიას ხელფასები უნდა გაუნახევრდეს; პარლამენტი 90 დეპუტატამდე უნდა შემცირდეს;** ყოფილ პარლამენტარებს დღევანდელი სარგოები გაუნახევრდეს; პრეზიდენტის თანამდებობა უნდა გაუქმდეს; გასაუქმებელია არაფრისმკეთებელი ე.წ. შერიგების სახელმწიფო მინისტრის პოსტი — შევიგნოთ ის აქსიომური ჭეშმარიტება, რომ, სანამ ხელისუფლება ნატოს ეთაყვანება, აფხაზები და ოსები არ შემოგვირიგდებიან.

* რუსოფობები გაჰკივიან: კრემლის მონები ვიყავითო. არადა, კრემლის დირექტივებს ეროვნულ ინტერესებს ვუხამებდით და ცხოვრებაში ისე ვახორციელებდით. მონები და ყმები დღეს ვართ, რადგან ვაშინგტონი, ბრიუსელი, სტრასბურგი თუ ვენეციის კომისია ბედშავ საქართველოს ისე აგუნდავებენ და აბრტყელებენ, როგორც დიასახლისი მჭადის ცომს კეცზე დაკვრის წინ.

* გავიხსენოთ მითი ოდისევსის შესახებ, დიდი და პატარა ბოროტების — ქარიბდასა და სცილას პირისპირ რომ აღმოჩნდა. დღეს საქართველოსთვის აშშ-დასავლეთი ქარიბდაა, რადგან ყოველგვარ ეროვნულს გვართმევს, თავს გვახვევს უზნეობა-გარყვნილების სერიალებს, სრული ჩაყლაპვით გვემუქრება. რუსეთი სცილაა, რომელიც იმას ითხოვს, რომ მისი მტერი, ნატო, საქართველოში არ შემოვუშვათ. ჩვენი გეოპოლიტიკური სიბრმავის, ყოველგვარ დიპლომატიას და, უბრალოდ, საღ აზრს მოკლებული ქმედებების შედეგად რუსეთი ვაიძულეთ, ოკუპანტი გამხდარიყო. შემომედავეთ და დაგიმტკიცებთ!

* სასაცილოა იმისი გაფიქრებაც კი, რომ იუგოსლავიის 7 სახელმწიფოდ დამშლელი, სერბეთისგან კოსოვოს წამგლეჯი აშშ-ნატო საქართველოს გასამთლიანებლად რუსეთს დაეჯახება. ახლა მაინც ვიწამოთ ქართული წარმოშობის ამერიკელი გენერლის — **ჯონ მალხაზ შალიკაშვილის** მიერ ჯერ კიდევ 1996 წელს დაბეჯითებით მოცემული რჩევა: **„აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მხოლოდ რუსეთთან კარგი ურთიერთობით დაიბრუნებთ".**

არა ნატოს, კი რუსეთთან კეთილმეზობლობას — ეს არის გზა საქართველოს გამთლიანებისკენ!

* ყოველდღიური პრაქტიკა ადასტურებს: ქართველები კვლავაც კანონურჩობით, წესრიგისა და დისციპლინისადმი აგდებული დამოკიდებულებით გამოვირჩევით; ამის გამო, მიუხედავად ჩვენი ნიჭიერებისა, ცხოვრებაში ბევრს ვკარგავთ; მიზანმიმართულად უნდა ვიმოქმედოთ ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად!

* მრავალწლიანი ცხოვრებისეული სიმწარე ადასტურებს: ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისთვის უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა, რომ შეგვენარჩუნებინა, მკვლელობათა რაოდენობა სანახევროდ და მეტადაც შემცირდებოდა. პრაქტიკა ადრინდელი მკაცრი კანონის აღდგენას გვკარნახობს.

* თბილისში, აკაკი ხორავას ქუჩაზე, მოზარდები თანატოლებს არ მოუკლავთ; არც მარნეულში ახლახან დასაფლავებული ოჯახი — ცოლ-ქმარი შვილითურთ, ქართველს არ მოუკლავს. ელვის სისწრაფით სატანა ჩამოფრინდა და მკვლელობებიც მან ჩაიდინა; ვაი, ჩვენს პატრონს, უბედურს! სამართალდამცველთა რიცხოვნობა, საბჭოეთის წლებთან შედარებით, ხუთჯერ და მეტადაც გაიზარდა, მაგრამ სიმართლის დადგენა გვიჭირს; რა ხდება, სად არის გამოსავალი?

* გახშირებული მკვლელობები, ადამიანის სიცოცხლის გაუფასურება, ძირითადად, სოციალური სიდუხჭირის, სოციალური სადიზმის გამო ხდება, რასაც ბიძგს სიკვდილით დასჯის კანონის არარსებობაც აძლევს. მკვლელი ფიქრობს: მოვკლავ მას. ვიცი, სიკვდილს არ მომისჯიან, წლების შემდეგ შინ დავბრუნდები. პოტენციურ მკვლელს ბრეივიკის სინდრომი ეუფლება. უკვე აშკარაა მინიბრეივიკობა მარნეულელი ოჯახის დახოცვით; ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მსგავსი უბედურებების აღსაკვეთად.

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი, ქუთაისი**

**რუსოფობები გაჰკივიან: კრემლის მონები ვიყავითო. არადა, კრემლის დირექტივებს ეროვნულ ინტერესებს ვუხამებდით და ცხოვრებაში ისე ვახორციელებდით. მონები და ყმები დღეს ვართ, რადგან ვაშინგტონი, ბრიუსელი, სტრასბურგი თუ ვენეციის კომისია ბედშავ საქართველოს ისე აგუნდავებენ და აბრტყელებენ, როგორც დიასახლისი მჭადის ცომს კეცზე დაკვრის წინ**

# წვევამდელებს 1 იანვრიდან ალტერნატიულ სამსახურს შესთავაზებენ

**წვევამდელებს, რომლებსაც რელიგიური თუ სხვა მიზეზებით ჯარში წასვლა არ სურთ, 1 იანვრიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შეეძლებათ.**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში სურვილისამებრ მოხვდებიან ის ადამიანებიც, რომლებსაც სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის მიერ მღვდელმსახურის წოდება აქვს მინიჭებული.

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **შალვა ხუციშვილმა** განაცხადა, მოქალაქემ უნდა დააკმაყოფილოს, აგრეთვე, ჯანმრთელობის გარკვეული მონაცემები და რომ ალტერნატიულ სამხედრო სამსახურს იძულების ხასიათი არ ექნება და წვევამდელის სურვილზე იქნება დამოკიდებული.



„ალტერნატიული სამსახური 1 იანვრიდან ამოქმედდება. ჩვენ გვაქვს რამდენიმე თვე, რათა ვიმუშაოთ იმ ქვეყნის სპეციალისტებთან ერთად, რომლებშიც ეს მეთოდი წარმატებულად მოქმედებს", — განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

# ირანის პრეზიდენტი: აშშ ირანის წინააღმდეგ სანქციების აღდგენას ინანებს



**ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ აშშ გააფრთხილა იმ შედეგებზე, რომლებიც ირანისთვის სანქციების აღდგენას შეიძლება მოჰყვეს. „აშშ ინანებს ირანის წინააღმდეგ სანქციების აღდგენას. მე ხალხს მოვუწოდებ ერთიანობისკენ ეკონომიკური სირთულეების წინაშე",** — განაცხადა ირანის პრეზიდენტმა.

ჰასან რუჰანის თქმით, „მიუხედავად სანქციებისა, ირანი მსოფლიოს აჩვენებს, რომ თავის ვალდებულებებს ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში". ირანის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ აზრს ვერ ხედავს აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან მოლაპარაკებების წარმოებაში. 6 აგვისტოს აშშ-მა ირანის წინააღმდეგ 2016 წლის იანვარში ბირთვული შეთანხმების შემდეგ გაუქმებული სანქციების აღდგენის პირველი ეტაპი დაიწყო. აღდგება შეზღუდვები თეირანთან ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონებით ვაჭრობაზე.

# თუშეთში ნასოფლარს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა



**ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთში მდებარე ნასოფლარ ინდურთას, აგრეთვე, 9 ციხე-სოფელსა და ნასოფლარს ეროვნული კატეგორია განესაზღვრა.**

ნასოფლარი ინდურთა მდებარეობს თუშეთის ალაზნის ხეობაში, სოფელ ომალოდან დაახლოებით 20 კმ-ის მოშორებით. ნასოფლარი განლაგებულია მაღალი, კლდოვანი მთის ერთ-ერთი განშტოების ბოლოში, მდინარე თუშეთის ალაზნის მარცხენა ნაპირას. ნასოფლარში სამ ათეულზე მეტი ნაგებობაა, რომელთა ნაწილი მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშეა შემორჩენილი, ნაწილი კი თითქმის მთლიანად დანგრეულია.

ნასოფლარის მახლობლად, მდ. წოვათისწყლის მარცხენა შენაკადის ხეობაში სამაროვანია. ნასოფლარის თავზე ერთმანეთთან ახლოს დგას სამი ციხე-სახლი. სამივე ფიქლის მშრალი წყობითაა ნაშენი. მათგან ორი შედარებით ნაკლები დანაკარგებითაა, ხოლო მესამე ორსართულ-ნახევრის სიმაღლეზეღა დგას.

**ქვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894